www.24saati.ge

# 24 საათი

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი 13 იანვარი, 2009 წელი. №4 (2042) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

ევროპისთვის ბუნებრივი გაზის მიწოდება დღეს აღდგება
A7



პრეზიდენტ ბუშის დასკვნითი პრესკონფერენცია
A8



მუცო ხელახლა იბადება
A12



# აშშ-საქართველოს ქარტია ისტორიულია

დევიდ ჯ. სმიტი
*სპეციალურად "24 საათისთვის"*

ვაშინგტონში, სახელმწიფო დეპარტამენტის მდიდრულად მოკაზმულ ხელშეკრულებათა დარბაზში, აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ პარასკევს ხელი მოაწერეს "აშშ-საქართველოს ქარტიას სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ".

**"მსურს, ქართველმა ხალხმა იცოდეს, რომ მათ ყოველთვის ეყოლებათ მეგობარი ამერიკის შეერთებულ შტატებში,"** - თქვა რაისმა.

**"ეს ჩემი ქვეყნისთვის ისტორიული დღეა. ეს გახლავთ საყრდენი ქვა, რომელიც საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში, ნატო-ში გააწევრიანებს და დასავლური და ცივილიზებული ერების ოჯახში დააბრუნებს,"** - აღნიშნა ვაშაძემ. ეს მართლაც რომ საყრდენი ქვაა, მაგრამ მსგავს საფუძვლებზე მყარი ხიდები იგება.

ეს ხიდი კი ამერიკისთვისაც ისევე მნიშვნელოვანია, როგორც საქართველოსთვის. თავისი არსით ქარტია გახლავთ ნაწილობრივი დაბრუნება დაკარგულისა, რომელიც გამოიწვია გასული წლის აპრილში საქართველოსთვის მაპ-ის მინიჭებაზე ნატო-ს უგუნურმა უარმა და ჯორჯ ბუშის უძლურობამ, როცა გასული წლის აგვისტოს რუსულმა ტანკებმა სამხრეთ კავკასიაში ამერიკის გეოპოლიტიკური ინტერესები გაანადგურა.

სტრატეგიული ბორძიკისა და სიტლანქის სეზონის შემდეგ, მნიშვნელოვანია, რომ ქარტია იმეორებს ამერიკის პრინციპულ ინტერესს სამხრეთ კავკასიაში დემოკრატიისა და მისი გეოპოლიტიკური ინტერესების მხარდაჭერასა და აღმოსავლეთ-დასავლეთის დერეფნის განვითარებაში.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ენგურჰესი ქართულ-რუსულ მართვაში

## ეკონომიკური დასაბუთება და პოლიტიკური კითხვები

თამარ ხორბალაძე

*საქართველოს ხელისუფლება და რუსეთის სახელმწიფო ენერგოკომპანია "ინტერ რაო" ენგურჰესის ერთობლივი მართვის შესახებ ოფიციალურად შეთანხმდნენ. მემორანდუმი ჯერ კიდევ გასული წლის 28 დეკემბერს გაფორმდა, თუმცა საქართველოს მხარემ ოფიციალურად ეს ფაქტი გუშინ - ხელმოწერიდან ორი კვირის თავზე დაადასტურა. როგორც მოსალოდნელი იყო, ეს საკითხი მომენტალურად იქცა პოლიტიკური განხილვების თემად.*



**"საქართველოსა და რუსულ კომპანია "ინტერ რაო"-ს შორის ენგურჰესის თემაზე მემორანდუმი გაფორმდა. რუსულ "ინტერ რაო"-სთან დადებული მემორანდუმის თანახმად, ენგურჰესის მართვა რუსული და ქართული მხარის მიერ ერთობლივად განხორციელდება,"** - განაცხადა საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა ალექსანდრე ხეთაგურმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ოპოზიცია ერთიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებას ვერ ახერხებს

*"გაერთიანებულმა ოპოზიციამ" ახალი საპროტესტო მოძრაობის დაწყება ჯერ კიდევ 7 ნოემბრის წლისთავზე სცადა. არცთუ წარმატებული სტარტის შემდეგ, 2008 წლის დეკემბერში ოპოზიციის ლიდერები დიდი გაერთიანების შექმნას გეგმავდნენ, მაგრამ ინიციატივა წამოწყებაზე შორს არ წასულა. "გაერთიანებულ ოპოზიციას" თანდათან ჩამოსცილდნენ პოლიტიკური სუბიექტები. ამ დროისთვის კვლავ ერთად არიან "კონსერვატორები", "ხალხის პარტია", "საქართველოს გზა" და უპარტიო ლიდერები ლევან გაჩეჩილაძე და გოგა ხაინდრავა. ისინი პოლიტიკური ბრძოლის აპრობირებულ ხერხს მიმართავენ და საპროტესტო მიტინგების გამართვა აქვთ გადაწყვეტილი. "გაერთიანებული ოპოზიციის" ყოფილი პარტნიორები კი, ამ ეტაპზე საკმარისი საპროტესტო მუხტის არარსებობის გამო, ერთჯერად აქციებში მონაწილეობის მიღებას არ აპირებენ.*

დათო გამისონია

კვლავ არ არის დაზუსტებული, თუ ვისთან ერთად ჩაებმება პოლიტიკურ ბრძოლაში გაერო-ში საქრთველოს ყოფილი ელჩი ირაკლი ალასანია. მისთვის მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკური სუბიექტების კონსოლიდირება საერთო ღირებულებებისა და იდეების გარშემო მოხდეს. ალასანიამ თავიდანვე განაცხადა, რომ სტრატეგია სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების მონაწილეობით, ერთობლივად უნდა შემუშავდეს. მაგრამ "გაერთიანებულმა ოპოზიციამ" დამოუკიდებლად შეიმუშავა გეგმა. "გაერთიანებული ოპოზიციის" მიერ 25 იანვრისთვის დაგეგმილი საპროტესტო აქცია მიმართული იქნება 2008 წლის 5 იანვრისა და 21 მაისის არჩევნების გაყალბების წინააღმდეგ.

გაგრძელება A2 გვერდზე

24 საათი

"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
BORJOMI ბორჯომი
GRDC group
ჯი პი აი ვენის სადაზღვევო ჯგუფი

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველო კიდევ ერთხელ მოუწოდებს ევროკავშირს, ყურადღება გაამახვილოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონებში არსებულ ვითარებაზე. **ინტერპრესნიუსი**

**თბილისი.** საქართველოს თავდაცვის უწყებას დღეს გერმანიის თავდაცვის სამინისტროს საპარლამენტო მდივანი თომას კოსენდაი ესტუმრება. **ინტერპრესნიუსი**

**სოხუმი.** სეპარატისტულმა მთავრობამ აფხაზეთის ტერიტორიაზე ძველი რუსული პასპორტების მოქმედების ვადა სამი წლით გააგრძელა. **ჯი-ეიჩ-ენი**

**თბილისი.** თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში დღეს მისაღები გამოცდები იწყება. აკადემიაში ჩაბარების სურვილი 792-მა უმაღლესდამთავრებულმა გამოთქვა. თუმცა მისაღებ გამოცდებზე, სამედიცინო კომისიის დასკვნის საფუძველზე, მხოლოდ 590 წარდგება. **ინტერპრესნიუსი**

**თბილისი.** დღეს, 13 იანვარს, საპარლამენტო უმცირესობა სოზარ სუბარის მოხსენებასთან დაკავშირებით საგამოძიებო კომისიის შექმნას ოფიციალურად მოითხოვს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობის პერსპექტივები

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო კალანდაძის განცხადებით, საქართველოს და ევროკავშირის სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტიის გაფორმების შესახებ ევროპის ქვეყნებთან ნაწილობრივი შეთანხმება არსებობს.

როგორც კალანდაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, ევროპის ქვეყნები საქართველოსთან მჭიდრო ურთიერთობით დაინტერესებულნი არიან.

კალანდაძის ინფორმაციით, საქართველო ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე კონსულტაციებს მართავს. **"სასიხარულოა, რომ ევროპის ქვეყნები თვითონ გამოხატავენ ჩვენთან თანამშრომლობის სურვილს. ეს კი იმიტომ ხდება, რომ ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმება ორივე მხარის ინტერესებშია. ჯერჯერობით უცნობია, კონკრეტულად რა ჩაიდება ამ ხელშეკრულებაში, თუმცა ეს ხელშეკრულება ბევრ მნიშვნელოვან დეტალს გაითვალისწინებს,"** - განაცხადა კალანდაძემ.

სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში გიორგი ბარამიძე აცხადებს, რომ ევროკავშირი საქართველოსთან განსაკუთრებული ურთიერთობის დამყარებით არის დაინტერესებული.

ბარამიძის განცხადებით, აქტიურად მიმდინარეობს თანამშრომლობა ევროკავშირთან თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად. ასევე, მიმდინარეობს მუშაობა ევროკავშირთან გამარტივებული სავიზო რეჟიმის ამოქმედებისთვის.

**"იქიდან გამომდინარე, რომ ევროკავშირი დაინტერესებულია საქართველოსთან განსაკუთრებული ურთიერთობის დამყარებით, სავსებით შესაძლებელია, რომ სერიოზული პროგრესი გვქონდეს ისეთ სფეროებში თანამშრომლობის კუთხითაც, როგორიც არის, მაგალითად, ტერიტორიული მთლიანობა, უსაფრთხოება და ასე შემდეგ,"** - აღნიშნა გიორგი ბარამიძემ. ***საკუთარი ინფორმაცია***

## შვეიცარია რუსეთში საქართველოს ინტერესებს 12 იანვრიდან დაიცავს

საქართველოსა და რუსეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების შეწყვეტის გამო, მოსკოვში საქართველოს ინტერესებს შვეიცარია დაიცავს.

შვეიცარიის კონფედერაციის მიერ რუსეთის ფედერაციაში საქართველოს ინტერესების დაცვაზე პასუხისმგებლობის აღების შესახებ დიპლომატიური ნოტები საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ და საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა შვეიცარიის ფედერალურმა კანცლერმა, საგარეო საქმეთა ფედერალური დეპარტამენტის ხელმძღვანელმა მიშლინ კალმი-რეიმ გაცვალეს.

გრიგოლ ვაშაძის განცხადებით, შვეიცარიის კონფედერაცია რუსეთის ფედერაციაში საქართველოს ინტერესებს ღირსეულად დაიცავს.

"საქართველოს ხელისუფლებას შვეიცარიის მთავრობასთან მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებს. ჩვენი მთავრობა შვეიცარიას ნდობას უცხადებს, სწორედ ამას ადასტურებს საქართველოს და შვეიცარიის მთავრობებს შორის გაფორმებული შეთანხმება," - ასეთია საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო კალანდაძის პოზიცია.

როგორც თავად მიშლინ კალმი-რეიმ გუშინდელ ბრიფინგზე აღნიშნა, მისთვის და მისი ქვეყნისთვის ამ მისიის შესრულება საპატიოა.

თბილისში რუსეთის ფედერაციის ინტერესთა სექცია შეიქმნება, რომელიც საქართველოში რუსეთის ყოფილი საელჩოს შენობაში განთავსდება. ინტერესთა სექციაში შევა რუსეთის დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი. მათი აკრედიტება საქართველოში შვეიცარიის საელჩოში მოხდება. **საკუთარი ინფორმაცია**

# ოპოზიცია ერთიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებას ვერ ახერხებს

პირველი გვერდიდან

გეგმის თანახმად, "გაერთიანებული ოპოზიცია" საპროტესტო მიტინგების გაგრძელებას საქართველოს თითქმის ყველა რაიონსა და ქალაქში აპირებს. "გაერთიანებული ოპოზიციის" მთავარი მოთხოვნა უცვლელი რჩება, ისინი გაზაფხულზე ვადამდელი არჩევნების დანიშვნას მოითხოვენ.

აღნიშნული გეგმის შექმნაში "რესპუბლიკელებისა" და "მემარჯვენეების" ალიანსს მონაწილეობა არ მიუღია. მათი თქმით, სწორედ ამ მიზეზით არ იქნებიან 25 იანვარს დანიშნულ საპროტესტო აქციაზე. ჯერჯერობით "ლეიბორისტებსაც" არ აქვთ გადაწყვეტილი, შეუერთდებიან თუ არა "გაერთიანებული ოპოზიციის" მიტინგს.

ერთჯერადი აქციების გამართვას ამ ეტაპზე პროდუქტიულად არც ირაკლი ოქრუაშვილის პოლიტიკური ძალა მიიჩნევს. მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერ ეკა ბესელიას თქმით, 25 იანვარს მიტინგი შეიძლება არც კი შედგეს. ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად, ოქრუაშვილის პარტიას საკუთარი სამოქმედო გეგმა აქვს: **"სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრი უნდა გაერთიანდეს. ადრეულ გაზაფხულზე კი აუცილებელია პერმანენტული აქციების დანიშვნა, რომელიც მოთხოვნის შესრულებამდე არ დაიშლება. მხოლოდ ამ უმთავრესი მოთხოვნის შესრულების შემდეგ უნდა დაინიშნოს ვადამდელი არჩევნები,"** - აღნიშნავს ბესელია. მისივე თქმით, "ერთიანი საქართველოსთვის მოძრაობას" ალასანიასთან კონსულტაციები არ ჰქონია, ხოლო ბურჯანაძესთან მომავალ თანამშრომლობას ეკა ბესელია ნებისმიერ შემთხვევაში გამორიცხავს.

ოქრუაშვილის პარტიისგან განსხვავებით, "ახალი მემარჯვენეები" ალასანიასთან კონსულტაციებზე არიან გადართულნი. "მემარჯვენე" მანანა ნაჭყებიას თქმით: **"ალასანია თბილისში 20 იანვრის შემდეგ ჩამოვა და საქართველოში პოლიტიკურ საქმიანობას დაიწყებს. "რესპუბლიკელებისა" და "მემარჯვენეების" ალიანსისა და გაერო-ში საქართველოს ყოფილ ელჩის პოლიტიკური თანამშრომლობის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება იანვრის ბოლოს გამოცხადდება."**

რაც შეეხება ვადამდელ არჩევნებს, "რესპუბლიკური პარტიის" წევრმა თინა ხიდაშელმა "24 საათთან" საუბარში განაცხადა, რომ ვადამდელი არჩევნების დანიშვნა არა მხოლოდ სამართლიანი, არამედ რეალურიცაა. **"ხელისუფლების იძულების ძალიან ბევრი ფორმა არსებობს - როგორც შიდა, ასევე გარე რესურსი. ხელისუფლება ძალიან ბევრი რამის დათმობაზე აცხადებდა უარს, თუმცა შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ის ხშირად იძულებული ხდებოდა უკან წაეღო საკუთარი სიტყვები. ამის საუკეთესო მაგალითი არის გასული წელი, როცა ხელისუფლებას ორი არჩევნების დანიშვნა მოუხდა,"** - განაცხადა ხიდაშელმა.

# თავიდან სასაცილო, შემდეგ - სულაც არა

## პრემიერი პრესაში ატეხილ აჟიოტაჟს ეხმაურება

პრემიერ-მინისტრი გრიგოლ მგალობლიშვილი გაოცებულია იმ ინფორმაციებით, რომლებიც ბოლო დროს მედიაში მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ვრცელდება.

მთავრობის გუშინდელი სხდომის დაწყების წინ ამ საკითხზე პრემიერ-მინისტრმა კომენტარი გააკეთა და აღნიშნა, რომ მისი პერსონის გარშემო ატეხილ მითქმა-მოთქმას რეალობასთან არაფერი აქვს საერთო.

**"ვწუხვარ, რომ ჩემი მკურნალობა იმაზე მეტ ხანს გაგრძელდა, ვიდრე დაგეგმილი იყო. თუმცა, იმ მითქმა-მოთქმაზე და აჟიოტაჟზე უფრო ვწუხვარ, რომელიც ჩემი ჯანმრთელობის საკითხმა გამოწვია. თავიდან, როდესაც ამ თემის გარშემო რუსულ პრესაში წავიკითხე, გამეცინა, თუმცა შემდგომ ჩემთვის ნამდვილად აღარ იყო სასაცილო, თუ რა ენთუზიაზმით აიტაცეს პრესამ და ზოგიერთმა პოლიტიკოსმა ეს თემა, რომელიც ძალზე პირადული საკითხია,"** - აცხადებს გრიგოლ მგალობლიშვილი.

პრემიერ-მინისტრის ჯანმრთელობის თემაზე ჯანდაცვის მინისტრი ალექსანდრე კვიტაშვილიც აკეთებს კომენტარს.

**"პრემიერის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება. იგი სამუშაო ფორმაშია. რაც შეეხება მის დიაგნოზს, ეს კონფიდენციალურია და გამჟღავნება არ შეიძლება,"** - მითქმა-მოთქმისთვის წერტილის დასმის მომხრეა კვიტაშვილიც.

ამ კომენტარმა, საეჭვოა, "ჭეშმარტების მაძიებელთა" ინტერესი დააცხროს, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, მინისტრთა კაბინეტის გუშინდელ შეკრებაზე პრემიერ-მინისტრის "პირადულ საკითხზე" სხვა განცხადებები აღარ გაკეთებულა. თავად მგალობლიშვილი კი მკურნალობის რეჟიმიდან პირდაპირ სამუშაო რეჟიმში გადაერთო.

მისი თქმით, მთავრობა მუშაობდა და მუშაობს "პირველადი ამოცანების" გადასაჭრელად, რაც სამუშაო ადგილების შენარჩუნებას და მძიმე კრიზისიდან ქართული ეკონომიკის გამოყვანას ითვალისწინებს.

როგორც ცნობილია, ეკონომიკურ გამოწვევებთან გამკლავების ერთ-ერთ მთავარ საშუალებად ხელისუფლებას სახელმწიფოს მიერ ეკონომიკაში ინვესტიციების ჩადება მიაჩნია. ამის შესახებ პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა რამდენიმე დღის წინ განაცხადა.

**"ქვეყნაში ყველაზე მსხვილი ინვესტორი სახელმწიფო უნდა გახდეს,"** - ასეთი ამოცანა დაუსახა პრეზიდენტმა აღმასრულებელ ხელისუფლებას.

როგორც ჩანს, მიხეილ სააკაშვილის ამ მოწოდების რეალიზებას ემსახურება მთავრობის გუშინდელ სხდომაზე ლაშა ჟვანიას მიერ წარდგენილი ინიციატივა, რომელიც ეკონომიკური განვითარების სამინისტროში ხელშეკრულებების მონიტორინგის დეპარტამენტის შექმნას გულისხმობს. ეს სტრუქტურა ინვესტორებსა და საქართველოს მთავრობას შორის დადებულ ხელშეკრულებებს გაუწევს მონიტორინგს.

ლაშა ჟვანიას განმარტებით, ამ ეტაპზე საქართველოს 850-ზე მეტი მსგავსი ხელშეკრულება აქვს გაფორმებული. მათში გაწერილია როგორც აღებული ვალდებულებების ვადები, ასევე ინვესტიციების განხორციელების მოცულობები.

ამასთან, მინისტრის განცხადებით, უკვე დაწყებულია მუშაობა ამერიკასა და საქართველოს შორის ინვესტიციების წახალისების ხელშეკრულებაზე, რომელიც სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტიაშია მოხსენიებული. ჟვანია იმედოვნებს, რომ თუ რაიმე ხელისშემშლელი ფაქტორები არ წარმოიშვა, ეს ხელშეკრულება შემოდგომაზე გაფორმდება.

ამერიკასთან სტრატეგიულ პარტნიორობასთან ერთად, საქართველოს ხელისუფლებას ასევე პრიორიტეტულად მიაჩნია ევროკავშირთან მჭიდრო თანამშრომლობა. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ ოფიციალური თბილისი 2009 წლის ბოლომდე საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავიზო რეჟიმის გამარტივების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებას გეგმავს. სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში გიორგი ბარამიძე არ გამორიცხავს, რომ ევროკავშირთან ისეთივე ხელშეკრულებები გაფორმდეს, როგორიც საქართველომ აშშ-სთან გააფორმა.

ბარამიძის განცხადებით, ეს ხელშეკრულებები, შესაძლოა, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებსაც შეეხებოდეს...

მთავრობის გუშინდელ სხდომაზე საუბარი იყო იმაზეც, რომ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ქოლგის ქვეშ კიდევ ერთი დეპარტამენტი შეიქმნას. თუმცა, ლაშა ჟვანიას თქმით, ექსპორტის ხელშეწყობის დეპარტამენტი ეკონომიკის სამინისტროს სისტემაში დროებით იქნება, შემდგომ კი დაგეგმილია მისი საერთოდ ცალკე გამოყოფა და დამოუკიდებელ სააგენტოდ გადაქცევა.

ორი ახალი დეპარტამენტის ჩამოყალიბება, როგორც ჩანს, ეკონომიკური განვითარების მინისტრის ორი მოადგილის "ხარჯზე" მოხდება. ყოველ შემთხვევაში, ლაშა ჟვანია დაბეჯითებით აღნიშნავს, რომ მას 7 მოადგილე არ სჭირდება და 5 მოადგილე სავსებით საკმარისია იმისთვის, რომ "გაცილებით ეფექტურად და კარგად განახორციელოს საქმიანობა."

მთავრობის გუშინდელ სხდომაზე წარდგენილი კიდევ ერთი ინიციატივა აგვისტოს მოვლენების გამოძახილს წარმოადგენს: საქართველოს თავდაცვის მინისტრი რუსული აგრესიის შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგულ მეომართა ოჯახებისთვის ერთჯერადი ფულადი დახმარების გამოყოფას ითხოვს.

როგორც დავით სიხარულიძე აცხადებს, დახმარების ოდენობა 5 ათასი ლარი იქნება. დღეისათვის უგზო-უკვლოდ დაკარგულად 19 პიროვნება ითვლება და შესაბამისად, აღნიშნული დახმარება 19 ოჯახს გაეწევა.

***საკუთარი ინფორმაცია***

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49.* კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# ენგურჰესი ქართულ-რუსულ მართვაში

პირველი გვერდიდან

ამ დოკუმენტს "ინტერ რაო-ეეს"-ის თავმჯდომარემ ევგენი დოდმა და საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა ალექსანდრე ხეთაგურმა 28 დეკემბერს, თბილისში მოაწერეს ხელი. რუსულმა მხარემ პირველი კომენტარი 31 დეკემბერს გააკეთა. რუსული კომპანიის ცნობით, ხელმოწერილი მემორანდუმის მიხედვით, მხარეები შეთანხმდნენ ენგურჰესის **"ეფექტიანად ექსპლუატაციის" მიზნით, შეიმუშაონ "არანაკლებ ათ-წლიანი პროგრამა."**

## მემორანდუმის ხელმოწერამდე

როგორც ცნობილია, ენგურჰესის კაშხალი საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზეა, ხოლო ელექტროსადგური ენგურს იქით, აფხაზეთის მარიონეტული რეჟიმის მხარეს მდებარეობს. დღემდე მისი ექსპლუატაცია, პრაქტიკულად, მხარეებს შორის თანამშრომლობის ფორმატში ხდებოდა და გამომუშავებული ელექტროენერგიის დაახლოებით 60 პროცენტი ქართულ მხარეს, 40 პროცენტი კი - აფხაზურ და რუსულ მხარეს (სამხრეთ რუსეთის რეგიონებს) მიეწოდებოდა.

ენგურის ენერგოჰესების კასკადი წელიწადში 4,2 მლრდ კილოვატ-საათ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს, რაც ქვეყნის გენერაციის 45 პროცენტია. აქედან აფხაზეთს ყოველწლიურად დაახლოებით 1,2 მლრდ კილოვატი საათი ელექტროენერგია მიეწოდება.

კონფლიქტური ზონებისთვის მიწოდებული ელექტროენერგიის საფასური დღემდე ანაზღაურდებოდა საქართველოს ხელისუფლების მიერ - ოფიციალური განმარტებით, ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ საქართველო, აღიარებდა რა ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას, საკუთარი მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს თავადვე იხდიდა.

აგვისტოს მოვლენების დროს, ენგურჰესზე ოკუპანტების სამხედრო ნაწილები შეიყვანეს.

## მემორანდუმის ეკონომიკური დეტალები

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი აცხადებს, რომ მემორანდუმის ხელმოწერა განპირობებული იყო სამი ძირითადი ფაქტორით - ქართული მხარისთვის ფინანსური დაინტერესებით, ენგურჰესის უსაფრთხოებით და მთლიანად ენერგოსისტემის უსაფრთხოებით.

ალექსანდრე ხეთაგურის თქმით, ეს მემორანდუმი არ წარმოადგენს იურიდიული ვალდებულების მქონე დოკუმენტს და იქ გაწერილი პირობების დაკონკრეტება ცალკე მოხდება - იურიდიული ძალის მქონე ხელშეკრულებაში, რომელიც, მისი თქმით, დაახლოებით თვენახევარში იქნება მზად. მიუხედავად ამისა, უკვე ხელმოწერილ მემორანდუმში არის საკითხები, რომელთა შესრულებასაც საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიიჩნევს. მოყვანილი ციფრები კი ცხადყოფს, რომ წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით, მემორანდუმი საქართველოსთვის საკმაოდ მომგებიანია:

**"ენგურჰესის აქციათა 100 პროცენტი იყო, არის და დარჩება სახელმწიფო საკუთრებაში. რაც შეეხება ერთობლივ მართვას, ეს იქნება ერთობლივი საბჭო, რომელიც დაკომპლექტდება პარიტეტულ პრინციპზე - ჩვენი და "ინტერ რაო"-ს წარმომადგენლების მიერ. "ენგურჰესის" ამჟამინდელი მენეჯმენტი და პერსონალი გააგრძელებს იქ მუშაობას,"** - განაცხადა გუშინ ენერგეტიკის მინისტრმა.

მისი თქმით, რუსულ მხარესთან მოლაპარაკებები ამ საკითხზე 2008 წლის ოქტომბერში დაიწყო და ქართული მხარე მას შემდეგ დათანხმდა ხელი მოეწერა მემორანდუმისთვის, რაც "ინტერ რაო"-მ თბილისისთვის მისაღები წინადადებები წარმოადგინა.

მემორანდუმით, "ინტერ რაო" თანხმდება, გადაიხადოს იმ ელექტროენერგიის საფასური, რომლის მიწოდებაც ამ ჰესის საშუალებით ხდება აფხაზეთის ტერიტორიაზე და ეს **"დამატებით 15 მლნ ლარის შემოსავალს შეადგენს,"** - განაცხადა ხეთაგურმა.

ამის გარდა, მისივე თქმით, მემორანდუმის თანახმად, "ინტერ რაო" თანხმდება ზაფხულში, ჭარბი წყლის არსებობის პერიოდში, ჰესის დაუკონტრაქტებელი ელექტროენერგია შეიძინოს, რომელიც აქამდე წყლის სახით უბრალოდ იღვრებოდა. ხეთაგურის განცხადებით, ეს ჰესს დამატებით დაახლოებით 25 მლნ ლარის შემოსავალს მოუტანს.

მისივე თქმით, "ინტერ რაო" განახორციელებს ელექტროენერგიის ტრანზიტს რუსეთიდან თურქეთის მიმართულებით, საქართველოს ტერიტორიის - ენგურჰესის - გავლით, რაც **"დამატებით შემოსავალს მოუტანს საქართველოს ერთიან ენერგოსისტემას."**

მინისტრი აცხადებს, რომ სატარიფო პოლიტიკა და ტარიფების განსაზღვრა იყო, არის და დარჩება მარეგულირებელი კომისიის გამგებლობის ქვეშ.

ერთობლივად შექმნილი მმართველთა საბჭო, ენერგეტიკის სამინისტროსთან შეუთანხმლებობის შემთხვევაში, ვერ შეცვლის ჰესის მენეჯმენტს. მმართველთა საბჭო და მმართველი კომპანია, მისი თქმით, ვერანაირად ვერ განკარგავს ენგურჰესის ქონებას.

მინისტრის განცხადებით, "ინტერ რაო" დათანხმდა აღებული ვალდებულებების შესრულების გარანტად წარმოადგინოს მისი აქტივები საქართველოში. რუსული კომპანია ფლობს თბილისის ენერგოგამანაწილებელი კომპანია "თელასის" აქციათა 75 პროცენტს, ასევე მე-9 და მე-10 ენერგობლოკებს (ეს უკანასკნელი ამჟამად არ ფუნქციონირებს); რუსული კომპანიის მართვაშია ჰიდროელექტროსადგურები - ხრამი I და ხრამი II.

## პოლიტიკური გამოხმაურება

ენგურჰესის რუსულ კომპანიასთან ერთობლივ მართვაში აღების გადაწყვეტილება, მათ შორის, გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ აფხაზეთის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს რუსული ენერგოკომპანია გადაიხდის, ცხადია, პოლიტიკური განხილვების საფუძვლად იქცა. სამინისტროში აცხადებენ, რომ საუბარია ამ ფულის არა რუსეთის მიერ, არამედ ამ ტერიტორიაზე მოქმედი კომპანიის მიერ გადახდაზე. ცხადია, როგორც საპარლამენტო, ასევე - არასაპარლამენტო ოპოზიციაში გაჩნდა კითხვები იმის თაობაზე, თუ რატომ გადაწყდა ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედების უფლების რუსული (ანუ ოკუპანტი ქვეყნის წარმომადგენელი) კომპანიისთვის გადაცემა.

დეპუტატმა საპარლამენტო უმცირესობიდან პაატა დავითაიამ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ მემორანდუმის გაფორმება მალულად მოხდა. **"ამას ჩვენ არ უნდა ვიგებდეთ რუსული საიტებიდან. ვერ გავიგე, თუ რუსეთთან ომი გვაქვს - ომი იყოს... თუ ენერგეტიკას მათ ვაბარებთ, მე ვფიქრობ, რომ ძალიან ცუდად დამთავრდება ყველაფერი,"** - განაცხადა გუშინ დავითაიამ.

**"უნდა მოვიდეს ბატონი მინისტრი და მოგვახსენოს, რა დოკუმენტზეა საუბარი, რა ფორმით მოხდა ერთობლივ მართვაში გადაცემა - ყველაზე მთავარი არის შესაბამისობა კანონთან. პარლამენტს მიღებული აქვს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ და მე მიმაჩნია, რომ ეს კანონი დარღვეულია. ამიტომ ჩვენ გვექნება ძალიან მწვავე საუბარი ენერგეტიკის მინისტრთან,"** - განაცხადა პარლამენტის ვიცე-სპიკერმა საპარლამენტო უმცირესობიდან, ლევან ვეფხვაძემ.

"ახალი მემარჯვენეების" ერთ-ერთი ლიდერი მანანა ნაჭყებია კი მიიჩნევს, რომ ხელისუფლების ამ ნაბიჯით, შესაძლოა, ქართულმა მხარემ ენგურჰესზე კონტროლი საერთოდ დაკარგოს. **"ხელისუფლება თავს არიდებს ძალიან ბევრ კითხვას, რომელსაც ამ საკითხთან დაკავშირებით ექსპერტები სვამენ. შესაძლოა, საბოლოო ჯამში საქართველომ სრულიად დაკარგოს კონტროლი ენგურჰესზე, რაც ძალიან ცუდი იქნება ჩვენთვის. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მემარჯვენეები ვართ და მიგვაჩნია, რომ კაპიტალს და ფულს ეროვნება არ აქვს, სტრატეგიულ ობიექტებთან დაკავშირებით ეს არასწორი პოზიციაა. როდესაც ასეთი ობიექტები რუსეთის ხელში ვარდება, ეს ცალსახად ნეგატიური ფაქტია,"** - განაცხადა მანანა ნაჭყებიამ.

ახსნა-განმარტებებისთვის ენერგეტიკის მინისტრი გუშინ უკვე შეხვდა პარლამენტის ვიცე-სპიკერს მმართველი პარტიიდან მიხეილ მაჭავარიანს. შეხვედრის შემდეგ მაჭავარიანმა განაცხადა, რომ მემორანდუმი არ ეწინააღმდეგება კანონს ოკუპაციის შესახებ, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს ხელისუფლების ნებართვის გარეშე კომერციულ საქმიანობას კრძალავს. მისივე თქმით, **"აღნიშნული მემორანდუმი უზრუნველყოფს ენგურჰესის უსაფრთხოებას და ქვეყნის უსაფრთხო ენერგომომარაგებას".**

მიუხედავად ამისა, ენერგეტიკის სამინისტროსადმი კითხვები უმრავლესობის წარმომადგენლებსაც აქვთ. პარლამენტარმა დავით დარჩიაშვილმა "24 საათთან" საუბარში განაცხადა, რომ იგი ელის პასუხებს ენერგეტიკის სამინისტროსგან. **"თუ აღმოჩნდება, რომ არ არსებობდა სხვა გზა და სხვა გამოსავალი იმისათვის, რომ ენგურჰესს გამართულად ემუშავა, თუ წინააღმდეგ შემთხვევაში ჰესის გაჩერება იქნებოდა აუცილებელი, მაშინ ამ უსიამოვნო დროებითი გადაწყვეტილების მიღება, შესაძლოა, გამართლებულია. რადგან რუსეთთან ომის (არა პირდაპირი მნიშვნელობით) ბოლომდე მისაყვანად, ჩვენ გვჭირდება ელექტროენერგიაც, ეკონომიკაც, სამუშაო ადგილებიც. სამწუხაროდ, ამ გზაზე ყოველთვის სასიამოვნო გადაწყვეტილებების მიღება არ გიწევს. თუმცა, ამ გადაწყვეტილების შესაფასებლად მჭირდება დამატებითი დეტალების გაგება,"** - აღნიშნა დარჩიაშვილმა.

წინასწარი ინფორმაციით, ენერგეტიკის მინისტრს პარლამენტის ანტიკრიზისული საბჭოს სხდომაზე კვირის ბოლოს მოუსმენენ.

# აშშ-საქართველოს ქარტია ისტორიულია



*დევიდ ჯ.სმიტი*

პირველი გვერდიდან

**"ჩვენი მეგობრობა ეფუძნება საერთო გაგებას და აღიარებას ერთობლივი რწმენისა, რომ დემოკრატია წარმოადგენს პოლიტიკური ლეგიტიმურობის და შესაბამისად, სტაბილურობის მთავარ საფუძველს,"** - ნათქვამია ქარტიის ერთ-ერთ თავში - "პარტნიორობის პრინციპებში."

შემდეგ გრძელდება, **"ძლიერ, დამოუკიდებელ, სუვერენულ და დემოკრატიულ საქართველოს, რომელსაც შესწევს თავდაცვის ძალა, წვლილი შეაქვს არა მარტო საქართველოს ყველა მოქალაქის, არამედ ერთიანი, თავისუფალი და მშვიდობიანი ევროპის უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის განმტკიცებაში."**

მე-3 თავში - "ეკონომიკის, ვაჭრობისა და ენერგეტიკის სფეროებში თანამშრომლობა" - მოყვანილია ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული განცხადება აღმოსავლეთ-დასავლეთის დერეფნის გეოპოლიტიკური მნიშვნელობის შესახებ. **"ჩვენ განზრახული გვაქვს კიდევ უფრო განვავითაროთ აზერბაიჯანსა და თურქეთთან ჩვენი ქვეყნების მრავალწლიანი თანამშრომლობა, რომლის შედეგიც იყო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და ბაქო-სუფსის ნავთობსადენები და ბაქო-თბილისი-ერზრუმის ბუნებრივი აირის მილსადენები, რათა შეიქმნას ახალი სამხრეთული დერეფანი, რომელიც დაეხმარება საქართველოს და დანარჩენ ევროპას აზერბაიჯანიდან და ცენტრალური აზიიდან იმპორტის უზრუნველყოფით მოახდინონ ბუნებრივი აირის მომარაგების დივერსიფიკაცია."**

მეტიც, ქარტია აღიარებს, რომ აღმოსავლეთ-დასავლეთის დერეფანი გაცილებით მეტია, ვიდრე მხოლოდ ნავთობისა და გაზის მილსადენები. **"საქართველოს მზარდ დემოკრატიას ძალუძს ასპარეზი მისცეს თავისი შრომისმოყვარე მოქალაქეების შემოქმედებით პოტენციალს, რითაც მკვეთრად გაიზრდება კეთილდღეობა როგორც მთელ რეგიონში, ასევე მის ფარგლებს გარეთ."** ენერგეტიკას მოჰყვება ვაჭრობა, ხოლო ვაჭრობასთან ერთად მოდის ხალხი და იდეები. დემოკრატიული და აყვავებული საქართველოს მეშვეობით აღმოსავლეთ-დასავლეთის დერეფანი ევრაზიის გეოპოლიტიკას შეცვლის.

საქართველოსა და აღმოსავლეთ-დასავლეთის დერეფანში ამერიკის ხელახლა განცხადებულ ინტერესს მოსდევს განცხადება საქართველოს უსაფრთხოებისადმი ერთგულებისა და რუსეთ-საქართველოს ომის შედეგების დაგმობის შესახებ.

განსაკუთრებით ღირებულია ის, რომ ამერიკა კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ მის სასიცოცხლო ინტერესებშია **"ძლიერი, დამოუკიდებელი, სუვერენული, ერთიანი და დემოკრატიული საქართველოს"** არსებობა. ამ სასიცოცხლო ინტერესის კიდევ ერთხელ გახმოვანება, შესაძლოა, გახდეს საყრდენი ქვა კონკრეტული ქმედებებისთვის, რომლებიც გაცილებით ღირებულია, ვიდრე უსაფუძვლო ფორმალური ვალდებულებები.

ვაშაძემ სწორად აღნიშნა, რომ **"დემოკრატია არავის წინააღმდეგ არ გახლავთ მიმართული, მაგრამ ის ძალზე ძლიერი სიგნალია."**

მეტიც, ამ სიგნალს კონკრეტული გეგმებიც ახლავს. **"ამერიკის შეერთებულ შტატები და საქართველო გეგმავენ გააფართოვონ თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში მიმდინარე თანამშრომლობის პროგრამების ფარგლები, ამ საფრთხეების აღმოფხვრისა და მშვიდობისა და სტაბილურობისათვის ხელის შეწყობის მიზნით,"** - ნათქვამია ქარტიაში. ეს ნიშნავს, რომ, აშშ-ს ღრმა რწმენით, ეფექტური ქართული ჯარის მშენებლობა ლეგიტიმური მიზანია, რომელსაც ის განახორციელებს.

პროცესში **"ამერიკის შეერთებული შტატები და საქართველო შეადგენენ და შეასრულებენ ორგანიზებულ გეგმას, რომლის მიზანია ნატო-სა და საქართველოს შესაძლებლობების თავსებადობისა და კოორდინაციის ამაღლება, მათ შორის, საქართველოს შეიარაღებული ძალების წვრთნისა და აღჭურვის გაუმჯობესების გზით."**

**"საქართველო მიიღებს იგივეს, რაც "მაპ"-ია, მაგრამ განსხვავებული სახელწოდებით,"** - განაცხადა ვაშაძემ "ასოშიეთიდ პრესთან" საუბარში.

ამერიკა ვერ უბრძანებს ნატო-ს, მიიღოს საქართველო თავის რიგებში, მაგრამ მას შეუძლია უხელმძღვანელოს სამოქმედო გეგმას, რომელიც საქართველოს გაწევრიანებაზე ნებისმიერ უარს გააქრობს.

ასევე მნიშვნელოვანია ვაშინგტონის გულწრფელი ვალდებულება გამოასწოროს საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის ომის შედეგები, მათ შორის უზრუნველყოს **"ყველა იძულებით ადგილნაცვალი პირის და ლტოლვილის ღირსეული, უსაფრთხო და ნებაყოფლობითი დაბრუნების უფლება."** ამავე დროს, **"ამერიკის შეერთებული შტატები მიზნად ისახავს დახმარება გაუწიოს საქართველოს ომის შემდგომ რეკონსტრუქციასა და ფინანსურ სტაბილიზაციაში."**

ამ მხრივ, ქარტიის ეკონომიკური ნაწილი ფასდაუდებელია. შეერთებული შტატები და საქართველო აპირებენ მოლაპარაკებები აწარმოონ ორმხრივი ინვესტიციების ხელშეკრულებაზე, სავაჭრო პრეფერენციებსა და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაზე. ამ სფეროებში მიღწეული წარმატებების შედეგები განუზომელი იქნება. შეერთებული შტატები ასევე კისრულობს საქართველოს მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმის გამარტივებას.

დაბოლოს, ქარტია ავალდებულებს შეერთებულ შტატებს, დახმარება გაუწიოს საქართველოს მედიის განვითარების, კანონის უზენაესობის, სასამართლო რეფორმისა და საგანმანათლებლო გაცვლების სფეროებში.

პარასკევი ნამდვილად ისტორიული დღე იყო საქართველოსთვის, რადგან "აშშ-საქართველოს ქარტიას" საქართველოს ისტორიის შეცვლა შეუძლია. თუმცა, ზოგიერთები ყბედობენ, რომ ის ზოგადია, განუსაზღვრელი და გარანტიებს არ იძლევა. სწორედ ასეა. მორჩით დისკუსიებს და დაიწყეთ მისი განხორციელება.

*დევიდ ჯ.სმიტი არის პოტომაკის პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (ვაშინგტონი)*
საქართველოს უსაფრთხოების ანალიზის ცენტრის დირექტორი (თბილისი)

# სამხრეთ კავკასიის გაზსადენი ბუნებრივ აირს თურქეთიდან ავსტრიას მიაწვდის

თინა შავაძე



საერთაშორისო ენერგეტიკულ ბაზარზე არსებული მდგომარეობა მოსალოდნელია შეიცვალოს და ახალი პროექტების მშენებლობის საკითხი დააჩქაროს. ბოლო პერიოდში რუსეთსა და ევროპას შორის გაზის მიწოდებასთან დაკავშირებით გამწვავებული ურთიერთობები გაზის მოწოდების ალტერნატიული წყაროების მოძიების საკითხს რეალურს ხდის. "ამ ეტაპზე საერთაშორისო ენერგეტიკულ ბაზარზე არსებული მაღალი ფასები განვითარებულ ქვეყნებში ინფლაციურ პროცესებს განაპირობებს. რუსეთი ნავთობის ნომერ პირველი ექსპორტიორია (10 მილიონი ბარელი დღეში). რუსეთივე უზრუნველყოფს ევროკავშირის გაზის მოხმარების 25%-ს და იმპორტის 40%-ს (წლიურად 130 მილიარდი მ3). ამ ციფრებთან შედარებით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (800 ათასი ბარელი დღეში) და ბაქო-თბილისი-ერზრუმის (6 მილიარდი მ3) შესაძლებლობები მოკრძალებულია. საერთაშორისო ბაზარზე რუსული ნავთობისა და გაზის ჩანაცვლება ძალიან რთულია, ვინაიდან ენერგორესურსების დანარჩენ მწარმოებელ ქვეყნებში ზეწარმოების პოტენციალი არ არის. რუსეთს ნავთობისა და გაზის მიწოდების შემცირებით შეუძლია საერთაშორისო ბაზარზე ფასების უკონტროლო აგდება გამოიწვიოს, რასაც განვითარებულ ქვეყნებში ინფლაციური და რეცესიური პროცესების გაღრმავება მოჰყვება," - ამბობს ექსპერტი ენერგეტიკის საკითხებში ლია ჯერვალიძე.

ზოგადად, ენერგორესურსების სატრანზიტო პროექტები მრავალწლიანი პროექტებია და დიდი რაოდენობით ინვესტიციებს მოითხოვს. შესაბამისად, ენერგორესურსების სატრანზიტო ქვეყანა უსაფრთხო და სტაბილური უნდა იყოს, რათა ენერგორესურსების მწარმოებელ და მომხმარებელ ქვეყნებს არ ჰქონდეთ იმის განცდა, რომ მათ რესურსებს რაიმე შეიძლება შეემთხვას. ამასთან ერთად, აუცილებელია, რომ სატრანზიტო ქვეყნების პოლიტიკური ელიტა როგორც ერთმანეთს შორის, ისე რესურსების ექსპორტიორი და იმპორტიორი ქვეყნების პოლიტიკური ელიტების მხრიდან მაღალი ნდობით სარგებლობდეს, მიუხედავად იმისა, როგორი პოლიტიკური თუ იდეოლოგიური მიმართულების მატარებლები არიან ეს ქვეყნები. ამგვარი ნდობის არსებობა საერთაშორისო სატრანზიტო პროექტებზე მოლაპარაკებების წარმოების საწყის ეტაპზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

ამის მიუხედავად, ექსპერტი ენერგეტიკის საკითხებში თემურ გოჩიტაშვილი მიიჩნევს, რომ "რუსეთსა და ევროპას შორის შექმნილმა სიტუაციამ უნდა დააჩქაროს "ნაბუკოს" პროექტის მშენებლობა. ამას გარდა, არსებობს ალტერნატიული პროექტები, რომელთა განხორციელებასაც ამ კრიზისმა შესაძლოა ხელი შეუწყოს. ესენია: რუსეთის მიერ მხარდაჭერილი "სამხრეთი ნაკადი", რომელიც შავ ზღვაზე გაივლის და ევროპის მიერ უკვე მოწონებული და მხარდაჭერილი "თეთრი ნაკადი", რომელიც საქართველოზე და შავ ზღვაზე გაივლის და შემდეგ გადავა რუმინეთში ან უკრაინაში".

ენერგეტიკული რესურსების ტრანსპორტირების სხვა პროექტები, რომლებშიც საქართველო, როგორც ტრანზიტული ქვეყანა, იქნება ჩართული, მოიცავს "ნაბუკოს" და საქართველო-უკრაინა-ევროკავშირის მილსადენებს. "ნაბუკოს" მილსადენი, რომელიც მიზნად ისახავს რუსული გაზის იმპორტზე საერთაშორისო დამოკიდებულების შემცირებას, ბუნებრივ აირს თურქეთიდან (სამხრეთ კავკასიის გაზსადენით) ავსტრიას მიაწვდის. "ნაბუკოს" მშენებლობის დაწყება 2009 წლის დასაწყისში იგეგმება და, სავარაუდოდ, 2011 წელს დასრულდება. საქართველო-უკრაინა-ევროკავშირის მილსადენი, რომელიც ჯერჯერობით ისევ დაგეგმვის საწყის ეტაპზეა, კასპიურ გაზს შავი ზღვის წყალქვეშა მილსადენით, საქართველოს გავლით უკრაინას, აღმოსავლეთ ევროპას და, საბოლოოდ, ევროკავშირს მიაწვდის. "ნაბუკოს" პროექტის მსგავსად, საქართველო-უკრაინა-ევროკავშირის მილსადენი რუსული ენერგორესურსების იმპორტის მნიშვნელოვნად შემცირებას ითვალისწინებს.

თურქეთის გავლით ევროკავშირის მიმართულებით რამდენიმე გაზსადენის პროექტი არსებობს. მათ შორის, აშშ-ს მხრიდან განსაკუთრებული მხარდაჭერით "ნაბუკოს" გაზსადენის პროექტი სარგებლობს, რომელიც თურქეთში იწყება, საბერძნეთში გადადის და იქიდან, აღმოსავლეთ ევროპის გავლით, ავსტრიისაკენ მიემართება. პროექტის მიზანი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გაზით მომარაგების დივერსიფიცირებაა. "ნაბუკოში" წილის 50% ამ ქვეყნების სადისტრიბუციო კომპანიებს ეკუთვნით (Botash, Bulgargaz, Mol, OMV Gas, RWE AG, Transgas24), დანარჩენი 50% გაზის მწარმოებელი ქვეყნებისათვის ან საერთაშორისო კომპანიებისთვის არის გამიზნული. ამ მილსადენის გაზით უზრუნველყოფაში ერთ-ერთი მთავარი მოთამაშე შეიძლება აზერბაიჯანი იყოს.

თუ აზერბაიჯანსა და რუსეთს შორის გაზის შესყიდვის შესახებ შეთანხმება მოხდება, "ნაბუკოს" პროექტის მთავარი დამტვირთავი აზერბაიჯანი ვეღარ გახდება. ეს ვალდებულება შახ-დენიზის საერთაშორისო კონსორციუმს (ბაქო-თბილისი-ერზრუმის მილსადენს) დაეკისრება. როგორც აზერბაიჯანული მხარის, ისე კონსორციუმის აზრით, ასეთ შემთხვევაში ბაქო-თბილისი-ერზრუმის მილსადენის სრული დატვირთვით ამუშავება შახ-დენიზის მეორე ფაზის ამოქმედების შემდეგაც გაძნელდება. მოვლენების ამგვარად განვითარების შემთხვევაში, საუკეთესო გამოსავალი ტრანსკასპიური გაზსადენის აშენება იქნება, თუმცა ამას სერიოზულად აფერხებს ის, რომ კასპიის ზღვის სტატუსი ჯერჯერობით ისევ გადაუწყვეტელია. საქართველოს მიერ ბაქო-თბილისი-ერზრუმიდან მაქსიმალური მოგების მიღება კი, მხოლოდ მისი სრული დატვირთვით იქნება შესაძლებელი," - ამბობს ლია ჯერვალიძე.

"ნაბუკოს" გაზსადენი შეიძლება მაინც დაიტვირთოს ირანული, ერაყული და ეგვიპტიდან მომავალი გაზსადენებით, რომელთა ნაწილი უკვე არსებობს (ირანი-თურქეთი), დაპროექტებაშია (ერაყი-თურქეთი), ან გადაწყვეტილება არის მიღებული (ეგვიპტე-თურქეთი).

რუსულ-ქართული კონფლიქტის ფონზე გაძლიერდა რუსეთისა და ირანის სატრანზიტო მიმართულება. სწორედ ამ მიმართულებებზე გადანაწილდა აზერბაიჯანის და ყაზახეთის ნავთობის ტვირთები. აზერბაიჯანული გაზის შესყიდვის შესახებ რუსეთ-აზერბაიჯანის მოლაპარაკებები ჯერ დამთავრებული არ არის. მხარეები თითქოს უკვე შეთანხმდნენ გაზის გაცვლაზე. კერძოდ, აზერბაიჯანი რუსეთს გაზს დაღესტანში მიაწვდის, სამაგიეროდ, რუსეთი აზერბაიჯანს გაზს მიაწვდის "სოკარის" მიერ თურქეთში შესყიდული ქიმკომბინატის etkim-ის უზრუნველსაყოფად, სადაც ამ უკანასკნელს 51% ეკუთვნის. ამგვარად, ამ გადაწყვეტილებით აზერბაიჯან-რუსეთის დამაკავშირებელი გაზსადენი, რომელიც 2007 წლამდე რუსულ გაზს აწვდიდა აზერბაიჯანს, რევერსულად ამუშავდება.

ირანის სატრანზიტო მიმართულება, ირან-დასავლეთს შორის ურთიერთობების მოწესრიგების შემთხვევაში, კიდევ უფრო გაძლიერდება. თურქმენეთიდან ირანში 10 მილიარდი მ3 წლიური გამტარობის გაზსადენი უკვე შედის. შესაძლოა, მისი გამტარობა უფრო გაიზარდოს ან იგივე ტრასაზე ახალი, უფრო დიდი გამტარობის გაზსადენი იქნას გაყვანილი. თურქმენეთის გაზის გარკვეული რაოდენობის ირანი-თურქეთის დამაკავშირებელი გაზსადენის საშუალებით გატანის შემთხვევაში თავიდან იქნებოდა აცილებული კასპიის ზღვის სტატუსის გადაჭრის საკითხი, რაც ტრანსკასპიური გაზსადენის აშენებას დღემდე აფერხებს.

ირანი სატრანზიტო მიმართულების გასაძლიერებლად აქტიურად მუშაობს. ირანის ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე აქბარ ტოკანის განცხადებით, ის თურქეთის გავლით გაზსადენის აშენებას აპირებს, რომელიც, სავარაუდოდ, 4 მილიარდი აშშ დოლარი დაჯდება და საბერძნეთი-იტალია-შვეიცარიის მიმართულებით წლიურად 37 მილიარდ მ3 გაზს გაატარებს. ირანული გაზი აღმოსავლეთ ევროპის ბაზარზე არ შევა და რუსულ გაზს კონკურენციას არ შეუქმნის. მას სულ სხვა მომხმარებლები ეყოლება დასავლეთ ევროპაში. აქბარ ტოკანის განცხადებით, ირანის მხარეს უკვე დასრულებული აქვს მოლაპარაკება ერთ ევროპულ კომპანიასთან, რომელიც პოტენციურად ამ გაზსადენის ოპერატორი უნდა გახდეს.

# ეკონომიკური განვითარების სამინისტროში ახალი დეპარტამენტები იქმნება

მანანა ვარდიაშვილი

ეკონომიკური განვითარების სამინისტრო სტრუქტურული ცვლილებებისთვის ემზადება. სამინისტროში ხელშეკრულებების მონიტორინგისა და ექსპორტის ხელშეწყობის დეპარტამენტები შეიქმნება. ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ლაშა ჟვანიამ ახალი ინიციატივის შესახებ გუშინ გამართულ მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

"ხელშეკრულებების მონიტორინგის დეპარტამენტი ინვესტორებსა და საქართველოს მთავრობას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას გააკონტროლებს. ამ ეტაპზე 850-ზე მეტი ხელშეკრულებაა გაფორმებული. ეს დეპარტამენტი სწორედ ამ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების მონიტორინგს განახორციელებს," - განაცხადა ლაშა ჟვანიამ.

ექსპორტის ხელშეწყობის დეპარტამენტი კი ქართული ნაწარმის ექსპორტირებაზე იზრუნებს. ახალი დეპარტამენტი სახელმწიფოსა და მეწარმეებს შორის თანამშრომლობის კოორდინაციას შეუწყობს ხელს. გარდა ამისა, ის ქართული პროდუქციის რეალიზაციის მიზნით საზღვარგარეთ ახალ ბაზრებს მოიძიებს. ლაშა ჟვანიას განცხადებით, ეს დეპარტამენტი მომავალში დამოუკიდებელ სააგენტოდ ჩამოყალიბდება. "აუცილებელია, რომ ქვეყანაში მსგავსი სააგენტო არსებობდეს. საზღვარგარეთ ახალი ბაზრების პოვნა და იქ საქართველოში წარმოებული პროდუქციის გასაღება იმის სერიოზული საფუძველია, რომ საწარმოებმა თავიანთი წარმოება მნიშვნელოვნად გაზარდონ და ახალი საწარმოები და დამატებითი სამუშაო ადგილები შეიქმნას," - განაცხადა ლაშა ჟვანიამ.

სამინისტროში სხვა ცვლილებებიც იგეგმება. მაგალითად, ეკონომიკური განვითარების მინისტრს, შვიდის ნაცვლად, ხუთი მოადგილე ეყოლება. ამ დროისათვის მინისტრს ხუთი მოადგილე ჰყავს. ესენი არიან: ლევან პატეიშვილი, ირაკლი გაჩეჩილაძე, სულხან სისაური, ურუზმაგ ქარქუსოვი და გიორგი შანიძე. ეს უკანასკნელი აღნიშნულ თანამდებობაზე უახლოეს მომავალში დამტკიცდება. თუმცა თავად ლაშა ჟვანიამ განაცხადა, რომ შვიდი მოადგილე არ სჭირდება და თავის საქმიანობას უკეთ გაუძლვება, თუკი ხუთი მოადგილე ეყოლება. "ეფექტური მუშაობისთვის ხუთი მოადგილე სრულიად საკმარისია, დანარჩენები ზედმეტები არიან. მიმაჩნია, რომ ჩვენი მუშაობა ხუთი მოადგილის პირობებში უფრო ეფექტური იქნება," - განაცხადა ჟვანიამ.

# ახალი პროექტები გაზრდილი მოთხოვნის ფონზე

## 5 წლის განმავლობაში საქართველოსთვის მოწოდებული გაზის მოცულობა და ტარიფი შენარჩუნდება

მანანა ვარდიაშვილი

ევროპა "გაზპრომის" მარწუხებისგან თავის დაღწევას ცდილობს. საქართველოს ტერიტორიაზე რუსი ოკუპანტების ყოფნის მიუხედავად, კასპიური ენერგორესურსების ტრანსპორტირების ალტერნატიულ მარშრუტებს დასავლეთი მაინც აქტიურად განიხილავს. კასპიური ენერგორესურსების მოპოვებისთვის გაშლილი ფრონტის წინა ხაზი ამ ეტაპზე აზერბაიჯანზე გადის. უკანასკნელი რამდენიმე თვის განმავლობაში ოფიციალურ ბაქოს აშშ-ს, ევროპის და რუსეთის მაღალი რანგის დიპლომატთა დელეგაციები რიგ-რიგობით სტუმრობდნენ. დასავლეთთან დაძაბული ურთიერთობის ფონზე რუსეთი თამაშის წესებს ცვლის: "გაზპრომი" აზერბაიჯანს გაზის მთელი საექსპორტო მოცულობის საბაზრო ფასში შეძენის წინადადებით ხიბლავს, პუტინის მთავრობა კი, პარალელურად, ყარაბაღის თემით მანიპულირებს. აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა ოქროს შუალედი მონახა და ევროამერიკული და რუსეთის ინტერესები მოხერხებულად დააბალანსა: 2008 წლის ნოემბერში ბაქოში გამართული ენერგოსამიტის დროს გადაწყდა, რომ 2011 წლის დასაწყისისთვის ოდესა-ბროდი-პლოცკი-გდანსკის ნავთობსადენი ევროპის მიმართულებით კასპიური ნავთობის პირველ პარტიას გაატარებს. ამავე სამიტზე აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი აირით უწყვეტი მომარაგების შესახებ 5-წლიანი მემორანდუმი გაფორმდა. გარდა ამისა, აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია პროექტ Nabucco-ს მონაწილე კომპანიებთან და ქვეყნებთან აქტიურ თანამშრომლობას აპირებს. ახლა კი აზერბაიჯანი "გაზპრომთან" კონტრაქტის დასადებად ემზადება. რუსულ კონცერნთან შესაძლო თანამშრომლობის პერსპექტივამ აზერბაიჯანის საზოგადოების აზრი ორად გაყო: ნაწილი მიიჩნევს, რომ რუსეთის სახელმწიფო კომპანიასთან თანამშრომლობით აზერბაიჯანი ისევ რუსეთის ორბიტას უბრუნდება. მეორე ნაწილი კი ფიქრობს, რომ ყარაბაღის კონფლიქტის საომარი მოქმედებების გარეშე მოგვარება ამ თანამშრომლობად ნამდვილად ღირს. ასეა თუ ისე, თანამშრომლობა შედგა. "გაზპრომსა" და აზერბაიჯანს შორის კონტრაქტი უახლოეს დღეებში გაფორმდება. ცნობილია, რომ გაზის რუსული კონცერნი აზერბაიჯანული ბუნებრივი აირის 1000 კუბ/მ-ში 255-300 აშშ დოლარს გადაიხდის. შესასყიდი გაზის ზუსტი მოცულობა ამ ეტაპზე არ სახელდება.

### ბრძოლა აზერბაიჯანული აირისთვის

აზერბაიჯანის გაზის მარაგები 2 ტრილიონ კუბ/მეტრადაა შეფასებული. ქვეყანას გაზის ექსპორტირების 4 წყარო აქვს. აზერბაიჯანის გაზის უდიდესი საბადო შაჰ-დენიზია. მისი სავარაუდო მარაგი 1 ტრილიონ კუბ/მ გაზსა და 200 მილიონ ტონა გაზის კონცეტრატს შეადგენს. აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის გარდა, ამ ქვეყანაში გაზს მოიპოვებენ: BP ( 25 პროცენტი), STATOIL (25,5 პროცენტი), LUKOIL (10 პროცენტი), NICO ( 10 პროცენტი), TOTAL ( 10 პროცენტი) და TPAO ( 9 პროცენტი). თვითონ აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის წილად მოპოვებული გაზის 10 პროცენტი მოდის.

2012-2013 წლებში აზერბაიჯანი 60 მილიარდ კუბ\მეტრამდე გაზის ექსპორტს და ევროპის ქვეყნების გაზის დეფიციტის 30-50 პროცენტის შევსებას შეძლებს - ევროკავშირის ქვეყნებში 500 მილიონი ადამიანი ცხოვრობს. უახლოესი 15 წლის განმავლობაში ევროპის ქვეყნების გაზზე მოთხოვნა 50 პროცენტით გაიზრდება და დეფიციტი 150-200 მილიარდ კუბ/მეტრს მიაღწევს. ახლა რუსეთი ცდილობს აზერბაიჯანის ენერგორესურსებსაც დაეპატრონოს და ევროპისთვის გაზის უალტერნატივო მიმწოდებელი იყოს.

აზერბაიჯანიდან შესასყიდი გაზის მოცულობასა და ფასზე "გაზპრომი" ჯერჯერობით არაფერს ამბობს. "გაზპრომის" დირექტორი მილერი აცხადებს, რომ მისი კომპანია მზადაა, აზერბაიჯანული გაზის მაქსიმალური მოცულობა საბაზრო ფასში შეიძინოს. თუმცა, 2007 წლის მაისში "გაზპრომმა" ათასი კუბური მეტრი აზერბაიჯანული გაზის 230 აშშ დოლარად ყიდვა არ მოისურვა. მაშინ რუსული მხარე ათასი კუბური მეტრი გაზის შესყიდვას გაცილებით დაბალ ფასად მოითხოვდა.

რუსეთის ექსპორტის უდიდესი ნაწილი გაზსა და ნავთობზე მოდის. "გაზპრომი" გაზით ევროპის მეოთხედს ამარაგებს და სახელმწიფო კომპანიის შემოსავლებს კრემლის მესვეურთათვის არნახული მოგება მოაქვს. ამიტომაც, ენერგორესურსებით მდიდარი ქვეყნების საკუთარ ორბიტაში მოქცევა რუსეთისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. თურქმენეთისა და ყაზახეთის გაზის მთელ საექსპორტო პოტენციალს სწორედ "გაზპრომი" ყიდულობს. გარდა ამისა, რუსული კონცერნის საკუთრებაში ყოველწლიურად 58-60 მილიარდი კუბური მეტრი უზბეკური გაზი გადადის.



აზერბაიჯანს შეუძლია, ევროპის ენერგეტიკული პოლიტიკა შეცვალოს და ევროპის ქვეყნების გაზით მომარაგების საქმეში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავოს. რუსეთმა საქართველოში განხორციელებული სამხედრო აგრესიით სცადა მსოფლიოსთვის ეჩვენებინა, რომ ევროპისთვის გაზის მიწოდების ერთადერთი და უალტერნატივო გზა მხოლოდ რუსეთზე გადის. კრემლის ყველაზე დიდ გაღიზიანებას ტრანსკასპიური გაზსადენი იწვევს. რუსეთის ხელისუფლებას იმედი ჰქონდა, რომ საქართველოში განვითარებული საომარი მოვლენები NABUCCO-ს პროექტს დაპროექტების სტადიაშივე დაასამარებდა. თუმცა, nabucco gaz pipeline-ის აღმასრულებელმა დირექტორმა რეინჰარდ მიტჩეკმა განაცხადა, რომ საქართველოში განვითარებული მოვლენები NABUCCO-ს პროექტის განხორციელებას ვერ შეაფერხებს.

### ახალი კონტრაქტი

Fineko/abc.az -თან საუბარში აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის წარმომადგენელი აცხადებდა, რომ "საქართველომ აზერბაიჯანს მიმდინარე წელს გაზის შესყიდვის საფასურის სხვადასხვა ვარიანტი შესთავაზა. ზოგიერთი მათგანი აბსოლუტურად მიუღებელია, რამდენიმე მათგანზე კი აზერბაიჯანის მხარე შესაძლოა დათანხმდეს. კერძოდ, ქართული მხარის შემოთავაზება ასეთია: იგი აზერბაიჯანს რიგი საინვესტიციო პროექტების გადაცემის ხარჯზე ფასების დაწევის მექანიზმს სთავაზობს. თუმცა, ეს ვარიანტი სერიოზულ გათვლებს საჭიროებს."

რა გათვლები და საინვესტიციო პროექტები უდევს საფუძვლად ახალ მემორანდუმს? აზერბაიჯანის სახელმწიფო კომპანიასთან გაფორმებული მემორანდუმის თანახმად, "სოკარი" მომავალი 5 წლის განმავლობაში საქართველოს ყოველწლიურად 1,050 მილიარდ კუბ/მ გაზს მოაწვდის (საქართველო წლიურად 1,850 მილიარდ კუბ/მ აირს მოიხმარს და ეს მოცულობა გაზის ადგილობრივი მოხმარების 56 პროცენტია). "სოკარი" გაზის მიწოდებას მოსახლეობისა და თბოელექტროსადგურებისთვის უზრუნველყოფს. მოსახლეობისთვის განკუთვნილ ბუნებრივ აირს გაზგამანაწილებელი კომპანიები 167 დოლარად, ხოლო თბოელექტროსადგურები 143 დოლარად იყიდიან. ქვეყნის სრული გაზმომარაგებისთვის საჭირო დანარჩენი 800 მილიონი კუბ/მ აირი სადისტრიბუციო კომპანიებმა კომერციულ ფასში უნდა იყიდონ.

5-წლიანი მემორანდუმისა და გაზის შედარებით დაბალი საფასურის სანაცვლოდ, საქართველოს მთავრობამ "სოკარს" ე.წ. სოციალური გაზის რეალიზაციის უფლება უფეშქაშა. იანვრიდან შაჰ-დენიზისა და სომხეთში გატარებული რუსული გაზის ტრანზიტის სანაცვლოდ მიღებული უფასო გაზის გაყიდვის უფლება "სოკარს" ექნება (აქამდე სოციალურ გაზს გაზისა და ნავთობის კორპორაცია ყიდდა და ის 1000 კუბ/მეტრი ბუნებრივი აირის გადაყიდვისთვის 3 დოლარს იღებდა). შაჰ-დენიზის საბადოდან თურქეთში გატარებული აირის 5 და სომხეთში ტრანსპორტირებული რუსული აირის 10 პროცენტი საქართველოს უფასოდ რჩება. ე.წ. სოციალური გაზის მოცულობაზე მიახლოებითი წარმოდგენა რომ გვქონდეს, ციფრები მოვიშველიოთ:

2007 წლის განმავლობაში თურქეთში ტრანსპორტირებული გაზის 5 პროცენტი დაახლოებით 60,5 მილიონი კუბ/მ. აირია. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ტექნიკური შეფერხებების გამო გაზის ტრანსპორტირება საკმაოდ გვიან დაიწყო. გარდა ამისა, 2007 წლიდან საქართველოს მოეწოდება აგრეთვე ე.წ დამატებითი გაზი შაჰ-დენიზის კონსორციუმისგან, რომელიც რუსეთისგან ან აზერბაიჯანისგან კომერციული ხელშეკრულებით შესყიდულ აირზე ბევრად იაფია. ამ კვოტის წლიური მოცულობა ამჟამად წელიწადში 250 მილიონი კუბ/მ-ია. 2009 წლიდან ეს მოცულობა 300 მილიონამდე, ხოლო 2011 წლიდან 500 მილიონ კუბ/მ-მდე გაიზრდება. ამ ე.წ. სოციალურ გაზსაც მომავალი 5 წლის განმავლობაში "სოკარი" გაანაწილებს. სოციალური გაზის გაყიდვის უფლებასთან ერთად, აზერბაიჯანულ "სოკარს" 26-მდე რეგიონული სადისტრიბუციო კომპანიაც გადაეცა. ხელშეკრულება "სოკარსა" და გაზის კორპორაციას შორის უკვე გაფორმდა. "სოკარის" ვალდებულება სოფლების გაზიფიცირებაა. ახალ აბონენტებს გაზს ის კომერციული ტარიფით მიაწვდის, რომელსაც საკუთარი შეხედულებით განსაზღვრავს. სანაცვლოდ, "სოკარი" ვალდებულია, მომავალი 5 წლის განმავლობაში საქართველოსთვის მოწოდებული გაზის მოცულობა და ტარიფი შეინარჩუნოს. "სოკარი" რამდენიმე სადისტრიბუციო ქსელის გამოსყიდვას "იტერასგანაც" აპირებს და თვალი თბილისის გაზგამანაწილებელ ქსელზეც უჭირავს. "სოკარი" მონოპოლისტ დისტრიბუტორად გადაქცევას აპირებს. აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის პრეზიდენტი როვნაგ აბდულაევი აცხადებს, რომ 2010 წლისთვის საქართველოში იმპორტირებული გაზის 85 პროცენტი "სოკარის" შემოტანილი იქნება, დანარჩენ 15 პროცენტს კი საქართველო შაჰ-დენიზისა და რუსული გაზის ტრანზიტის საფასურად მიიღებს.

ცხადია, საქართველოს ხელისუფლების მცდელობა, ქვეყნისთვის საჭირო რაოდენობის გაზი (1.8 მილიარდი კუბური მეტრი) მთლიანად აზერბაიჯანისგან მიიღოს, გაზის მიღების წყაროების დივერსიფიცირების დეკლარირებულ მიზანს კატეგორიულად ეწინააღმდეგება. ეს კი ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია.

# კიდევ ერთი უპირობო შეთანხმება

ლიკა ჯობაძე

*გუშინ უკრაინულმა მხარემ ბუნებრივი აირის სატრანზიტო პროტოკოლს მოაწერა ხელი, რომლის თანახმადაც, ევროპა უკრაინის ტერიტორიის გავლით რუსულ გაზს მიიღებს. როგორც მოსალოდნელი იყო, ის ცვლილებები, რომელიც ოფიციალურმა კიევმა საკუთარი სურვილით შეიტანა, დოკუმენტიდან ამოიღეს. რუსეთის პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის მკაცრი განცხადებების შემდეგ ევროკომისიამ შეძლო, უკრაინა ამ ნაბიჯზე დაეყოლიებინა.*

ორშაბათს ოფიციალური კიევის მიერ გაზის სატრანზიტო პროტოკოლს ხელი უპირობოდ მოეწერა. ამის შესახებ გუშინ "გაზპრომის" ხელმძღვანელმა განაცხადა.

**"ევროკომისიის ექსპერტებმა გაზის საზომი სადგურის მონიტორინგი უკვე დაიწყეს. "გაზპრომის" დელეგაციამ კიევში მოლაპარაკებები გამართა, რომლის შედეგადაც უკრაინულმა მხარემ ევროპისთვის გაზის სატრანზიტო პროტოკოლი უპირობოდ გააფორმა,"** - აღნიშნა "გაზპრომის" მმართველი გუნდის წარმომადგენელმა ვალერი გოლუბოვმა.

უკრაინელმა მაღალჩინოსნებმა ამ დოკუმენტზე ხელი ორჯერ მოაწერეს. პირველად - კვირას ღამით, მაგრამ ევროკომისიის მიერ მომზადებულ დოკუმენტში უკრაინულმა მხარემ საკუთარი ინიციატივა შეიტანა, რამაც ოფიციალური მოსკოვი გააღიზიანა.

**"პირდაპირ გეტყვით - ტექსტში ნათქვამი გარკვეულ უკმაყოფილებას იწვევს იმის გამო, რომ ის მცდარ დადასტურებას შეიცავს. კერძოდ, დოკუმენტში ნათქვამია, რომ უკრაინამ რუსეთიდან მიწოდებული ტრანზიტული გაზი უდანაკარგოდ მიაწოდა ევროპას. ეს კი ევროკომისიის მიერ ხელმოწერილ დოკუმენტს ეწინააღმდეგება,"** - განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა პრეზიდენტ დმიტრი მედვედევთან შეხვედრისას.

უკრაინის ქმედებას რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის მკაცრი რეაგირება მოჰყვა. მედვედევმა ამ ფაქტს "მიღწეული შეთანხმების უხეში დარღვევის" შეფასება მისცა. **"ეს ცვლილება დოკუმენტში ტრანზიტული გაზის კონტროლზე მიღწეული შთანხმების დარღვევაზე მიუთითებს. უკრაინის ქმედება პროვოკაციულ და დესტრუქციულ ხასიათს ატარებს,"** - განაცხადა დმიტრი მედვედევმა და დასძინა, რომ ოფიციალური მოსკოვი იძულებულია, ხელმოწერილი დოკუმენტი გააუქმოს. **"ამ დოკუმენტს მანამ არ ექნება ძალა, სანამ უკრაინული მხარე ამ პირობას არ გააუქმებს,"** - აცხადებს რუსეთის პრეზიდენტი.

უკრაინის ქმედება კატეგორიულად გააპროტესტა რუსეთის პრემიერ-მინისტრმაც. ევროკომისიის წარმომადგენელ ჟოზე მანუელ ბაროზუსთან სატელეფონო საუბრისას ვლადიმირ პუტინმა განაცხადა, რომ რუსეთისა და ევროკომისიის მიერ ხელმოწერილ გაზის სატრანზიტო პროტოკოლში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება რუსეთისთვის მიუღებელია.

რუსეთის განრისხების შემდეგ, ჟოზე მანუელ ბაროზუ უკრაინის პრემიერ-მინისტრ იულია ტიმოშენკოს დაუკავშირდა და მასთან საუბრის შემდეგ განაცხადა, რომ ტიმოშენკო ძირითადი დოკუმენტიდან მათ მიერ შეტანილ ცვლილებებს ამოიღებს.

მეუღლე მანანა ჭელიძე, შვილები მამუკა, არჩილი, რძალი თამუნა მიქაშავიძე, მძახლები თამაზ მიქაშავიძე, ნინო ფანცულაია, ძმები თემურ და ომარ ჟღენტები ოჯახებით, დები ნაილი, ლიანა გაბუნიები ოჯახებით, შვილიშვილი ლიზი გაბუნია, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები ოჯახებით იუწყექიან, რომ გარდაიცვალა

**არჩილ (ბუთხუზი) არჩილის ძე გაბუნია**

პანაშვიდი: 13, 14 იანვარს;
გამოსვენება: 15 იანვარს, 14.00 სთ-ზე ვერის სასაფლაოზე მდებარე წმინდა პანტელეიმონის სახელობის ეკლესიიდან;
მისამართი: ჩოლოყაშვილის (ყოფილი 5 დეკემბრის) ქუჩა, მე-2 კვარტ. მე-5 კორპ. მე-7 სად.

## გარიგების მონაწილეებს ორთვიანი პატიმრობა შეუფარდეს

თბილისის საქალაქო სასამართლომ ყაზტრანსგაზ თბილისის" კომერციული დანაკარგების განყოფილების მთავარ სპეციალისტს ზაზა ოდიშვილისა და ამავე საწარმოს კრწანისის რაიონის ტექნიკური სამსახურის უფროსს სიმონ მახათაძეს აღმკვეთ ღონისძიების სახით ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

სასამართლომ ორთვიანი პატიმრობა შეუფარდა აგრეთვე, მახათაძესა და ოდიშვილთან ერთად დაკავებულ რესტორან ალავერდის" თანამშრომელს აკაკი ჯანელიძეს.

27 წლის ზაზა ოდიშვილი თბილგაზის" სისტემაში 2005 წლიდან მუშაობს, 2008 წლის 21 აგვისტოდან კი ყაზტრანსგაზ - თბილისის" კომერციული განყოფილების მთავარ სპეციალისტია.

26 წლის სიმონ მახათაძე კი 2008 წლის 23 იანვრიდან ყაზტრანსგაზ - თბილისის" ისან-ვაზისუბანი-კრწანისის სადისტრიბუციო ცენტრის ოსტატის თანამდებობაზე მუშაობდა.

ზაზა ოდიშვილი, სიმონ მახათაძე რესტორან ალავერდის" თანამშრომელი აკაკი ჯანელიძე შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა 10 იანვარს დააკავეს.

კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსის მოადგილის სოსო თოფურიძის ინფორმაციით, ზაზა ოდიშვილმა და სიმონ მახათაძემ მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურის შემცირების მიზნით, მრიცხველის მონაცემები გააყალბეს, რითაც ყაზტრანსგაზ - თბილისს" 41 ათასი ლარის ზარალი მიაყენეს.

მათ ამ საქმეში ხელი შეუწყო რესტორან ძალავერდის" თანამშრომელმა აკაკი ჯანელიძემ.

თუ ბრალდებულებს საქმის მასალების მიხედვით წაყენებული ბრალდება დაუმტკიცდებათ, მათ 5-წლიანი პატიმრობა ემუქრებათ.

**მედიანიუსი**

## სახალხო დამცველი შალვა რამიშვილის გათავისუფლებას ითხოვს

სახალხო დამცველმა ჟურნალისტ შალვა რამიშვილის პირობით ვადამდე გათავისუფლების თხოვნით საქართველოს იუსტიციის მინისტრ ზურაბ ადეიშვილს მიმართა.

როგორც მიმართვაშია აღნიშნული, გასათვალისწინებელია, რომ „რამიშვილის მიერ განხორციელებული პროგრამები ჟურნალისტიკაში ძველი სტერეოტიპების მსხვრევისა და თავისუფალი აზროვნების დამკვიდრებას უწყობდა ხელს."

„ვარდების რევოლუციის შემდეგ, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, როდესაც საქართველოში მკვეთრად შეიზღუდა თავისუფალი დებატები და ხელისუფლებამ ტელევიზიებზე უმკაცრესი ცენზურა დააწესა, შალვა რამიშვილის გადაცემები ლამის ერთადერთი წყარო იყო, საიდანაც საზოგადოებას შეეძლო, ოფიციალურისგან განსხვავებული, ალტერნატიული ინფორმაცია და შეხედულებები მიეღო," - ნათქვამია სახალხო დამცველის მიმართვაში.

ომბუდსმენის ინფორმაციით, დღეისათვის შალვა რამიშვილმა სასჯელის ნახევარზე მეტი უკვე მოიხადა და მხოლოდ ცხრა თვე დარჩა. მან ერთხელ უკვე მიმართა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მუდმივმოქმედ კომისიას პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლების თაობაზე, რაც სრულიად დაუსაბუთებელი მიზეზების გამო არ დაკმაყოფილდა.

„ბოლო ორი წლის განმავლობაში ამნისტიითა და შეწყალებებით გამოუშვეს რამდენიმე ათასი პატიმარი, რომელთა შორის არაერთი რეციდივისტია. მათ სასჯელის მეათედიც არ ჰქონდათ მოხდილი, არ დაუწერიათ შეწყალების შესახებ განცხადებები და არ ულიარებიათ მათ მიერ ჩადენილი დანაშაული. ეს ხდება მაშინ, როდესაც შალვა რამიშვილი შეწყალების კომისიამ ერთხელ უკვე შეიწყალა, მაგრამ საქართველოს პრეზიდენტმა მის შეწყალებას ხელი არ მოაწერა," - აცხადებს სოზარ სუბარი.

2008 წლის თებერვალში სახალხო დამცველმა წერილობით მიმართა და პირადადაც ესაუბრა საქართველოს პრეზიდენტს, რომელსაც შალვა რამიშვილის შეწყალება სთხოვა. როგორც ომბუდსმენი აცხადებს, პირად საუბარში საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ვერ ხედავს შალვა რამიშვილის გათავისუფლების პრობლემას, თუმცა ოპოზიციურ პარტიებს და საზოგადოების წარმომადგენლებს მისი გათავისუფლების მოთხოვნა უნდა შეეწყვიტათ, რათა არ შექმნილიყო შთაბეჭდილება, თითქოს მისი გათავისუფლება ვიღაცის გამარჯვებას ნიშნავდა, ან ვიღაცის ზეწოლით მოხდა.

„შალვა რამიშვილისთვის პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე, ისევე, როგორც შეწყალებაზე უარის თქმა პოლიტიკური კონიუნქტურის გამო ხდება და მისი პატიმრობა შურისძიებაა იმ კრიტიკული შეხედულებებისათვის, რასაც იგი საჯაროდ ავრცელებდა საინფორმაციო საშუალებებით," - ნათქვამია სახალხო დამცველის მიმართვაში.

**პირველი**

## ბუნებრივი აირის გაჟონვით ორი ადამიანი გარდაიცვალა

საბურთალოს რაიონში ბუნებრივი აირის გაჟონვას ორი მოხუცის სიცოცხლე ემსხვერპლა. გარდაცვლილები მეზობლებმა აღმოაჩინეს. როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, მოწამვლა სავარაუდოდ, კუსტარულად დამზადებულმა ჩინური წარმოების წყლის გამათბობელმა გამოიწვია. ამ დროისათვის მიმდინარეობს გამოძიება და ზუსტი დეტალები მისი დასრულების შემდეგ გახდება ცნობილი.

გარდაცვლილი მოხუცები გაზით ადრეც მოწამლნენ, მაგრამ მაშინ მათი გადარჩენა მეზობლებმა მოახერხეს.

**პირველი**

# „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის" ოფისი სახელმწიფოს გადაეცა

*თბილისის საქალაქო სასამართლომ „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის" ათონელის ქუჩაზე მდებარე ოფისის შენობა ოფიციალურად ჩამოართვა და სახელმწიფოს საკუთრებაში გადასცა.*

ჯერ კიდევ სასამართლო პროცესის დაწყებამდე, ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ეკა ბესელიამ საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და ტელეჟურნალისტებს სასამართლოს გადაწყვეტილების გამოცხადების გაშუქებისკენ მოუწოდა. გენერალური მდივანი ვარაუდობდა, რომ სასამართლო ათონელზე მდებარე ოფისს სახელმწიფოს გადასცემდა.

**„ჩვენი ვარაუდი გამართლდა და პარტიას კუთვნილი შენობა ჩამოართვეს. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვაგრძელებთ ბრძოლას და 14 დღეში სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას სააპელაციო სასამართლოში გავასაჩივრებთ,"** - განაცხადეს „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის" წარმომადგენლებმა გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოცხადებამდე, ორგანიზაციის წევრებმა სასამართლოს გადაწყვეტილება პოლიტიკურ სადამსჯელო აქტად შეაფასეს.

**ევროსასამართლო უკვე იხილავს ოქრუაშვილის განაცხადს, მის პოლიტიკურ დევნასთან დაკავშირებით. ოქრუაშვილის პოლიტიკური დევნის დამადასტურებელი ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტი გვაქვს - 10 სექტემბრის პარიზის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, ოქრუაშვილი საფრანგეთმა პოლიტიკურ დევნილად გამოაცხადა. სასამართლოს ეს გადაწყვეტილებაც ევროსასამართლოს გადაეგზავნება და იგი იქნება მორიგი ეპიზოდი პოლიტიკური პარტიის მიმართ ხელისუფლების დევნის დასადასტურებლად,"** - აცხადებენ მოძრაობის წევრები.

პროკურატურამ ოქრუაშვილის პარტიის ოფისის ჩამორთმევის მოთხოვნით, საქალაქო სასამართლოს 2008 წლის ოქტომბერში მიმართა. პროკურატურის არგუმენტით, ოქრუაშვილმა და მისმა პარტნიორებმა ათონელის ქ.№27-ში მდებარე შენობა უკანონო შემოსავლებით შეიძინეს. საქალაქო სასამართლომ საქმე სამი განხილვით დაასრულა.

# პატრულისთვის ქრთამის გადაცემის ფაქტები

საპატრულო პოლიციამ ქრთამის აღების ფაქტზე რამდენიმე პირი დააკავა. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, 2009 წლის 11 იანვარს, სასაზღვრო-გამშვებ პუნქტ ლაგოდეხში აზერბაიჯანი-საქართველოს საზღვრის სწრაფად და უპრობლემოდ გადაკვეთის სანაცვლოდ, აზერბაიჯანის მოქალაქე მაჰმედ მაზან ოღლი ნავრუზოვმა პატრულ-ინსპექტორ მესაზღვრე კონტროლიორს ქრთამი - 10 ლარი გადასცა. ამავე დღეს, სასაზღვრო-გამშვებ პუნქტ წითელ-ხიდზე" აზერბაიჯანი-საქართველოს საზღვრის სწრაფად და უპრობლემოდ გადაკვეთის სანაცვლოდ, აზერბაიჯანის მოქალაქე ხაბილ ნავრუზოვმა პატრულ-ინსპექტორ მესაზღვრე კონტროლიორს ქრთამი - 5 ლარი გადასცა. 2009 წლის 7 იანვრის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტ სადახლოზე თურქეთის მოქალაქე ახმედ გუსეინ ოღლი ქულელმა საქართველო-სომხეთის საზღვრის სწრაფად და უპრობლემოდ გადაკვეთის სანაცვლოდ, პატრულ-ინსპექტორ მესაზღვრე კონტროლიორს ქრთამად 5 ლარი მისცა.

ანალოგიური ფაქტები სხვადასხვა სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებზე 8, 9 და 10 იანვარსაც დაფიქსირდა.

სამართალდამცველების ცნობით, 2009 წლის 10 იანვარს, სასაზღვრო-გამშვებ პუნქტ წითელი ხიდზე" თურქეთის მოქალაქე იაშარ შაჰინოზმა საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის სწრაფად და უპრობლემოდ გადაკვეთის სანაცვლოდ, პატრულ-ინსპექტორ მესაზღვრე კონტროლიორს 10 აშშ დოლარი გადასცა. ხოლო სასაზღვრო-გამშვებ პუნქტ სადახლოში თურქეთის მოქალაქე ნალბანტი ფედატმა საქართველო-სომხეთის საზღვრის სწრაფად და უპრობლემოდ გადაკვეთისთვის პატრულ-ინსპექტორ მესაზღვრე კონტროლიორს 10 ლარი შესთავაზა.

2009 წლის 9 იანვარს, სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე წითელი ხიდი საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის გადაკვეთის სანაცვლოდ, აზერბაიჯანის მოქალაქე ეთიბარ ტურაბოვმა პატრულ-ინსპექტორ მესაზღვრე კონტროლიორს 20 ლარი გადასცა, ხოლო აზერბაიჯანის მოქალაქე ნეჰდი ნაბიევმა 10 ლარი.

ამავე დღეს, სასაზღვრო-გამშვებ პუნქტ ვალეში თურქეთის მოქალაქე ჯემალ ალაჯაქნათმა საქართველო-თურქეთის საზღვრის გადაკვეთის სანაცვლოდ, ავტომანქანაზე მინდობილობის ქართულ ენაზე თარგმანის უქონლობის გამო, პატრულ-ინსპექტორ მესაზღვრე კონტროლიორს 50 აშშ დოლარი მისცა.

2009 წლის 8 იანვარს, წითელი ხიდზე თურქეთის მოქალაქე სალიფ მანგუჩმა ინსპექტორ მესაზღვრე კონტროლიორს ქრთამი - 10 აშშ დოლარი გადასცა, ხოლო ფარმან ნიაზოვმა 10 აზერბაიჯანული მანათი.

დასახელებულ ფაქტებთან დაკავშირებით წინასწარ გამოძიებას სსკ-ის 339-ე მუხლით ქვემო ქართლის საპატრულო პოლიციის სამმართველო აწარმოებს.

**საკუთარი ინფორმაცია**

# ნაციონალური დანაშაულის ტალღა მოსკოვში

*ახალი წლის დღეებში, რუსეთის დედაქალაქში, ნაციონალურ ნიადაგზე განხორციელებული თავდასხმების რიცხვმა იმატა. ნაციონალისტების სამიზნეები ამჯერად მარტო კავკასიური წარმოშობის ადამიანები არ არიან.*

*2009 წლის პირველი ათი დღის განმავლობაში, შვიდ კავკასიელზე და სამ შუააზიელ მოქალაქეზე მოხდა თავდასხმა. ყველა მათგანს ჭრილობები დანით აქვს მიყენებული. დაჭრილთაგან სამი გარდაიცვალა. როგორც რუსეთის ხელისუფლების სპეციალური საიტიდან გახდა ცნობილი, ნაციონალისტი თავდამსხმელების საპოვნელად სპეციალური ჯგუფია შექმნილი.*

ახალი წლის დღეებში მომხდარი თადასხმების მსხვერპლთა შორის არიან უზბეკეთის, ყირგიზეთის, ჩინეთის მოქალაქეები. მოსკოველი სამართალდამცველები პირობას დებენ, რომ ქუჩებში დამონტაჟებულ ყველა ვიდეოკამერას წესრიგში მოიყვანენ, რაც მათ თავდამსხმელების პოვნა-დაკავებაში დაეხმარებათ. ყველა თავდასხმა და მკვლელობა, რომლებიც ნაცინალურ ნიადაგზე მოხდა, რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ კონტროლზეა აყვანილი.

ბოლო დღეებში მომხდარი თავდასხმების ბოლო მსხვერპლი აფრიკელი აღმოჩნდა. მისი ცხედარი მოსკოვის ერთ-ერთ სკვერში იპოვეს. გაირკვა, რომ ის თავდამსხმელებმა ჯერ სასტიკად სცემეს, შემდეგ კი დანით მიაყენეს რამდენიმე მძიმე ჭრილობა. მძიმედ დაჭრილი აფრიკელი საავადმყოფოში გარდაიცვალა.

მოსკოველი გამომძიებლები 20 წლის ვიეტნამელის მკვლელობის საქმესაც იძიებენ. სასტიკად ნაცემი და მძიმედ დაჭრილი ტანგ კაუკ ბინი გამვლელებმა ერთ-ერთ ქუჩაზე, ღამით იპოვეს. ის საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. როგორც გაირკვა, ვიდრე შემთხვევითი გამვლელები მას ნახავდნენ, მძიმედ დაჭრილმა ახალგაზრდა იაპონელმა მობილური ტელეფონით ახლობელთან დარეკვა და თავდამხმელთა ფიზიკური მონაცემების აღწერა შეძლო.

ახალი წლის დღეებში, რუსეთის დედაქალაქში ნაციონალისტების მიერ ჩადენილი დანაშაულები ჯერჯერობით გახსნილი არ არის. ყველა ფაქტთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გადაუდებელი სამძებრო-ოპერატიული სამუშაოები დამნაშავეების დასაკავებლად.

მოსკოვსკი კომსომოლეცის ინფორმაციით, გადაწყდა, რომ სკოლებში პროფესიონალ ექსპერტებს მიიწვევენ, რომლებიც ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ წაიკითხავენ ლექციებს.

რუსული პრესის ინფორმაციით, სამართალდამცველი ორგანოები უძლური არიან ნაციონალურ ნიადაგზე მომხდარი დანაშაულების ტალღის შეჩერებაში. ბოლო თვეების განმავლობაში, მოსკოვში კვირა არ გასულა ისე, რომ სწორედ ნაციონალურ ნიადაგზე მოხდარ მკვლელობასა თუ თავდასხმაზე არ ყოფილიყო საუბარი. მოსკოვის ქუჩებში ნაციონალისტები სასტიკად უსწორდებოდნენ არასალავური გარეგნობის ადამიანებს. მარტო დეკემბერის შუა რიცხვებში მოსკოვში ხუთი არასლავური გარეგნობის ადამიანი მოკლეს. როგორც სამართალდამცველები აცხადებენ, ყველა მკვლელობა ნეონაცისტური სცენარით იყო განხორციელებული.

ულტრანაციონალისტებმა ჩინოვნიკების მისამართითაც დაგზავნეს მუქარები. როგორც რუსულ პრესაში განმარტავენ, სწორედ მუქარის ნიშანი იყო ის ფაქტი, რომ ტაჯიკეთის ერთ-ერთი მოქალაქის მოჭრილი თავი ნაციონალისტებმა მუნიციპალურ ხელმძღვანელობას გაუგზავნეს.

# ევროპისთვის ბუნებრივი გაზის მიწოდება დღეს აღდგება

ხათუნა ბაბიევი

ბრიუსელის შეხვედრაზე ევროპისთვის უკრაინის გავლით რუსული გაზის მიწოდების აღდგენის შესახებ ისაუბრეს. "გაზპრომის" ხელმძღვანელის მოადგილე ალექსანდრ მედვედევის განცხადებით, ევროკავშირში რუსეთის ბუნებრივი გაზის მიწოდება დღეს დილის 10 საათზე უნდა აღდგეს. შეხვედრის შემდგომ გამართულ პრესკონფერენციაზე "გაზპრომის" წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უკრაინის გავლით "ცისფერი საწვავის" მიწოდების პრობლემა აღმოფხვრილია.

ალექსანდრ მედვედევის სიტყვებს ადასტურებს ევროკომისიის პრეზიდენტ ჟოზე მანუელ ბაროზუს განცხადებაც, რომლის თანახმადაც, მიწოდების აღსადგენად ყველა პირობა შესრულებულია.

ევროკომისიაში აცხადებენ, რომ 22 დამკვირვებელთაგან თავისი მოვალეობის შესრულებას უკვე უმრავლესობა შეუდგა.

ამავდროულად, რუსეთის მთავრობის პრეზიდიუმის სხდომის გახსნაზე პრემიერ-მინისტრ ვლადიმირ პუტინის თქმით, უკრაინამ ორშაბათს უყოყმანოდ მოაწერა ხელი დოკუმენტს "უკრაინის გავლით ბუნებრივი გაზის ტრანზიტის მონიტორინგის წესების" შესახებ.

**"ჩვენ მოვითხოვეთ უკრაინელი პარტნიორებისგან, რომ ამ დოკუმენტზე ჩვენთან შეუთანხმებელი ყოველგვარი დამატებითი პირობების წარდგენის გარეშე მოეწერათ ხელი, რაც დღეს აღსრულდა კიდეც,"** - განაცხადა ვლადიმირ პუტინმა.

თუმცა, უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე კონსტანტინ ელისეევის თქმით, ბუნებრივი გაზის ტრანზიტის პირობების გადახედვის მცდელობა უკრაინულ მხარეს არც ჰქონია.

**"ხელმოწერამდე მომზადდა წერილობითი დეკლარაცია, რომელიც, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ პოლიტიკური თვალსაზრისით გამოხატავს უკრაინის პოზიციას რუსული გაზის ტრანზიტის შესახებ და დეტალურად განიხილავს ხელმოწერილი დოკუმენტის ზოგიერთ დებულებას. უკრაინულ მხარეს ზემოხსენებულ წესებსა და პროცედურებზე დამატებითი პუნქტები ან ცვლილებები არ წარუდგენია,"** - განაცხადა კონსტანტინ ელისეევმა.

დიპლომატის თქმით, უკრაინას, სხვა ნებისმიერი სუვერენული სახელმწიფოს მსგავსად, ნებისმიერ საკითხზე თავისი პოზიციის გამოხატვის უფლება აქვს და მისთვის ამაში ხელის შეშლა არავის ძალუძს.

ევროკავშირმა დაადასტურა ის ფაქტი, რომ უკრაინამ ყველა მოთხოვნა დააკმაყოფილა. ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის - ჩეხეთის მრეწველობის მინისტრ მარტინ რიმანის განცხადებით, ოფიციალურ მოსკოვს ბუნებრივი გაზის მიწოდების შესაფერხებელი მიზეზი უკვე აღარ აქვს.

კომპანია "ნეფტოგაზ უკრაინის" ცნობით, ევროპელი დამკვირვებლები უკვე ჩავიდნენ უკრაინის სამხრეთ რეგიონებში და ბუნებრივი გაზის ტრანზიტზე მონიტორინგის განხორციელებას შეუდგნენ.



"გაზპრომის" ხელმძღვანელის მოადგილე ალექსანდრ მედვედევი.

AFP ' 2009

## ბრიუსელის შეხვედრა

შუა ზამთარში ევროკავშირისთვის მტკივნეულ თემაზე სასაუბროდ და რუსული გაზის აღსადგენად ბრიუსელს უკრაინული და რუსული დელეგაციები ეწვივნენ. თუმცა, რუსეთის დელეგაციამ ბრიუსელში გამგზავრებამდე დილით მოლაპარაკებები ჯერ კიევში გამართა.

რუსული მხრიდან "გაზპრომის" ხელმძღვანელობის გარდა, კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად რუსეთის ვიცე-პრემიერი იგორ სეჩინი და ენერგეტიკის უწყების მეთაური სერგეი შმატკოც გაემგზავრნენ. უკრაინას წარმოადგენდნენ ვიცე-პრემიერი გრიგორი ნემირია, საწვავისა და ენერგეტიკის მინისტრი იური პროდანი და "ნეფტოგაზის" ხელმძღვანელი ოლეგ დუბინა.

შეხვედრის დაწყებამდე მოელოდნენ, რომ მინისტერიალის მონაწილეებს გაზის კონფლიქტის გამო ყველაზე მეტად დაზარალებული ქვეყნები - ბულგარეთი, სლოვაკეთი და რუმინეთი მათთვის პირველადი დახმარების აღმოჩენის თხოვნით მიმართავდნენ.

## "უბადრუკი" შეთანხმება

**"ბუნებრივი გაზის ტრანზიტზე უკრაინის მიერ პირობების წაყენებით ხელმოწერილი პროტოკოლი საღი აზრის აბუჩად აგდებად და წარსულში მიღწეული შეთანხმებების დარღვევად მიმაჩნია,"** - განაცხადა კვირას რუსეთის პრეზიდენტმა დმიტრი მედვედევმა და განკარგულება გასცა, შეთანხმება არ შესრულებულიყო.

ასეთი განცხადების მიზეზი გახდა ის დეკლარაცია, რომელიც უკრაინულმა მხარემ პროტოკოლს დაურთო. დოკუმენტში კიევი ტექნიკური საჭიროების შემთხვევაში საკუთარი გაზის გამოყენებაზე ანუ გაზსადენის მუშაობის უზრუნველყოფაზე უარს ამბობდა. ამისთვის "ნეფტოგაზი" "გაზპრომს" ყოველდღიურად 21 მლნ კუბური მეტრის მოცულობის ბუნებრივ გაზს სთხოვდა.

გარდა ამისა, პროტოკოლის დამატებაში უარი იყო ნათქვამი უკრაინის მიწისქვეშა გაზის საცავებში "გაზპრომის" დამკვირვებლების დაშვებაზე.

"გაზპრომის" ხელმძღვანელმა ალექსეი მილერმა ოფიციალური კიევის მოთხოვნას გაზის ქურდობის ლეგალიზების მცდელობა უწოდა.

რუსეთის პრეზიდენტმა შეთანხმებას "უბადრუკი" ანუ იურიდიული ძალის არმქონე უწოდა. ამის პასუხოდ უკრაინის პრეზიდენტის წარმომადგენელმა რუსეთი მოლაპარაკებების გაჭიანურებაში დაადანაშაულა. ევროკავშირის აზრით, უკრაინული დეკლარაცია არ უნდა იყოს წინაღობა ბუნებრივი გაზის ტრანზიტისთვის.

**"კომისიაში მიაჩნიათ, რომ დეკლარაცია არ ახდენს გავლენას ტექნიკურ პირობებზე, რომელსაც ხელს აწერენ უკრაინა, რუსეთი და ევროკავშირი,"** - განუცხადა საინფორმაციო სააგენტო "როიტერს" ევროპული ადმინისტრაციის ოფიციალურმა წარმომადგენელმა.

## მონიტორინგი დაიწყო

ევროკომისიის წარმომადგენლები, რომლებიც ევროპისთვის რუსეთის ბუნებრივი გაზის ტრანზიტზე მონიტორინგის განსახორციელებლად უკრაინას 9 იანვარს ეწვივნენ, უკვე შეუდგნენ მუშაობას უკრაინის დასავლეთ და სამხრეთ სადგურებზე - "დროზდოვიჩი", "უჟგოროდი", "ბერეგოვო", "ტეკოვო" და "ორლოვკა".

უკრაინის სახელმწიფო კომპანია "ნეფტოგაზ უკრაინას" პრესსამსახურის თანახმად, უკრაინელი სპეციალისტები, აკრედიტებული უკრაინელი და რუსი სპეციალისტების თანდასწრებით, ევროპელ დამკვირვებლებს რუსეთის ტერიტორიიდან გაზის შემოდინების შესახებ მიაწოდებენ ცნობებს.

თავდაპირველად უკრაინა საკუთარ ტერიტორიაზე სტრანზიტო გაზსადენების მონიტორინგში რუსი დამკვირვებლების ყოფნის წინააღმდეგი იყო. უკრაინის პრემიერ-მინისტრ იულია ტიმოშენკოს განცხადებით, ამგვარი რამ შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის ტერიტორიაზე არსებულ გაზგამზომ სადგურებზე უკრაინელ დამკვირვებლებსაც ექნებოდათ მუშაობის საშუალება.

ასეა თუ ისე, უკრაინის გავლით რუსეთის ბუნებრივი გაზის მიწოდების შეჩერების გამო ასიათასობით ევროპელი მკაცრ ზამთარში გათბობის გარეშე დარჩა.

## დავის საფასური

დამკვირვებელთა თქმით, ევროპაში ბუნებრივი გაზის ტრანზიტის გამო კონფლიქტი მაინც უკრაინისთვის რუსული გაზის მიწოდების ფასის მიზეზით მოხდა.

**"ჩვენ დავადგინეთ თამაშის სამართლიანი წესები ცენტრალური აზიის პარტნიორებთან: ბუნებრივ გაზზე ვადგენთ ევროპულ ფასს ტრანზიტის გამოკლებით. ჩვენ ვუშვებთ იმდენ ნავთობსა და გაზს, რამდენის მოწოდებაც მათ შეუძლიათ ჩვენთვის. როგორც პუტინმა განაცხადა, ჩვენ არ ვართ ალტერნატიულ პროექტ "ნაბუკო" წინააღმდეგები. როგორც ხედავთ, პატიოსნად ვთამაშობთ. მხოლოდ საჭიროა, რომ ეს წესები ყველასთვის არსებობდეს. წარმოიდგინეთ, მიდიხართ ბანკში კრედიტის ასაღებად და იქ გეუბნებიან - თუ შეიძლება, შეავსეთ ცარიელი ფურცელი და შემდეგ დაგიდგენთ პროცენტებს და მიგიწერთ დამატებით პროტოკოლებს. ვფიქრობ, თქვენ არცთუ სასიამოვნო მდგომარეობაში აღმოჩნდებოდით,"** - აღნიშნავს ნაციონალური სტრატეგიის ინსტიტუტის ექსპერტი იური სოლოზობოვი.

თავის მხრივ, უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული დიპლომატიური აკადემიის საგარეო პოლიტიკის ინსტიტუტის დირექტორი გრიგორი პერეპელიცა მიიჩნევს, რომ შეუძლებელია, რუსეთის ფასის პოლიტიკას ბაზრის წესების პატიოსანი თამაში უწოდო.

**"რუსეთის უმთავრესი ამოცანაა უკრაინას გაზსატრანსპორტო სისტემა წაართვას და თავის კონტროლს დაუქვემდებაროს. სწორედ ამის გამო ზრდის ფასს 450 აშშ დოლარამდე. მარტივი სათქმელია, რომ შესაძლებელია ფასის 770 აშშ დოლარამდე აწევა. იმის თქმა, რომ ცენტრალური აზიის გაზის საფასური 340 აშშ დოლარია - უბრალოდ, ბლეფია. ეს ფასი ოფიციალურად არც უზბეკეთსა და არც თურქმენეთს არ დაუდასტურებიათ. უფრო სავარაუდოა, რომ პუტინი, უბრალოდ, თამაშობს ფასების მაქსიმალურად გასაზრდელად, რათა შემდეგ ამ ღირებულებიდან ცენტრალურ-აზიელ პარტნიორებს მისცეს რამე,"** - აღნიშნავს პერეპელიცა.

## გაზსადენების პრივატიზაცია არ მოხდება

უკრაინაში რუსეთის ელჩ კონსტანტინ გრიშჩენკოს განცხადებით, უკრაინის გაზსადენები ნაციონალურ საკუთრებაში რჩება.

**"ამ სისტემების პრივატიზაციასა თუ მისაკუთრებაზე საუბარიც ზედმეტია,"** - განაცხადა ორშაბათს კიევში გამართულ პრესკონფერენციაზე კონსტანტინ გრიშჩენკომ.

რუსეთის ელჩის ზემოაღნიშნული განცხადება თავისებური კომენტარი იყო ვლადიმირ პუტინის ინტერვიუსი, რომელიც მან გერმანულ ტელეარხ "ARD"-ს მისცა. ინტერვიუში რუსეთის პრემიერმა განაცხადა მოსკოვის მზადყოფნის შესახებ, მონაწილეობა მიიღოს გაზსადენების პრივატიზაციაში, თუკი ამას უკრაინული მხარე მოისურვებს. პუტინის აზრით, უკრაინაში გაზსატრანსპორტო სისტემის "გაფეტიშება" ხდება.

## სერგეი ლავროვი რუსული დიპლომატიის "მიღწევებზე" ისაუბრებს

16 იანვარს რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობაში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი რუსი და უცხოელი ჟურნალისტებისთვის პრესკონფერენციას გამართავს.

პრესკონფერენცია შემაჯამებელი იქნება და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი 2008 წელს "რუსული დიპლომატიის წარმატებებზე ისაუბრებს".

პრესკონფერენცია მოსკოვის დროით 11:00 საათზე დაიწყება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## "დრუგაია როსია" მოსკოვსა და პეტერბურგში საპროტესტო აქციებს გამართავს

ოპოზიციური კოალიცია "დრუგაია როსია" 31 იანვარს მოსკოვსა და პეტერბურგში საპროტესტო აქციების გამართვას გეგმავს. ორგანიზაციამ გადაწყვიტა, რომ ქალაქების მმართველობებში განაცხადები აღარ შეიტანოს და აქციის გასამართად მთავრობას ნებართვა აღარ სთხოვოს.

"დრუგაია როსიას" ერთ-ერთმა ლიდერმა ედუარდ ლიმონოვმა სააგენტო "ინტერფაქსს" განუცხადა, რომ აქცია კონსტიტუციის 31-ე მუხლის დასაცავად გაიმართება, რომელიც შეკრებების და საპროტესტო აქციების გამართვის თავისუფლებას ითვალისწინებს. ლიმონოვის განცხადებით, გამორიცხული არ არის საპროტესტო აქციები რუსეთის სხვა ქალაქებში ჩატარდეს.

ორგანიზაციის გადაწყვეტილება - საპროტესტო აქციის გასამართად მთავრობას ნებართვა აღარ სთხოვოს, ლიმონოვმა ასე ახსნა : "უკვე რამდენიმე წელია, მერიაში ჩვენ, უბრალოდ, დაგვცინიან. ამას სხვა რამეს ვერ უწოდებ - აქციის გასამართად საჭირო ნებართვის გაცემაზე უარს იმ მოტივით ამბობენ, რომ მოედანი უკვე დაკავებულია," - აღნიშნა ლიმონოვმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## სტრასბურგში კულტურათაშორისი დიალოგის შესახებ ოფიციალური დოკუმენტის აღსანიშნავად პრესკონფერენცია გაიმართება

15 იანვარს 11.00 საათზე სტრასბურგში კულტურათაშორისი დიალოგის შესახებ ოფიციალური დოკუმენტის იტალიური პუბლიკაციის აღსანიშნავად საგანგებო პრესკონფერენცია გაიმართება.

პრესკონფერენციას დაესწრებიან ლუიჯი ვიტალი - იტალიელი პარლამენტარი და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტი; სანდრო ბონდი - კულტურის მინისტრი; ჯანი ალემანო - რომის მერი; ჯერარდო ლა ფრანჩესკა - საგარეო საქმეთა სამინისტროში გენერალური დირექტორი; გაბრიელა ბატაინი დრაგონი - კულტურათაშორისი დიალოგის კოორდინატორი, ევროპის საბჭოს განათლების, კულტურისა და მემკვიდრეობის, ახალგაზრდობისა და სპორტის გენერალური დირექტორი.

კულტურათაშორისი დიალოგის შესახებ ოფიციალური დოკუმენტი, სახელწოდებით "ერთად ცხოვრება, თანასწორად და ღირსეულად", ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა ორგანიზაციის 47 წევრი ქვეყნის მთავრობებთან გამართული ვრცელი საკონსულტაციო პროცესის შემდგომ 2008 წლის 7 მაისს მიიღო. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ვაშინგტონში ბარაკ ობამას ინაუგურაციისა და ტრადიციული აღლუმის სრული რეპეტიცია გაიმართა

11 იანვარს ვაშინგტონში ბარაკ ობამას ინაუგურაციისა და ტრადიციული აღლუმის სრული რეპეტიცია გაიმართა. ღონისძიება, დაახლოებით, 5 საათს გაგრძელდა.

პრეზიდენტის ფიცის დადებისას ბარაკ ობამასა და ჯო ბაიდენის როლები მათი მსგავსი აღნაგობისა და კანის ფერის ორმა სამხედრომ შეასრულა. ობამას როლი 26 წლის სერჟანტს, აფროამეირკელ დერიკ ბრუკსს ერგო. აშშ-ს მომავალ ვიცე-პრეზიდენტ ჯოზეფ ბაიდენს კი კაპრალი ნიკოლას რაპლი ანსახიერებდა.

ცერემონიაზე მომავალი პირველი ლედის როლში იყო 38 წლის სამხედრო მოსამსახურე, აფროამერიკელი ლასინ მაკრეი, ხოლო ობამას შვილების მალიასა და საშას როლები მათმა თანატოლებმა, დომინიკ სიუელმა და ჯინა სამორა ნიქსონმა შეასრულეს.

რეპეტიციის დროს, რომელსაც 350 ჟურნალისტი აშუქებდა, "ჯორჯ ბუშის" როლი კიდევ ერთმა სამხედრო მოსამსახურემ შეასრულა.

ბარაკ ობამას ინაუგურაცია, სავარაუდოდ, 40 მლნ დოლარი დაჯდება.

მომავალი ინაუგურაციისა და აღლუმის უსაფრთხოებას ეროვნული გვარდიის 10 ათასი სამხედრო მოსამსახურე, ვაშინგტონის პოლიციის 8 ათასი ოფიცერი და ასევე სხვა ქალაქიდან ჩამოყვანილი პოლიციელები უზრუნველყოფენ.

აშშ-ს 44-ე პრეზიდენტის ინაუგურაციის ცერემონია 20 იანვარს გაიმართება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## უკრაინის პრეზიდენტმა უნგრეთში ვიზიტი გადადო

უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იუშჩენკომ უნგრეთში დღეისთვის დაგეგმილი ვიზიტი გადადო.

უკრაინის სახელმწიფო მეთაურის პრესსამსახური იუწყება, რომ ვიზიტის გადადების მიზეზი იმ გადაუდებელი საკითხების გადაწყვეტის აუცილებლობაა, რომელიც ევროპელი მომხმარებლისთვის რუსული გაზის ტრანზიტის აღდგენას უკავშირდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ყირგიზეთის ხელისუფლება ქვეყანაში განთავსებულ აშშ-ს ავიაბაზის დახურვას გეგმავს

ყირგიზეთის ხელისუფლება ქვეყანაში განთავსებული აშშ-ს ავიაბაზის დახურვას გეგმავს. ამის შესახებ ინფორმაციას რუსული გამოცემა "ვრემია ნოვოსტეი" ავრცელებს. გამოცემა მთავრობასთან დაახლოებულ წყაროზე დაყრდნობით იუწყება, რომ ყირგიზეთის ხელმძღვანელობა რესპუბლიკის ტერიტორიაზე ამერიკული ავიაბაზის განთავსების შესახებ შეთანხმების გაუქმებას უახლოეს ხანებში აპირებს. თუმცა ბიშკეკს ამაზე ოფიციალური კომენტარი ჯერ არ გაუკეთებია. გამოცემის მტკიცებით, ყირგიზეთის პრეზიდენტი ყურმანბეკ ბაკიევი შესაბამის ბრძანებას მოსკოვში ვიზიტამდე გამოსცემს. ეს ვიზიტი კვირის ბოლოს არის დაგეგმილი. გაზეთის ინფორმაციით, ამერიკულ მხარეს ბაზის მუშაობის შესაჩერებლად ნახევარ წელს მისცემენ. გამოცემა ასევე აღნიშნავს, რომ ბაკიევის მოსკოვში ვიზიტისას რესპუბლიკისთვის 2 მლრდ დოლარის ფინანსური დახმარების გამოყოფის შეთანხმების გაფორმება იგეგმება. რუსეთის ხელისუფლებამ ყირგიზეთისთვის დახმარების გამოყოფის შესახებ დეკემბრის შუა რიცხვებში განაცხადა. ამ დახმარებიდან 300 მლნ დოლარი კრედიტი და 1,7 მლრდ დოლარი ინვესტიცია იქნება. აშშ-ის სამხედრო ბაზა ბიშკეკიდან რამდენიმე ათეულ კილომეტრში აეროპორტ "მანასშია" განლაგებული. მას ამერიკელები 2001 წლიდან იყენებენ. ის ავღანეთში კოალიციური ძალების ოპერაციების მხარდასაჭერად შეიქმნა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## არგენტინაში 400-მა ღატაკმა შიმშილობა გამოაცხადა

არგენტინის ულარიბესი მხარის ჰუჰუის 400 მცხოვრებმა ყურადღების მისაქცევად შიმშილობა გამოაცხადა. ამის შესახებ ჟურნალისტებს უფლებათადამცველმა და ნობელიანტმა ადოლფო პერეს ესკიველმა შეატყობინა.

საპროტესტო აქცია ბოლივიის საზღვართან ახლომდებარე ქალაქ კიაკაში ჩატარდება. პერესის თქმით, შიმშილობა პრობლემის მოგვარებამდე გაგრძელდება. აქციაზე გამოსულები ამ ქმედებით ეცდებიან, ხელისუფლების ყურადღება გაამახვილონ ჰუჰუის მკვიდრთა ცხოვრების დონეზე, სადაც მოსახლეობის 30 პროცენტი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს. **მედიანიუსი**

## ინდოეთმა და აშშ-მ სარეკორდო ღირებულების სამხედრო კონტრაქტი გააფორმეს

ინდოეთის თავდაცვის სამინისტრომ ამერიკულ კომპანია "ბოინგთან" გააფორმა ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, ინდოეთი რვა უახლეს "პ-8ი პოსეიდონის" ტიპის საპატრულო თვითმფრინავს მიიღებს. კონტრაქტის ღირებულება 2,1 მილიარდ დოლარს შეადგენს, რაც ინდოეთსა და აშშ-ს სამხედრო თანამშრომლობაში სარეკორდო მაჩვენებელია. პირველ "პოსეიდონს" ინდოეთი 2014 წელს, დანარჩენ თვითმფრინავებს კი, მომდევნო 3-4 წლის განმავლობაში მიიღებს. თვითმფრინავებს მათი ექსპლუატაციის მანძილზე "ბოინგის" სპეციალისტები მოემსახურებიან. ინდოეთის სამხედრო-საზღვაო ძალებმა შორი მოქმედების საპატრულო თვითმფრინავების შეძენაზე ტენდერი 2005 წელს გამოაცხადა. ტენდერში მონაწილეობა მიიღეს "ბოინგმა", "ლოქიდ მარტინმა", "დესულთ ევიეიშენმა", "ფინმექანიქამ", "იეიდიეს-სიეიესეიმ", "იმბრეირმა" და "ილუშინმა". 2007 წლისთვის პრეტენდენტთა რიცხვი ორამდე შემცირდა და საბოლოოდ, ინდურმა მხარემ "იეიდიეს-სიეიესეის" "ა319 ეირბასს" "პ-8ი პოსეიდონი" ამჯობინა. ამ დროისთვის ინდოეთის არმიას შეიარაღებაში გააჩნია ტუ-95-ის სტრატეგიული ბომბდამშენის ბაზაზე შექმნილი ტუ-142 ტიპის ნავსაწინააღმდეგო ხომალდები. პირველი ტუ-144 ინდოეთმა 1988 წელს, ბოლო კი, 2007 წელს შეიძინა. განვითარებად ქვეყნებს შორის ინდოეთი შეიარაღების ყველაზე აქტიური ექსპორტიორია. 1,2 მილიონიანი არმიის მოდერნიზაციისთვის ოფიციალური დელი 2012 წლამდე 30 მილიარდი დოლარის დახარჯვას აპირებს. **მედიანიუსი**

## ეკონომიკური კრიზისი ავსტრალიის არმიას დაეხმარა

ეკონომიკური კრიზისი ავსტრალიის არმიას ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი საკადრო კრიზისის დაძლევაში დაეხმარა. პოტენციური რეკრუტების რიცხვი 2008 წლის 1 დეკემბრიდან, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, 20 პროცენტით გაიზარდა. ავსტრალიის თავდაცვის სამინისტროს განმარტებით, ქვეყანაში უმუშევრობის ზრდა და ხვალინდელი დღის შიში არმიაში სამსახურს უფრო მიმზიდველს ხდის. განსაკუთრებით ეს სასწავლებლების კუსდამთავრებულებს ეხებათ, რომელთაც გამოცდილების არქონა სამსახურის დაწყებაში ხელს უშლით. ყველაზე დიდი პოპულარობით სამხედრო-საჰაერო ძალები სარგებლობს - აქ სამსახურის მსურველთა რიცხვმა 27 პროცენტით მოიმატა. საზღვაო და ქვეით ძალებში სამსახურის დაწყების მსურველთა რიცხვი კი, შესაბამისად, 22 და 15 პროცენტით გაიზარდა.

ეკონომიკური კრიზისის გამო ავსტრალიის არმიას არა მხოლოდ ახალწვეულთა მიზიდვის, არამედ კვალიფიციური კადრების შენარჩუნების საშუალებაც ეძლევა. კერძოდ, იმის შიშით, რომ სამოქალაქო სექტორში ვერ დასაქმდებიან, ბევრი ოფიცერი არმიასთან ხელშეკრულებას აგრძელებს. გამომდინარე იქიდან, რომ ავსტრალიაში უმუშევრობამ, შესაძლოა, 4,4 პროცენტიდან 8 პროცენტამდე შეადგინოს, არმიაში სამსახური უფრო მიმზიდველი იქნება.

2008 წელს ავსტრალიის არმიის რაოდენობა 1,5 ათასით გაიზარდა და პირადი შემადგენლობის რიცხვმა 50 ათასი შეადგინა. 2016 წლისთვის ავსტრალიას 57-ათასიანი არმია ეყოლება. **მედიანიუსი**

# პრეზიდენტ ბუშის დასკვნითი პრესკონფერენცია

*გუშინ ვაშინგტონში აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა თავისი ლიდერობის რვაწლიანი პერიოდის შემაჯამებელი პრესკონფერენცია გამართა. 20 იანვარს მსოფლიოს ზესახელმწიფოს მართვის სადავეებს ოფიციალურად ჩაიბარებს ახალი პრეზიდენტი ბარაკ ობამა. მანამდე კი, უკვე წარმავალმა ლიდერმა ჯორჯ ბუშმა თეთრ სახლში ჟურნალისტებს პრეზიდენტის რანგში უკანასკნელად უმასპინძლა.*



AFP ' 2009

**"მე კატეგორიულად არ ვეთანხმები გავრცელებულ შეფასებას, რომ თითქოს ამერიკის მორალურ პოზიციებს ჩემი პრეზიდენტობის დროს ზიანი მიადგა. შესაძლოა, ზოგიერთ ელიტებში ამის არ სჯერათ, მაგრამ ხალხებს კვლავინდებურად ესმით, რომ ამერიკა არის ქვეყანა, რომელიც კვლავ იძლევა იმედს მსოფლიოში,"** - განაცხადა ჯორჯ ბუშმა.

**"ჩემის აზრით, მსოფლიოს ხალხთა უმრავლესობა პატივს სცემს ამერიკას, თუმცა მე მათიც მესმის, ვისაც არ ვუყვარვარ,"** - დასძინა აშშ-ს პრეზიდენტმა.

მან აშშ-ს ეკონომიკაზეც გაამახვილა ყურადღება. ბუშის თქმით, მისმა ადმინისტრაციამ ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღებისათვის გადამჭრელი ზომები მიიღო, რაც შემდგომ უკვე მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა დათრგუნა.

**"მე მიმაჩნია, რომ ჩვენ მიერ განხორციელებულმა ზომებმა საკრედიტო ბაზრის გალღვობა გამოიწვია, რაც ეკონომიკის გამოსაცოცხლებლად პირველი ნაბიჯი იყო. ჩვენ არაორდინალური გადაწყვეტილებები მივიღეთ, რათა გაგვედნო ის გაყინული საკრედიტო ბაზრები, რომლებიც ეკონომიკაზე ცუდ გავლენას ახდენდნენ,"** - განაცხადა ბუშმა. მისი თქმით, ამის შედეგად კრედიტების პროცენტები შემცირდა, ხოლო თავად საკრედიტო პროცესი გაიზარდა.

დასმულ შეკითხვაზე, თუ რას მიიჩნევს თავისი პრეზიდენტობის დროს დაშვებულ ყველაზე დიდ შეცდომად, ჯორჯ ბუშმა ავიამზიდ "აბრაამ ლინკოლნიდან" წარმოთქმული სიტყვა გაიხსენა, როდესაც მან ერაყში მიღწეული გამარჯვების შესახებ განაცხადა. პრესკონფერენციაზე ჯორჯ ბუშმა აღნიშნა, რომ ეს ნაჩქარევად გადადგმული და არასწორი ნაბიჯი იყო.

ჯორჯ ბუშმა ახლო აღმოსავლეთში განვითარებულ მოვლენებზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ ის, რაც ამჟამად ღაზას სექტორში ხდება, **"ჰამასის არჩევანია."**

ხანმოკლე პრესკონფერენციის დასასრულს პრეზიდენტმა არც ჟურნალისტები დაივიწყა და მათ გაწეული სამუშაოსთვის და თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადა. **"მე თქვენ გაფასებთ. ზოგჯერ არ მომწონდა თქვენი მასალები, თუმცა დიდ მადლობას გიხდით,"** - განაცხადა ბუშმა.

მეუღლის პრესკონფერენციის პარალელურად, ერთგვარი შემაჯამებელი ინტერვიუ მისცა ტელეკომპანია "ფოქს ნიუსს" ამერიკის პირველმა ლედიმ ლორა ბუშმა. ის კატეგორიულად არ ეთანხმება ჯორჯ ბუშის მიმართ გამოთქმულ კრიტიკულ მოსაზრებებს. **"მე ვიცი, რომ ეს ასე არ არის. არ მიმაჩნია, რომ ამ ხალხს პასუხი უნდა გავცე. ყველაფერს ისტორია განსჯის,"** - განაცხადა პრეზიდენტის მეუღლემ. მან ჯორჯ ბუშის წარმატებებიდან ერაყში და ავღანეთში დესპოტური რეჟიმების დამხობა აღნიშნა. მისი თქმით, ჯორჯ ბუშმა საერთაშორისო ტერორიზმისათვის საკადრისი პასუხის გაცემა შეძლო. **"ჩემი აზრით, ეს ძალიან მნიშვნელოვანია,"** - დასძინა პირველმა ლედიმ.

# "ჩამოსხმული ტყვიის" მე-18 დღე

### განხეთქილება ისრაელის ხელისუფლებაში

ისრაელის მიერ ღაზას სექტორში წამოწყებული ანტიტერორისტული ოპერაცია, სახელწოდებით "ჩამოსხმული ტყვია", მე-18 დღეა, მიმდინარეობს. ძლიერი წინააღმდეგობის მიუხედავად, ისრაელის ტანკებმა ორშაბათს ქალაქ ღაზას საცხოვრებელ კვარტალში შეაღწიეს. "სქაი ნიუსის" თანახმად, ისრაელის ქვეითი ჯარი რადიკალური პალესტინური მოძრაობა "ჰამასის" შეიარაღებულ მომხრეებთან ქალაქის ქუჩებში ბრძოლას განაგრძობს.

ირანულ ტელეარხ "პრესტვ"-ს მონაცემებით, ისრაელელი ჯარისკაცები, რომლებსაც უკვე რეზერვისტებიც შეუერთდნენ, ღაზაში "ჰამასის" ბოევიკების მხრიდან ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდნენ. განსაკუთრებით მძაფრი ბრძოლები მიმდინარეობს ქალაქის აღმოსავლეთ და სამხრეთ რაიონებში.

ებრაული სამხედრო დაზვერვის მონაცემებით, ღაზაში ისრაელის შეჭრის შემდეგ ბოევიკების საბრძოლო შესაძლებლობები მკვეთრად შემცირდა.

**"ექსტრემისტებს საბრძოლო მასალებისა და ამუნიციის დეფიციტი აქვთ,"** - განაცხადა გაზეთ "ჰაარეცთან" ინტერვიუში ისრაელის სამხედრო დაზვერვის ხელმძღვანელმა ამოს იადლინმა.

მისივე თქმით, სამხედრო ოპერაციის მსვლელობისას განადგურდა "ჰამასის" რამდენიმე გავლენიანი წევრი. "ჰაარეცის" ხელთ არსებული მონაცემების თანახმად, ისრაელის ტერიტორიის მისამართით ღაზას სექტორიდან სარაკეტო იერიშების ინტენსივობა თითქმის განახევრდა.

ალსანიშნავია ისიც, რომ ანკლავის მიმართულებით უკვე აიღო გეზი ჰუმანიტარული ტვირთით სავსე პირველმა კოლონამ. ავტოკოლონა საუდის დედაქალაქიდან ეგვიპტურ ქალაქ ელ-არიშამდე "სახმელეთო ხიდით" მიემართება. საყოფაცხოვრებო ნივთებით, მედიკამენტებითა და ტანსაცმლით დატვირთული კოლონა 50 სატვირთო და 30 სასწრაფო დახმარების ავტომობილისგან შედგება.



AFP ' 2009

*ისრაელმა ბრძოლებში რეზერვისტები ჩართო.*

თუმცა, ღაზას სექტორისთვის საუდის არაბეთის მხრიდან ჰუმანიტარული ტვირთის მიწოდება მხოლოდ სახმელეთო მარშრუტებით არ ხდება, არაბული სამყარო კონფლიქტის ზონაში დარჩენილ მოსახლეობას საჰაერო ტრანსპორტის მეშვეობითაც ეხმარება და ამ გზით პირველადი დანიშნულების ნივთებს აწვდის. ერ-რიადიდან ელ-არიშის აეროპორტში ჩატანილია 150 ტონაზე მეტი მედიკამენტები, საყოფაცხოვრებო და პირველადი დანიშნულების საგნები. სამეფოში გრძელდება ფულადი დახმარების შეგროვებაც. ამჟამინდელი მონაცემებით, პალესტინელთათვის ფულადი შემოწირულობა 177 მლნ საუდის რიალს, დაახლოებით, 45 მლნ აშშ დოლარს შეადგენს.

ღაზას სექტორში ისრაელის სამხედრო ოპერაცია გასული წლის 27 დეკემბერს დაიწყო და მიმდინარე წლის 3 იანვრამდე მხოლოდ საავიაციო დარტყმებით შემოიფარგლებოდა. მოგვიანებით ანტიტერორისტულ ოპერაციაში ქვეითი ჯარი და რეზერვისტთა ნაწილიც ჩაერთო. ოპერაცია "ჩამოსხმული ტყვიის" მიზანი, ისრაელის ხელისუფლების თქმით, პალესტინური მხრიდან სარაკეტო-ნაღმსატყორცნი ჭურვებით იერიშების შეწყვეტაა. პალესტინურ მხარეს დაღუპულთა რაოდენობა 900-ს აღწევს, დაჭრილთა რაოდენობა კი - 4 ათასს. ისრაელის მხრიდან "ჩამოსხმულ ტყვიას" 13 პირი (მათ შორის სამი სამოქალაქო და ათი სამხედრო მოსამსახურე) შეეწირა, ხოლო სხეულის დაზიანება 130 ადამიანმა მიიღო.

ღაზას სექტორში წამოწყებული სამხედრო ოპერაციის მე-17 დღეს უკვე დაიწყო განხეთქილება თავად ისრაელის ხელისუფლებაში. პრემიერ-მინისტრი ეჰუდ ოლმერტი პოზიციას არ ცვლის და დაჟინებით მოითხოვს ოპერაციის გაგრძელებას, თავდაცვის მინისტრი ეჰუდ ბარაკი და საგარეო საქმეთა მინისტრი ციპი ლივნი კი უკვე ემხრობიან "ჩამოსხმული ტყვიის" დასრულებას. სწორედ ამიტომ ოლმერტს ამ საკითხის სამთავრობო სხდომაზე გატანა სურს, თანაც მას უმრავლესობაც უჭერს მხარს.

"ნიუსრუ ისრაელის" თანახმად, ციპი ლივნი თავის პოზიციას შემდეგი მოტივაციით ხსნის - ისრაელმა დასახულ მიზანს უკვე მიაღწია, ხოლო ოპერაციის გაგრძელებამ ქვეყნის ინტერესებს შეიძლება მხოლოდ ავნოს. ეჰუდ ბარაკი კი "ჰამასის" წარმომადგენლებთან მშვიდობის აღსადგენად მოლაპარაკებების დაწყებას ემხრობა.

გაზეთ "ჰაარეცის" თანახმად, მთავრობის წევრები მხარს არ უჭერენ ციპი ლივნის, ხოლო ეჰუდ ბარაკის პოზიციას მხოლოდ რამდენიმე მინისტრი იზიარებს. მთავრობის წევრების უმრავლესობა და უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელები ოპერაციის გაფართოების მომხრენი არიან.

თუმცა, ციპი ლივნი თავისი პოზიციის საჯაროდ გამოთქმას არ ჩქარობს, რასაც ორიოდე დღის წინ მის მიერ რადიოინტერვიუში ნათქვამი სიტყვებიც ადასტურებს. ლივნის განცხადებით, ანტიტერორისტული ოპერაცია მანამ გაგრძელდება, ვიდრე ყველა დასახული ამოცანა არ შესრულდება. მინისტრმა კონკრეტული ვადების დასახელებაზე უარი თქვა.

საყურადღებოა ისიც, რომ პრემიერ-მინისტრი ეჰუდ ოლმერტი თანამდებობას 10 თებერვალს, ქნესეთში დანიშნული არჩევნების შემდეგ დატოვებს. არჩევნებში თავდაცვის მინისტრი ეჰუდ ბარაკი მონაწილეობას მიიღებს, როგორც პარტია "ავოდას" ლიდერი, მაშინ როცა საგარეო უწყების ხელმძღვანელი ციპი ლივნი პარტია "კადიმას" უხელმძღვანელებს.

# რევიუ



AFP ' 2009

*ავსტრალია, სიდნეის დიდმა ცირკმა ახალი წლის დასაწყისიდანვე ახალი პროგრამა შესთავაზა მაყურებელს. მსოფლიოს პრესა ალაპარაკდა ამ პროგრამის სილამაზესა და მსახიობთა მიერ ვირტუოზულად შესრულებულ ტრიუკებზე. თუმცა, ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ახალი პროგრამა ესტეტიკით გამოირჩევა. სიდნეის საცირკო თეატრის მაგალითზე, შეიძლება კიდევ ერთხელ აღინიშნოს ის, რაც ისედაც ცნობილია: თანამედროვე ცირკი მაღალი და რაფინირებული ხელოვნების სიმაღლეებისკენ მიისწრაფვის და ვინ იცის ამ გზაზე რა შეუმლით ხელს მსახიობებს, რომლებიც თუნდაც სიდნეიში, ყოველ საღამოს ასრულებენ დადგმას "ჰაეროვანი სიზმრები", - წარმოდგენას ჰაერში, რომელსაც უახლოეს ხანებში მსოფლიოს დიდ ქალაქებშიც იხილავენ.*

## ვინი პუჰი ტყეში ბრუნდება

### ალან მილნის ცნობილი ნაწარმოების გაგრძელება 2009 წელს გამოვა

უდავოა უოლტ დისნეი ანიმაციის ჯადოქარი იყო, მაგრამ პლუშის დათუნია ვინის შესახებ გადაღებული ვერც ერთი მისი ფილმი ახლოსაც ვერ მივა ვინის ისტორიის საბჭოთა მულტიპლიკაციურ ანალოგთან. მულტფილმი კი, როგორც იცით, ინგლისელი მწერლის, ალან მილნის მიერ 1926 წელს დაწერილი წიგნის მიხედვითაა გადაღებული. 83 წლის შემდეგ კი ვინი პუჰის ისტორია გრძელდება. ეს სენსაციური ინფორმაცია ორიოდე დღის წინ გახდა ცნობილი და მხოფლიო ლიტერატორების განხილვის თემად იქცა.

როგორც ინგლისური პრესა წერს, ეს წამოწყება სრულიად აბსურდულია და ალბათ ყოველთვის მოწყენილ იოიოსაც გააცინებდა. ინგლისში დიდი სიფრთხილით ეკიდებიან ასეთი მნიშვნელობის მქონე ნაწარმოებებს და მიიჩნევენ, რომ "ვინი პუჰის თავგადასავალის" გაგრძელება ისეთივე მკრეხელობა იქნება, როგორც შერლოკ ჰოლმსის 21-ე საუკუნეში გადმოყვანა. ეს ინფორმაცია 9 იანვარს გავრცელდა, თუმცა ლონდონში უკვე შეიქმნა ნაწარმოების გაგრძელების მოწინააღმდეგეთა ჯერჯერობით არაოფიციალური კლუბი, რომლის წევრებიც გაფიცვებითა და სხვადასხვა აქციებით იმუქრებიან.

უკვე ცნობილია ისიც, რომ ნაწარმოების გაგრძელებას ალან მილნის ნოველების გამოცდილი ინტერპრეტატორი დევიდ ბენედიქტუსი დაწერს. ცხადია, ახალი წიგნის შინაარსი სრულიადაა გასაიდუმლოებული, თუმცა ბენედიქტუსმა აღნიშნა, რომ აუცილებლად შეინარჩუნებს მილნის ხელწერას და პერსონაჟთა ხასიათსაც. ინგლისურ პრესაში დაბეჭდილი რამდენიმე ჟურნალისტის ვერსია კი ასეთია: მოქმედება კვლავ მეოცე საუკუნის 20-იან წლებში ხდება და ყველა პერსონაჟი შენარჩუნებული იქნება. წიგნი სულ 10 თავად დაიყოფა და 150 ილუსტრაცია ექნება. ახალ ილუსტრაციებს კი ასევე ინგლისელი მხატვარი მარკ ბერჯესი შექმნის. ამავე სტატიებში ნახსენებია მომავალი ნაწარმოების სათაურიც "დაბრუნება ას აკრიან ტყეში", რომელიც პირველ ეტაპზე 100 ათასიანი ტირაჟით გამოიცემა, რაც "ჰარი პოტერის" ტირაჟზე მეტია.

ლონდონელი გამომცემლები იმედოვნებენ, რომ დევიდ ბენედიქტუსის წიგნი წარმატებული იქნება და მკითხველი მას ისევე მიიღებს, როგორც ოდესღაც რომანი "სკარლეტი" - მარგარეტ მიტჩელის "ქარწაღებულების" გაგრძელება მიიღო (სხვათა შორის, "სკარლეტს" მაშინ "კულტურული კანიბალიზმის" იარლიყიც მიაკრეს). 2006 წელს "პიტერ პენის" გაგრძელება გამოვიდა, ერთი წლით გვიან კი ჯეიმს ბონდის ახალი ისტორია გამოსცეს. ამრიგად, კლასიკური ნაწარმოებების სიკველების გამოსვლა უკვე ჩვეულებრივ მოვლენად იქცა და განსაკუთრებულ შემთხვევას აღარ წარმოადგენს.



ალან ალექსანდერ მილნმა "ვინი პუჰის" რამდენიმე ისტორია 1926-1928 წლებში დაწერა და შვილს, ნაწარმოების მთავარ გმირ კრისტოფერ რობინს მიუძღვნა. პირველ წიგნს "სახლი პუჰის კუთხეში" ერქვა და გამოსვლისთანავე იქცა ბესტსელერად. წიგნის მთავარი გმირები კრისტოფერ რობინის სათამაშოები არიან, რომლებიც ბავშვის წარმოსახვაში ცოცხლდებიან და თავგადასავალიც იწყება. ნაწარმოების მთავარი გმირია პლუშის დათუნია ვინი, ხოლო მისი საუკეთესო მეგობრები არიან პატარა გოჭუნია პიგლეტი, მოწყენილი ვირი იო-იო, ბუ, კურდღელი, ვეფხვი და კენგურუ.

ვინი პუჰი და მისი მეგობრები ათწლეულების განმავლობაში ძალიან პოპულარულები გახდნენ. მათ შესახებ გადაღებულია უამრავი მულტფილმი - მათ შორის დისნეისა და 1969-1972 წლებში საბჭოთა კავშირში გადაღებული ფილმები, სადაც ვინის ევგენი ლეონოვი ახმოვანებს. ალან მილნის ვინი ასევე გახდა არა ერთი სატელევიზიო პროექტისა და ვიდეო თამაშის გმირი. ვარშავაში კი მისი სახელობის ქუჩაც არსებობს.



# აფიშა

**13 იანვარი**

## თეატრი

**კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრი**
თეატრი სხვენში
პრემიერა
"ქვრივები"
რეჟისორი მალხაზ ასლამაზიშვილი
დასაწყისი: 20.00

**თეატრალური სარდაფი**
"სექსუალური რევოლუცია"
რეჟისორი ნინო ბასილია
დასაწყისი: 19.00

**თავისუფალი თეატრი**
"ჯინსების თაობა"
რეჟისორი დავით დოიაშვილი
დასაწყისი: 20.00

## კინო

**"ამირანი"**
რაც ყველაზე ძალიან გიყვარს"
დასაწყისი: 12.30; 15.15; 17.30; 19.30; 20.00; 22.15
"დღეს, როცა დედამიწა გაჩერდა"
დასაწყისი: 19.45; 22.0
"ნადირობის სეზონი 2"
დასაწყისი: 12.00; 14.00; 16.00; 18.00;

**"რუსთაველი"**
"რაც ყველაზე ძალიან გიყვარს"
დასაწყისი: 12.15; 15.00; 17.15; 19.30; 22.00
"ნადირობის სეზონი 2"
დასაწყისი: 13.00; 15.00; 17.00 ; 19.00 ; 21.00
"დღეს, როცა დედამიწა გაჩერდა"
დასაწყისი: 12.00; 14.00; 16.15; 19.15; 21.30
"ტრანსპორტერი III"
დასაწყისი: 16.30; 20.15; 22.15

## გალერეა

**"ქარვასლა"**
ჰორსტ იანსენის გრავიურები

**"ორნამენტი"**
ტიხრული მინანქრის მუდმივი გამოფენა

**"შარდენი"**
ლევან მარგიანის ნამუშევრების გამოფენა

**"ვერნისაჟი"**
ფელიქს ვარლამიშვილის (1903-1986) გამოფენა
ფერწერა და გრაფიკა კერძო კოლექციებიდან

THREEსამი@ ZEN
Line Up:
Gio Bakanidze
Nika Japaridze
Tomma Chaladze
13.01.08
Старый/Новый Год!
дансинг с танцами под радиолу, магнитофон и т. п.


# ოქრო მილიონერისთვის

## კეიტ უინსლეტმა ორი "ოქროს გლობუსი" მიიღო, დენი ბოილის ფილმი საუკეთესოა

ია ვეკუა

მართალია, წლის ყველაზე მნიშვნელოვანი კინომოვლენა - "ოსკარით" დაჯილდოვება ჯერ წინაა, მისთვის მზადება უკვე დაწყებულია. მეტიც, ლოს ანჯელესში "ოქროს გლობუსის" ნომინანტები დაასახელეს, რაც იმას ნიშნავს, რომ "ოსკარამდე" სულ ერთი ნაბიჯი რჩება. ჰოლივუდის უცხოელ ჟურნალისტთა ასოციაციამ თავისი ფავორიტები გამოავლინა. წლის დრამატული ფილმის წოდება დენი ბოილის ბოლო ნამუშევარმა "შემთხვევითმა მილიონერმა" დაიმსახურა, კომედიური ჟანრის ფილმებიდან საუკეთესოდ ვუდი ალენის "ვიკი კრისტინა ბარსელონა" ამოარჩიეს, ხოლო ჰიტ ლეჯერმა ჯილდო გარდაცვალების შემდეგ მიიღო.

წლევანდელი "ოქროს გლობუსისა" და "ოსკარის" მთავარი ინტრიგა სწორედ ერთი წლის წინ გარდაცვლილი მსახიობი და მისი ბოლო როლი - ჯოკერი კრისტოფერ ნოლანი "ბნელი რაინდიდან" იყო. ლეჯერმა იმდენად დამაჯერებლად და უნაკლოდ შეასრულა საკუთარი სიმახინჯითა და არანორმალურობით შეპყრობილი ბოროტმოქმედის როლი, რომ ბევრს თითქმის 20 წლის წინანდელი ჯეკ ნიკოლსონის ჯოკერიც დაავიწყა. უდავო იყო, რომ ჰიტ ლეჯერი იმსახურებდა აღიარებას და ეს იმ შემთხვევაშიც მოხდებოდა, თუ დღეს იგი ცოცხალი იქნებოდა. ეს სწორედ ის შემთხვევაა, როდესაც ვერავინ იტყვის, რომ ახალგაზრდა მსახიობი უბრალოდ გაიხსენეს, მასზე უბრალოდ იტყვიან, რომ კინოს ისტორიაში სამუდამოდ თავისი საუკეთესო როლით დარჩება. ჰიტ ლეჯერმა "ოქროს გლობუსი" მამაკაცის მეორეხარისხოვანი როლისთვის მიიღო, მისი კონკურენტები კი დღევანდელი ჰოლივუდის ყველაზე ცნობილი მსახიობები იყვნენ: ტომ კრუზი, რობერტ დაუნი უმცროსი, რალფ ფაინსი და ფილიპ სეიმურ ჰოფმანი.

დენი ბოილის "შემთხვევითი მილიონერი" წლევანდელი "გლობუსის" რეკორდსმენიც გახდა. მან ოთხი ჯილდოს მოპოვება შეძლო: საუკეთესო დრამატული ფილმისთვის, რეჟისურისთვის, ორიგინალური მუსიკისა და სცენარისთვის. ფილმი იმდენად კარგია, რომ "ოქროს გლობუსზე" გამარჯვების შემდეგ ის "ოსკარის" ფავორიტადაც შეიძლება მივიჩნიოთ. "შემთხვევით მილიონერს" ის ძლიერი კომპონენტები ქმნიან, რომლებიც ზემოთ ჩამოგითვალეთ: საოცრად თბილი და მეტად ორიგინალური სტრუქტურის მქონე სცენარს სახასიათო და ეგზოტიკური მუსიკა ერთვის, ხოლო დენი ბოილის რეჟისურა ერთ მთლიანობაში აქცევს წლების განმავლობაში მიმდინარე ისტორიის პატარა დეტალებს.



*"შემთხვევითი მილიონერი"*



*ქეით უინსლეტი ფილმში "მკითხველი"*

ფილმის მოქმედება ინდოეთში ხდება. ღარიბი და გაუნათლებელი ბიჭი ჯამალ მალიკი ჩვენთვის ცნობილი თამაშის "ვის უნდა 20 ათასის" ინდურ ანალოგში თამაშობს. მან უკვე მოიგო რამდენიმე მილიონი რუპია და ბოლოს წინა კითხვაღა აქვს დარჩენილი. სწორედ აქ ჩნდება ეჭვი, რომ ჯამალი ფულს შემთხვევით არ იგებს - A) თაღლითობს, B) იღბლიანია, C) გენიოსია, D) ასე უნდა მომხდარიყო. მთელი ფილმის განმავლობაში რეჟისორი სწორედ ამ ოთხ კითხვაზე ეძებს პასუხებს და მათ ჩვენთან ერთად ჯამალის ცხოვრების პარალელურად პოულობს. ფილმის უდიდესი ღირსებაა ნამდვილი და პირველყოფილი გარემო, რომლითაც ინდოეთი ხასიათდება, ფილმის ბოლო კი იმდენად ბოლივუდურია, რომ მაყურებელი გაოგნებული რჩება. ნახეთ ეს ფილმი, ნამდვილად საუკეთესო კინოსეანსი გელით.

საუკეთესო კომედიისა და მიუზიკლის ნომინაციაში კვლავ დაბრუნდა ვუდი ალენი და გაიმარჯვა კიდეც ფილმით "ვიკი კრისტინა ბარსელონა". შეიძლება ითქვას, რომ ეს ერთადერთი ნომინაციაა, რომელიც აუცილებლად გამოიწვევს მაყურებლის პროტესტს. ვუდი ალენის ფილმის კონკურენტები იყო ძმები კოენების "წაკითხვისთანავე დაწვით", მარტინ მაკდონაჰიუს ბრწყინვალე "ბრიუგეში", "აბბას" მუსიკის მიხედვით გადაღებული "მამა მია!" და მაიკ ლის "უდარდელი". მხოლოდ ამ უკანასკნელის შესახებ ვერ გეტყვით ვერაფერს, დანარჩენები კი დიდი ხანია ქართულ ინტერნეტსივრცეში დევს და ვისაც ნანახი აქვს, ალბათ დაგვეთანხმება, რომ სხვა ნომინანტები ვუდი ალენის ფილმზე ბევრად უკეთესებია. ვუდი ალენმა ამ ფილმით ვერ შეძლო იმ ჯადოსნური ხასიათის შექმნა, რაც მის კინოს ახასიათებს, ხოლო ფილმის დასრულების შემდეგ ერთადერთი კითხვა რჩება - საერთოდ რა საჭირო იყო მისი გადაღება?..

მიკი რურკი დაბრუნდა!ეს მსახიობი უკვე ორი წელია აქტიურად ცდილობს ძველი პოზიციების დაბრუნებას და საბოლოოდ ეს მოახერხა კიდეც. მან "ოქროს გლობუსი" დარენ არანოვსკის საშუალო ფილმში "რესლერი" ოდესღაც ლეგენდარული მებრძოლის როლის შესრულებისთვის მიიღო. ფილმის მთავარი და პრაქტიკულად ერთადერთი ღირსებაც სწორედ მიკი რურკია, რომელიც შეიძლება ითქვას, საკუთარ თავს უფრო თამაშობს, ვიდრე გამოგონილ პერსონაჟს. რენდი რობინსონი 20 წლის წინ ყველაზე ძლიერი და ცნობილი რესლერი იყო, ის რინგის მეფედ იყო აღიარებული და არ არსებობდა მოწინააღმდეგე, ვისაც ჭიაყელასავით არ სრესდა. თუმცა გავიდა დრო და ის ყველამ მიივიწყა, უარყო, მიაგდო. მიკი რურკიც თავის დროზე სწორედ ასე ცხოვრობდა 80-იანი წლების ვარსკვლავი პრაქტიკულად ჩამქრალი იყო, ახლა კი ის კვლავ სცენაზეა. მიკი რურკი დაბრუნდა!

სცენაზეა ქეით უინსლეტიც, თანაც ორჯერ - მსახიობმა ერთბაშად ორი "ოქროს გლობუსი" მოიპოვა სემ მენდესის "რევოლუციური გზისა" და სტივენ დალდრის "მკითხველისთვის". კეიტ უინსლეტის კარიერა დიდი ხანია აღიარებისთვის მომწიფდა. ის ხუთჯერ იყო ნომინირებული "ოსკარზე", შვიდჯერ კი "ოქროს გლობუსს" ელოდა, მაგრამ მისი სახელი ვერ სცდებოდა ნომინაციებს. ახლა კი მან ორმაგად გაიმარჯვა, რაც წლევანდელ "ოსკარზე" მის წარმატებას მეტ შანსს აძლევს. დაფასდა კოლინ ფარელის სამსახიობო ოსტატობაც, რომელიც მას პრაქტიკულად არ გააჩნია, თუმცა "ბრიუგეში" მართლაც სასწაული მოახდინა. გაიხსენეთ თუნდაც სცენა მატარებელში, როდესაც პოლიციელი კანადელი ტურისტის ცემაში ადანაშაულებს და მაშინ მის გამარჯვებას პროტესტის გარეშე შეხვდებით.

საუკეთესო უცხოენოვანი ფილმის ნომინაციაში ებრაულმა ანიმაციურმა ფილმმა "ვალსი ბაშირთან" გაიმარჯვა, ხოლო ანიმაციურ ფილმებს შორის "ოქროს გლობუსი" როგორც მოსალოდნელი იყო, წლის საოცრებამ - Wall·E-მ მიიღო.

# ბერლინის ფილარმონიაში "ციფრული დარბაზი" გაიხსნა

ბერლინის ფილარმონიამ და მისმა ცნობილმა ორკესტრმა, რომელსაც ამჟამად სერ საიმონ რეტლი ხელმძღვანელობს, პრესას ახალი მულტიმედიური პროექტი "ციფრული დარბაზი" წარუდგინეს. მიმდინარე თვიდან ორკესტრი ინტერნეტში თავისი გამოსვლის პირდაპირ ტრანსლაციას უზრუნველყოფს. ამჟამად ფილარმონიის საიტზე უკვე ორკესტრის სამი ახალი კონცერტის ხილვაა შესაძლებელი. ინტერნეტ-აუდიტორიის წინაშე პირდაპირი ტრანსლაცია, პირველად 6 იანვარს გაიმართება. ორკესტრი ბრამსის სიმფონიასა და ანტონინ დვორჟაკის კომპოზიციას შეასრულებს. ტრანსლაცია ფასიანია: 48 საათის განმავლობაში მოქმედი ერთი საკონცერტო "ბილეთი" - 9,99 ევრო ღირს, ხოლო სეზონური "აბონემენტი" (დაახლოებით 30 კონცერტი) 149 ევრო ეღირება.

ბრიტანული გაზეთის The Guardian-ის მიმომხილველის განცხადებით, გახსნილი "ციფრული დარბაზი" დამწყებ მაესტროსთან - ჰერბერტ ფონ კარაიანთან განაგრძობს მუშაობას. ცნობილი დირიჟორი აქტიურად მუშაობდა ბერლინის ფილარმონიის ორკესტრის ხმის ჩანაწერის გაუმჯობესებაზე. ამის შედეგად ისტორიაში პირველად შექმნა კლასიკური მუსიკის კომპაქტ-დისკი, Berliner Philharmonker-ის მიერ შესრულებული რიჰარდ შტრაუსის "ალპური სიმფონიის" ჩანაწერით.

ამჟამად ბერლინის ფილარმონია კიდევ ერთ კოლექტივად იქცა, რომელიც ინტერნეტ-აუდიტორიას მასპინძლობს. 2008 წლის ოქტომბერში მდიდარმა (ფასიანმა) ინტერნეტ-არქივმა, ასეთივე სახის ნიუ-იორკის მეტროპოლიტენ-ოპერა გახსნა, ხოლო ლონდონის თეატრმა "კოვენტ-გარდენმა", საკუთარ საიტზე თავიანთი სპექტაკლების ფრაგმენტები და ერთ-ერთი დადგმა - "დონ ჟუანი" დადო. გარდა ამისა, 2008 წლის ზაფხულში ბაირეისკის ფესტივალის ორგანიზატორებმა თავიანთი სპექტაკლების პირდაპირი ტრანსლაციის ფასიანი ხილვის შესაძლებლობა მისცეს მაყურებელს.

# ამერიკელებმა ბელეტრისტიკის კითხვა დაიწყეს

2008 წელს, ამერიკელებმა მხატვრული ლიტერატურის კითხვა უფრო აქტიურად დაიწყეს. მოსახლეობის აღწერის ბიურომ ("US Census Bureau") ჩაატარა კვლევა, რომლის თანახმადაც, გამოკითხულთაგან 50,2 პროცენტმა 12 თვის განმავლობაში წაიკითხა, უკიდურეს შემთხვევაში, ერთი პიესა, მოთხრობა, ლექსი ან რომანი მაინც. ეს მონაცემები ხელოვნების მხარდამჭერის ნაციონალურმა ფონდმა (National Endowment for the Arts) გამოაქვეყნა, რაც გაზეთმა - "ნიუ-იორკ თაიმსმა" კიდევ უფრო გაახმაურა.

ხელოვნების მხარდამჭერის ნაციონალური ფონდის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ გასული საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ბელეტრისტიკისადმი დაინტერესება საგრძნობლად კლებულობდა, მაგალითად: 1982 წელს, თუნდაც ერთი მხატვრული ნაწარმოები გამოკითხულთა 56,9 პროცენტმა წაიკითხა, 1992 წელს - უკვე 54 პროცენტმა, ხოლო 2002 წელს - 46, 7 პროცენტმა.

2002 წელთან შედარებით, კითხვადობის პროცენტმა ყველა ასაკობრივ ჯგუფში მოიმატა. თუმცა, ეს ტენდენცია, განსაკუთრებით, 18-24 წლის ასაკის ქალებში შეიმჩნევა - ისინი, როგორც წესი, მეტს კითხულობენ, ვიდრე მამაკაცები (58,1 პროცენტი 41,9 პროცენტის წინააღმდეგ). არათეთრკანიან მოსახლეობას შორის კი, ყველაზე მეტს ლათინოამერიკელები კითხულობენ (2008 წელი - 31,9 პროცენტი, ხოლო 2002 წელი - 26,5 პროცენტი).

The New York Times-ის მიმომხილველი აღნიშნავს, რომ ეს გამოკვლევა არ აჩვენებს განსხვავებას იმათ შორის, ვინც ერთი წლის განმავლობაში, ინტერნეტის საშუალებით, მხოლოდ ერთი მოთხრობა წაიკითხა და ვინც საკუთარი კოლექცია დიკენსისა თუ პრუსტის ნაწარმოებებით გაამდიდრა.

ხელოვნების მხარდამჭერის ნაციონალური ფონდის პრეზიდენტი დანა გოია (Dana Gioia), რომელიც ვარაუდობს, რომ კითხვადობის მატება დაკავშირებულია არა იმდენად ინტერნეტის განვითარებასთან, რამდენადაც წარმატებული პროექტების ამოქმედებასთან, მათ შორის აღსანიშნავია, მაგალითად: "ოპრი უინფრის წიგნის კლუბი" ან ისეთი ბესტსელერების გამოცემა, რომლებიც ახალგაზრდა აუდიტორიაზეა ორიენტირებული, მაგალითად: "ჰარი პოტერი" ან სტეფან მაიერის "მწუხრი".



აშშ-ში ყველაზე კითხვად ქალაქებად სიეტლი და მინაეპოლისი ითვლება. ამის შესახებ ინფორმაცია გამომცემლობა USA Today გაავრცელა. ეს გამოკვლევა კონექტიკუტის შტატის ცენტრალურმა უნივერსიტეტმა ჩაატარა. და ისეთი მაჩვენებლები გაითვალისწინა, როგორებიცაა ქალაქის ბიბლიოთეკათა რაოდენობა, პერიოდულ გამოცემათა ტირაჟი, წიგნის მაღაზიების რაოდენობა, გაზეთების გავრცელების ინტენსივობა, საგანმანათლებლო დაწესებულებების არსებობა და კიდევ, მოსახლეობის ინტერნეტ-რესურსები.

ამ უნივერსიტეტის პრეზიდენტია ჯეკ მილერი, რომელიც გამოკვლევის ავტორი გახლავთ. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული სამეცნიერო სამუშაო მიზნად სულაც არ ისახავდა გაერკვიათ რა სიჩქარითა და რამდენად ხშირად კითხულობენ ადამიანები წიგნებს... ჯეკ მილერის განცხადებით, გამოკვლევის ინიციატორები მოწოდებულნი იყვნენ იმისათვის, რომ აესახათ ნაციის აყვავების ერთ-ერთი ასპექტი - განათლების დონე ქალაქებში, სადაც მოსახლეობის რაოდენობა 250 ათასზე ნაკლები არ არის.

გამოკვლევის პროცესში გაკეთდა დასკვნები იმის შესახებ, რომ გაზეთების ტირაჟმა მნიშვნელოვნად იკლო, რადგანაც ადამიანებს ურჩევნიათ ახალი ამბები გამომცემლობების ინტერნეტ-ვერსიებიდან შეიტყონ ან დამოუკიდებელი ონლაინ-რესურსებით ისარგებლონ. ბოლო ხანებში გაიზარდა წიგნების ონლაინ რეჟიმში გაყიდვაც. ეს მაჩვენებელი კი, განსაკუთრებით მაღალია ისეთ ქალაქებში, სადაც ტრადიციული წიგნის მაღაზიების მეტი რაოდენობა ფუნქციონირებს.

მილერი იმასაც აღნიშნავს, რომ მინეაპოლისსა და სიეტლში წიგნიერების მაღალი დონე განპირობებულია არა მხოლოდ ადამიანების კითხვით დაინტერესებით, არამედ ცოდნის მიღების სხვა ფორმებითაც.

ყოველწლიურ გამოკვლევაში, რომელიც "აშშ-ს ყველაზე წიგნიერი ქალაქების" დასახელებას ითვალისწინებს, სიეტლი ლიდერია. მას მოსდევს მინეაპოლისი, შემდეგ ვაშინგტონი, ატლანტა, სან-ფრანცისკო, დენვერი, ბოსტონი, პიტსბურგი, ცინცინატი და სენტ-პოლი.

ამ სიაში ნიუ-იორკი მხოლოდ 32-ე ადგილზეა. მას აბოლოებენ: ელ-პასო, ტეხასის შტატი, სტოქტონი და კალიფორნიის შტატი.

გამოკვლევის ამოცანად ამერიკულ ქალაქებში ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების მცდელობა სახელდება. "მაგალითად, ელ-პასოში, გასული წლის პუბლიკაციების გამოქვეყნების შემდეგ, მოსახლეობის წიგნიერების ამაღლების პროგრამა ამოქმედდა", - აღნიშნავს ჯეკ მილერი.

# ზურაბ სოტკილავა: "უნდა დავანახოთ რუსეთს, რა დიდი კულტურის ხალხი ვართ..."

თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო და ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიების ლაურეატის, დიდი თეატრის სოლისტის, ზურაბ სოტკილავას კონცერტი გაიმართა. რუსეთში მოღვაწე ქართველ ტენორს მაყურებელი განსაკუთრებული ემოციურობით შეხვდა. ზურაბ სოტკილავა თბილისში "ნაბუქოს" პრემიერისათვის ჩამოვიდა. მომღერალი დღეს საპატრიარქოში საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის მიწვევით იმღერებს.

ცნობილი ქართველი ტენორი მიიჩნევს, რომ რუსეთ საქართველოს შორის გართულებული ურთიერთობები კულტურულ სფეროზე არ უნდა აისახოს და ქართველმა ხელოვანებმა თავიანთი მოღვაწეობით უნდა დაამტკიცონ, რომ საქართველო დიდი კულტურის ქვეყანაა.

**- რამდენად ემოციური იყო თქვენი დღევანდელი გამოსვლა და როდის დაიგეგმა დღევანდელი კონცერტი?**

- ეს კონცერტი, სწორედ იგივე პროგრამა მე გავაკეთე მოსკოვში 4 აპრილს, კონსერვატორიის დიდ დარბაზში. პროგრამაში როგორც მოოგეხსენებათ შესულია ესპანური და ნეაპოლიტანური სიმღერები. მეორე განყოფილება სულ ნეაპოლე, გუნდთან ერთად. თავს არ ვიქებ, მაგრამ ეს დიდ დარბაზში, მოსკოვში ძალიან იშვიათად თუ ახსოვთ. მე ჩამოვედი პატრიარქის დაბადების დღესთან დაკავშირებით, დამირეკეს და მომიწვიეს "ნაბუქოს" პრემიერაზე. რახან თბილისში ვიყავი, ვიფიქრე თუ ჩამოვედი ბარემ კონცერტსაც მივცემ-მეთქი.

**- "ნაბუქო" ფონდ "იავნანას" ეგიდით გაიმართა. რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის, ფონდ "იავნანას" პროექტში მონაწილეობა?**

- ეს ძალიან კარგი პროექტია. ბევრი ობოლი და უსახლკაროა, რომელთაც მხარდაჭერა სჭირდებათ, ამიტომ ეს ძალიან კარგი და დიდი საქმეა. უნდა მოიძებნოს ხალხი და უნდა მოიძებნოს ადამიანი, რომელიც ამ კეთილ საქმეს ორგანიზებას გაუწევს. მე მაგალითად ეს არ შემიძლია ამის ორგანიზება, პაატას შეუძლია და აკეთებს ამას. მე ჩემის მხრივ, ყოველთვის მზად ვარ, ასეთ ღონისძიებაში მივიღო მონაწილეობა.

**- ბატონო ზურაბ, თქვენ მსოფლიოს სხვადასხვა სცენაზე მღერით ყველაზე კომფორტულად სად გრძნობთ თავს?**

- ყველაზე მეტად ვღელავ თბილისში. იმიტომ, რომ აქ ყველა ახლობელია, ყველა კარგად მოცნობს და ყოველთვის ვღელავ, რომ რამე არ შემეშალოს.

**- როგორ ფიქრობთ, ბოლო პერიოდში რუსეთ-საქართველოს შორის გაუარესებული ურთიერთობები რამდენად აისახება კულტურულ ურთიერთობებზე?**

- me im adamianTa ricxvs mivekuთვნები, ვინც მიიჩნევს, რომ ქართველებმა არ უნდა მოხსნან თავიანთი კონცერტები რუსეთში. განსაკუთრებით მოსკოვში, იმიტომ, რომ ყველა ქართველი ვინც გამოდის იქ და ვინც უყვართ და ბევრი უყვართ, პირიქით უნდა ჩამოვიდნენ რუსეთში, წარმოაჩინონ თავისი თავი, იმიტომ, რომ ყოველი მსახიობის და მომღერლის უკან დგას ხალხი. ჩვენ გამოვალთ და ჩვენი კულტურით ვანახებთ რა ხალხი ვართ და რა ხალხი დგას ჩვენს უკან. ამიტომ მე ყველას ვეხვეწები, რომ არ შეწყვიტონ კონცერტები, პირიქით უფრო მეტი კონცერტები უნდა იყოს რუსეთში და მოსკოვში, რომ დავანახოთ ჩვენი თავი, რა დიდი კულტურის ხალხი ვართ და რა დიდი შემსრულებლები გვყავს ქართველებს, ასეთ პატარა ერს.

*"ჯი-ეიჩ-ენი",*
*ესაუბრა რიტა ყაველაშვილი*

### ვილნიუსში ნიკო ფიროსმანის ნამუშევრების გამოფენა გაიხსნა

2009 წლის ევროპის კულტურის დედაქალაქად გამოცხადებულ ქალაქ ვილნიუსის ეროვნული სამხატვრო მუზეუმი ნიკო ფიროსმანაშვილის გამოფენას მასპინძლობს. ექსპოზიცია შალვა ამირანაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების მუზეუმის კოლექციიდან შედგა. გამოფენაზე წარმოდგენილია 30 ტილო. მათ შორის, ისეთი ცნობილი სურათები როგორიცაა, "აქტრისა მარგარიტა", "ლომი", "სააღდგომო ბატკანი", "რთველი კახეთში" და ა.შ. მას შემდეგ რაც "იუნესკომ" ვილნიუსი 2009 წლის 1 იანვრიდან ევროპის კულტურულ დედაქალაქად გამოაცხადა, ქალაქში მასშტაბური კულტურული ღონისძიებები დაიწყო, რომელშიც მსოფლიოს საუკეთესო ხელოვანები მონაწილეობენ. მათ რიცხვში ნიკო ფიროსმანიც მოხვდა, როგორც მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთი მონაპოვარი. ფიროსმანის ნამუშევრების გამოფენა მაისამდე გასტანს. **"მედიანიუსი"**

### ჟერარ დეპარდიე თბილისში რესტორანს გახსნის

რადიო "კომერსანტის" ინფორმაციით, 2010 წელს აბანოთუბანში ბუტიკ "მონმარტის" სტილის სასტუმროს მშენებლობა დაიწყება. ასტუმროს ერთ-ერთი რესტორნის მფლობელი ცნობილი ფრანგი მსახიობი ჟერარ დეპარდიე იქნება. სასტუმროს კომპანია "ემსიაი პროჯექთი" ააშენებს. ეს კომპანია "ემსიაის" ფინანსურ ჯგუფში შედის, რომელიც ავიაციის, უძრავი ქონებისა და მოდების სფეროში მუშაობს. **"მედიანიუსი"**

### "ტრეტიაკოვის"გალერეაში ხანძარი გაჩნდა

ტრეტიაკოვის გალერეაში ხანძარი გაჩნდა. როგორ ირკვევა, ხანძრის მიზეზი ტექნიკური განყოფილების ერთ-ერთი თანამშრომლის დაუდევრობა გახდა, რომელსაც ნასვამ მდგომარეობაში მყოფს ანთებული სიგარეტით ხელში ჩაეძინა. ხანძარი ოთხსართულიანი შენობის ბოლო სართულზე, ტექნიკური განყოფილების საინჟინრო კორპუსში გუშინ, საღამოს დაახლოებით 19:00 საათზე გაჩნდა. ხანძრის შედეგად 5 კვადრატული მეტრის ფართობზე დაიწვა ტექნიკური მოწყობილობა და თანამშრომელთა პირადი ნივთები.

ტექნიკური სამსახურის უფროსი, რომლის დაუდევრობითაც ხანძარი გაჩნდა და რომელმაც სასუნთქი გზების დამწვრობა მიიღო, რეანიმაციის განყოფილებაში გადაიყვანეს. საგანგებო სამსახურის თანამშრომელთა ინფორმაციით, ნასვამ მდგომარეობაში მყოფს, მას ანთებული სიგარეტით ხელში ჩაეძინა და ხანძარი სწორედ ამან გამოიწვია. 49 წლის მამაკაცის ჯანმრთელობის მდგომარეობა ჯერ კიდევ მძიმეა და მისი დაკითხვა ვერ ხერხდება. მოსკოვის საგანგებო სიტუაციათა სამსახურის პრესსამსახურის უფროსის ინფორმაციით, "ხანძრის გამომწვევი ზუსტი მიზეზის შესახებ საუბარი მას შემდეგ გახდება შესაძლებელი, რაც სახანძრო სამსახურის ზედამხედველები შემთხვევის ადგილის შესწავლას დაასრულებენ". ინასწარი ინფორმაციით, ხანძრის შედეგად გალერეაში რაიმე ღირებული ნივთი არ დაზიანებულა. **"ჯი-ეიჩ-ენი"**

### კანის კინოფესტივალის ჟიურის იზაბელ იუპერი უხელმძღვანებელს

კანის 62-ე კინოფესტივალის ჟიურის ცნობილი ფრანგი მსახიობი იზაბელ იუპერი უხელმძღვანებელს. 55 წლის მსახიობი ცნობილია შესრულებული როლებით ფილმებში "ვიოლეტ ნოზერი", კლოდ შაბლოის "ცერემონია", მიხაელ ხანეკეს "პიანისტი ქალი" და ფრანსუა ოზონის "8 ქალი".

მისი მონაწილეობით 80 ფილმიდან 14 კანის ფესტივალში მონაწილეობდა და ის ამ ფესტივალზე საუკეთესო ქალის როლის შესრულებისთვის ორჯერ დააჯილდოვეს. ამ ჯილდოებს ვენეციის, ბერლინისა და ეროვნული "სეზარის" ჯილდოებიც ემატება.

კანის შესარჩევი კომისიის ხელმძღვანელმა, ტერი ფრენომ, განაცხადა, რომ "იზაბელ იუპერისთვის საპრეზიდენტო ადგილის შეთავაზება ნიშნავს, მას პატივი მიეგოს, ვინც თავის პოპულარობას არტ-კინოს გასავითარებლად იყენებდა, ვინც ახალგაზრდა უცხოელ რეჟისორებთან უშიშრად მუშაობდა".

კანში ჟიურის თავმჯდომარის ფიგურა ფესტივალის პოლიტიკაში გადამწყვეტ როლს ასრულებს. ძალიან იშვიათია შემთხვევები, როცა გადაწყვეტილება თავმჯდომარის გემოვნებისა და სურვილის წინააღმდეგ მიეღოთ. ჩვეულებრივ ის მიზანს შემოქმედებითი და მორალური ავტორიტეტით აღწევს. კანი კინოფესტივალი 13-24 მაისს საფრანგეთის ქალაქ კანში გაიმართება. **"ჯი-ეიჩ-ენი"**

### სანკტ-პეტერბურგში "ალა პუგაჩოვას სიმღერის თეატრი" აშენდება

სანკტ-პეტერბურგში, ვასილიევსკის კუნძულზე, თანამედროვე საკონცერტო დარბაზი "ალა პუგაჩოვას სიმღერის თეატრი" აშენდება. პროექტი თევზის გადამამუშავებელი კომპანია "რუსკოე მორეს" თანამფლობელი, მაქსიმ ვორობიევისა და მისი პარტნიორის, მიხაილ კენინის მიერ მუშავდება.

"ვედომოსტის" ინფორმაციით, თეატრის თანადამაარსებლებში არა მხოლოდ ვორობიევი და კენინი, არამედ თავად მომღერალი და მისი შვილი, კრისტინა ორბაკაიტეც არიან. თეატრის მშენებლობა 2010 წლამდე არ დაიწყება. მთელი 2009 წლის განმავლობაში პარტნიორები საპროექტო სამუშაოს ჩატარებას აპირებენ. სავარაუდოდ, საქმიან კომპლექსში ინვესტიცია 100 მლნ დოლარი იქნება.

პუგაჩოვას ოფიციალურმა წარმომადგენელმა, რიმა შეგოლკოვამ თეატრის პროექტზე კომენტარი არ გააკეთა."ვედომოსტი" აღნიშნავს, რომ 2008 წელს მომღერალი ამ მშენებლობასთან დაკავშირებით პეტერბურგის გუბერნატორს, ვალენტინა მატვიენკოს შეხვდა და მისი მხარდაჭერა მიიღო. **"ჯი-ეიჩ-ენი"**

## ნასვამი ჯონ ლენონის ხმა

ლოიდ პრაისის სიმღერის - Just Because ჩანაწერი, რომელსაც ნასვამ მდგომარეობაში მყოფი ჯონ ლენონი ასრულებს, ლოს-ანჟელესის აუქციონზე 30 ათას დოლარად გაიყიდა. აუქციონის სახლ Bonhams-ის წარმომადგენლის მარგარეტ ბარეტის თქმით, აუდიოჩანაწერი 1973 წლით თარიღდება. "აუდიოჩანაწერი ექვს წუთსა და თექვსმეტ წამს გრძელდება. ჯონ ლენონი მას ნასვამ მდგომარეობაში ასულებს, რის გამოც სიმღერაზე საკუთარი იმპროვიზაციაა დამატებული. საერთო ჯამში, ძალიან მხიარული სიმღერა გამოვიდა", - ამბობს ბარეტი. ექსპერტის თქმით, სიმღერა მთავრდება სიტყვებით: "კიდევ ცოტა კოკაინი და მე წესრიგში ვიქნები". მუსიკოსებისთვის ნასვამი ლენონის ტაქტის გაგება საკმაოდ გაუჭირდათ. ჩანაწერი სტანდარტულ ნარინჯისფერ ცალმხრივ აუდიოკასეტაზეა გაკეთებული.აუდიოკასეტა სიმღერის ჩანაწერით, რომელიც საზოგადოებისთვის ადრე უცნობი იყო, მის ყოფილ მფლობელს ტავად შემსრულებლისგან გადაეცა. აუდიოკასეტის ძველი და ახალი მფლობელის ვინაობა არ სახელდება. ჩანაწერის საწყისი ფასი 40 ათას დოლარს შეადგენდა. აუქციონის ორგანიზატორები მისი ფასის დავარდნის მიზეზს არ ასახელებენ.

Just Because-ის ოფიციალური ვერსია, ჯონ ლენონის 1975 წლის თებერვალში გამოშვებულ სოლო ალბომ Rock 'n' Roll-შია შესული.

## პარიზში პიკასოს სადღელამისო რეჟიმში წარმოადგენენ

2009 წლის 30 იანვრიდან 2 თებერვლამდე პარიზში დიდი გამოფენა "პიკასო და ოსტატი" (Picasso et les maitres) სადღელამისო რეჟიმში იმუშავებს, რომელიც საზოგადოების დიდ ინტერესთან არის დაკავშირებული. ექსპოზიცია 2008 წლის 25 ოქტომბერს გაიხსნა. გამოფენა ესპანელი მხატვრის ნამუშევრებსა და დიდებული ოსტატების მხატვრობას შორის კავშირის დემონსტრირებას წარმოადგენს. ექსპოზიციაზე თავმოყრილია ორასამდე პიკასოს, ელ გრეკოს, ველასკესის, ფრანსისკო გოიას, რემბრანდტის, ტიციანის, ვან გოგის, დელაკრუასა და მანეს ნამუშევრები.

## რიო-დე-ჟანეიროში დაუმთავრებელი მუსიკის ქალაქი გაიხსნა

რიო-დე-ჟანეიროში ახალი კულტურული კომპლექსი, სახელწოდებით Cidade da Musica გაიხსნა, რომელიც მუსიკის ქალაქად გვევლინება. შენობის ინაუგურაციაზე საზოგადოების დასწრება ვერ მოხერხდა, რადგან მისი მშენებლობა ჯერ კიდევ დაუსრულებელია და სახანძრო სამსახურების აზრით -უსაფრთხო არ არის. მიუხედავად იმისა, რომ არც დარბაზის აკუსტიკური გაფორმებაა დასრულებული, რიოს მუნიციპალური თეატრის სიმფონიურმა ორკესტრმა 21-22 დეკემბერს Cidade da Musica-ში ორი კონცერტის ჩატარება უკვე მოახერხა. The Times-ის მიმომხილველის განცხადებით, პრიტცეროვსკის პრემიის ლაურეატის კრისტიან დე პორტზამპარკის პროექტის მიხედვით, მუსიკალური ქალაქის მშენებლობამ 141 მილიონ ფუნტს (211 მილიონი დოლარი) მიაღწია, სამუშაოს მთლიანად დასრულებისთვის კიდევ 9, 4 მილიონი ფუნტია (14 მილიონი დოლარი) საჭირო, ხოლო შენობის ბიუჯეტმა, პირველად მაჩვენებელს ექვსჯერ გადააჭარბა. მუსიკალური ქალაქი, რიოს მერის სეზარ მაიას (Cesar Maia) ყველაზე ამბიციურ პროექტად უნდა იქცეს, რომლის ოფიციალური გახსნაც 2008 წლის 31 დეკემბერსაა დაგეგმილი.

## სკარლეტ იოჰანსონის ნახმარი ცხვირსახოცი აუქციონზე გაიყიდება

მსახიობ სკარლეტ იოჰანსონის კუთვნილი ცხვირსახოცი ინტერნეტ-აუქციონ eBay-ზე გაიტანეს. გადაცემა Tonight-ის მსვლელობისას, სადაც იოჰანსონი მისი მონაწილეობით გადაღებულ ფილმის "სული"-ს (Spirit) შესახებ საუბრობდა, მსახიობმა ზემოთ აღნიშნული ცხვირსახოცით ორჯერ მოიხოცა ცხვირი. როგორც თავად იოჰანსონმა განმარტა, გრიპი მას პარტნიორისგან - სამუელ ჯექსონისგან გადაედო. სწორედ ამ განცხადების შემდეგ მას გაუჩნდა იდეა, რომ ცხვირსახოცი, რომელსაც ზედ პომადისა და ლერწოს კვალი ჰქონდა დამჩნეული, აუქციონზე გაეტანა. თავად მსახიობის თქმით, მისი დაავადება იმითაა ფასეული, რომ ცნობილი ადამიანიდან მეორე ცნობილ ადამიანზე გადავიდა. ცხვირსახოცის გაყიდვიდან შემოსულ თანხას იოჰანსონი საქველმოქმედო ფონდ USA Harvest-ს გადაურიცხავს.

ინტერნეტ-აუქციონ eBay-ზე წარმოდგენილი ცხვირსახოცის შესაძენად მყიდველები ამჟამად 2205 დოლარს იხდიან. აუქციონი 22 დეკემბერს დასრულდება.

ეს არ გახლავთ პირველი შემთხვევა, როცა იოჰანსონი eBay-ის დახმარებით საქველმოქმედო საქმისთვის აგროვებს ფულს. 2008 წლის მარტში, მსახიობის მიერ შეთავაზებული 20 წუთიანი პაემანის გულისთვის, იოჰანსონის თაყვანისმცემელმა 30 ათასი დოლარი გადაიხადა.

## ბაზ ლურმანი "დიდებული გატსბი"-ს ეკრანიზაციას გადაიღებს

რეჟისორმა ბაზ ლურმანმა სკოტ ფიცჯერალდის ნაწარმოების "დიდებული გატსბი"-ს ეკრანიზაციის უფლება მოიპოვა. ლურმანის მოსაზრებით, გლობალური ფინანსური კრიზისის ამჟამინდელ მდგომარეობაში, ნაწარმოებში აღწერილი ისტორია ძალიან აქტუალური იქნება. "თუ თქვენ ადამიანებს სარკის წინ დააყენებთ, რომელიც ეტყვის მათ: თქვენ ფულით მთვრალი იქნებით, - ადამიანებს სარკეში ჩახედვა აღარ მოუნდებათ, მაგრამ თუ თქვენ პროვოცირებას გაუკეთებთ მის ანარეკლს განსხვავებულ ეპოქაში, ასეთი ისტორია აუცილებლად გამოხმაურებით ისარგებლებს", - მიიჩნევს რეჟისორი. ამის შემდეგ ლურმანმა დაამატა, რომ ხალხს ჭირდება ახსნა, "სად ვიყავით და რა მდგომარეობაში ვიმყოფებით ამჟამად", ხოლო ფიცჯერალდის წიგნს ასეთი განმარტების მიცემა შეუძლია.

ბაზ ლურმანის უკანასკნელმა პროექტმა, სადაც მთავარ როლს ნიკოლ კიდმანი და ჰიუ გრანტი თამაშობდნენ, კრახი განიცადა. ჩრდილოეთ-ამერიკის კინოთეატრებში რამდენიმე კვირის განმავლობაში, ფილმმა 130 მილიონიანი ბიუჯეტიდან - 40 მილიონის შემოსავალი მოიტანა.

# მუცო ხელახლა იბადება

### "არსის" პროექტი დღეს და პერსპექტივები

ბელა ჩეკურიშვილი



ხევსურული ციხე-ქალაქ მუცოს რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის პროექტი თანდათან რეალურ სახეს იღებს და თუ ყველაფერი სწორად წარიმართა, 2010 წელს პირველი სამუშაოები დაიწყება. როგორც პროექტის ავტორებმა გვითხრეს, აღდგენითი სამუშაოები ეტაპობრივად, 5 წლის განმავლობაში ჩატარდება და სავარაუდოდ, 2 მილიონნახევარი ლარი დაჯდება.

მუცოს რეაბილიტაციის პროექტი კომპანია "არსის" და "თიბისი" ბანკის ინიციატივაა, მიმდინარე წელს კი კულტურის სამინისტროს პრიორიტეტებშიც მოხვდა. მუცოს აღდგენის სრულყოფილი პროექტის გასაკეთებლად სამინისტრომ 125 ათასი ლარი გამოყო. დღეისათვის ეს პროექტი დამუშავებულია და ყველა მიმართულება გათვალისწინებული.

როგორც "არსის" გენერალური დირექტორი გია აბულაძე ამბობს, მუცოს უდიდესი ტურისტული პოტენციალი გააჩნია და მისი აღდგენა არა მხოლოდ ქართველ არქიტექტორთა ღირსების საქმეა, ქვეყნის ტურისტული მომავალისთვისაც დიდად მნიშვნელოვანია. ხევსურეთის ხიბლი ისიცაა, რომ ძალიან ახლოსაა თბილისთან, 3-4 საათში ეგზოტიკურ სამყაროში შეგიძლიათ მოხვდეთ.

მუცო პატარა ციხე-ქალაქია, რომელიც კლდეზეა აშენებული. აქ 6 კოშკი და 25 ციხესახლია, გადახურვები არც ერთ მათგანს არ შემორჩა, ბევრი ძალიან დაზიანებულია, ნაწილი კი ჩაშლილი.

რამდენად რეალურია იმ კომპლექსის აღდგენა, სადაც საუკუნეების მანძილზე არავის უცხოვრია? როგორც გია აბულაძე აღნიშნავს, რა მასშტაბის და როგორი იყო მუცო, ამის მომსწრე არავინაა, თუმცა კი პროქტი მის მთლიან რეკონსტუქციას გულისხმობს. შენობების ნაწილი ძალიან დაზიანებულია, ნაწილი საშუალოდ, ნაწილი შედარებით მსუბუქად. ასეა თუ ისე, ამ ძეგლის აღდგენა შესაძლებელია.

**გია აბულაძე:** "აღდგენითი სამუშაოების 5 წელზე გაჭიმვა იმასაც გამოიწვევს, რომ იქ მუშახელი დასაქმდება, ადგილობრივები ავლენ, ტურიზმის განვითრება კი დაცლილ ხევსურეთს ისევ დაუბრუნებს ცხოვრებას. ტურიზმის ხიბლი იმაშია, რომ ვითარდება ინფრასტრუქტურა, სოფლის მეურნეობა, ხელსაქმე. ერთ დროს ხევსურეთში რუსი ტურისტები ჩეჩნეთიდან გადმოდიოდნენ, შატილს ნახავდნენ და ისე ჩამოდიოდნენ თბილისში. ამ მხარის ტურიზმი სულ ეს იყო. მე დარწმუნებული ვარ, თუ შიდა ტურიზმი არ განვითრდა, გარედან შემომსვლელიც ნაკლებად დაინტერესდება ჩვენით".

პირველი ექსპედიცია მუცოში 2004 წელს წავიდა, რომლის მიზანი იყო ამ ძეგლის დოკუმენტაციის შექმნა, აზომვა, ფიქსაცია, რაც ასახავდა მის ფიზიკურ მდგომარეობას. მსგავსი ინფორმაცია ჩამოყალიბებული სახით მანამდე არ არსებობდა. წელს კი, მუცოს რეაბილიტაციის საკითხი კულტურის სამინისტროს პრიორიტეტებშიც მოხვდა, რისთვისაც გამოცხადდა ტენდერი სარეაბილიტაციო პროექტის გაკეთებაზე. როგორც "არსის" შიდა პროექტის "ქართული სახლის" ხელმძღვანელმა ნანა მეფარიშვილმა გვითხრა, მათ ამ ტენდერში გასამარჯვებლად სწორედ 2004 წლის ექსპედიციის შედეგები დაეხმარათ.

მუცოს რეაბილიტაციის პროექტი რამდენიმე სხვადასხვა ეტაპისგან შედგება. გაკეთდა როგორც არქიტექტურული, ასევე კონსტრუქციული პროექტი, საჭირო გახდა ნაგებობების ფიზიკური მდგომარეობის შესწავლა, თავიდან აიგეგმა რელიეფი და შესრულდა ტოპოგრაფია. გაკეთდა ეკოლოგიური დასკვნაც, რაც იმისათვის გახდა საჭირო, რომ გათვლილიყო, რამდენად შესაძლებელია მდინარე მუცოსწყალზე მცირე ჰესის დადგმა, რათა სამომავლოდ მუცოს საკუთარი ელექტროენერგია ჰქოდეს. როგორც სპეციალისტებმა გამოითვალეს, ამ მდინარეს საშუალოდ 25 კილოვატის მოცემა შეუძლია, რაც აბსოლუტურად საკმარისი იქნება მცირე ზომის სასტუმროს გასათბობად და ცხელი წლით მოსამარაგებლად. ამის შესაბამისად გაკეთდა ასევე მუცოს გარეგანათების პროექტი. შესრულდა ვერტიკალური გეგმარების პროექტიც, რაც ფიზიკური სამუშაოების წარმოებისათვის არის აუცილებელი.

**ნანა მეფარიშვილი:** "რასაკვირველია, ყველა ეტაპი რთული იყო, მუცო თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე ძალიან რთული ძეგლია, ნაშენია მშრალი წყობით, რთულია მისი რელიეფი, ახლოსაა ჩეჩნეთის საზღვართან და ა.შ. ამიტომ ერთ-ერთი სირთულე იყო ხარჯების დათვლა, ის მასალა, ხე თუ ქვა, რაც მუცოს პირველანდელ სახემდე მიიყვანს, ადგილზე არ არის. ასევე არ არის პროფესიონალი მუშახელი, ყველაფერი დიდი სიფრთხილითაა გასაკეთებელი, რომ შენარჩუნდეს მისი ავთენტურობა. გამოთვლილი თანხა - 2 ნახევარი მილიონი, სავარაუდო თანხაა და როცა სამუშაოები დაიწყება, პირველივე წელს ბევრი რამ დაკონკრეტდება".

ციხე-ქალაქი მუცო კლდეზეა გაშენებული. იმისათვის რომ იქ სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყოს და საშენი მასალა აიტანონ, პატარა საბაგირო გზის მოწყობაა საჭირო. ამისთვისაც შეირჩა ადგილი და მოხდა გათვლა. ასევე გაკეთდა ეთნოლოგიური და სახელოვნებათმცოდნეო კვლევები, სპეციალისტებმა მოიძიეს როგორც ლიტერატურა, ასევე შეისწავლეს ადგილობრივებისგან გადმოცემები, როგორი იყო მუცო საუკუნეების წინ, როგორ ცხოვრობდა, როგორი ტრადიციებით, როგორი იყო მისი კოშკების ინტერიერი, რადგან თუ ჩვენ ვაპირებთ მუცოს სიცოცხლე დავუბრუნოთ, ეს ძველის ანალოგიით უნდა მოხდეს.

პროექტი "ქართული სახლი" მიიჩნევს, მუცოს აღდგენა უპირველეს ყოვლისა ხევსურების დახმარებით უნდა მოხდეს. ეს კოშკები და სახლები იმან უნდა აღადგინოს, ვინც დაბადებიდან უყურებს ამ სილუეტს, გრძნობს ქვას, რითაც მუცოა აგებული და მის პროპორციასაც. ამისათვის ხევსური ხელოსნებია მოსაძიებელი, ქვის წყობის ძველი ოსტატები, კალატოზები. შესაძლებელია ამ საქმეში ქისტი ოსტატების დახმარებაც.

ნანა მეფარიშვილის თქმით, დაიგეგმა სამუშაოების წარმოების პროქტი და შედგა კალენდარული გრაფიკი. მუცოს რეაბილიტაცია ეტაპობრივად უნდა მოხდეს, რასაც 5 წელი მაინც დასჭირდება. პირველ ეტაპი რამდენიმე კოშკის გადარჩენას ეხება, რომელიც ჩამოქცევის პირასაა. მაგალითად, ერთ-ერთი, 25-ე კოშკად წოდებული ნაგებობა ბოლო ქვამდე უნდა დაიშალოს და მერე ისევ ხელახლა აეწყოს. არქიტექტორები და კონსტრუქტორები დიდხანს მსჯელობდნენ ამის უსაფრთხოდ განხორციელებაზე, ვინაიდან, ერთმა არასწორად ჩამოვარდნილმა ქვამ შესაძლოა ქვედა ნაგებობების ძლიერი დაზიანება გამოიწვიოს.

ასევე პირველი ეტაპის სამუშაოა ძეგლის გაწმენდა ჩახერგილი ქვებისგან როგორც სახლების შიგნით, ასევე გზებზე და ბილიკებზე. გაწმენდილი შუკები სხვა ინფორმაციას მოგვცემს, ვინაიდან იქ არქეოლოგიური სამუშაოები არასდროს ჩატარებულა, ბევრი რამაა კიდევ გამოსაკვლევი.

პირველი ეტაპის სამუშაოა საბაგიროს მოწყობაც, რაც საშუალებას მისცემს მშენებლებს საშენი მასალა აიტანონ. ამ საქმეში სპეციალისტებმა ვირების გამოყენებაც კი იფიქრეს, მაგრამ გარდა ხის მასალისა, ციხეზე ლითონის კონსტრუქციის ატანაც მოუწევთ, ამისათვის ისევ საბაგირო არჩიეს, რომელიც გენერატორზე იმუშავებს.

ძეგლის წლევანდელმა შესწავლამ ისიც გამოაჩინა, რომ ტურისტებისთვის ეს ციხე-ქალაქი რაღაც სიმაღლემდე უნდა შეიზღუდოს, ვინაიდან რამდენიმე ნაგებობა უკვე საშიშროებას წარმოადგენს ადამიანის სიცოცხლისათვის. ამიტომ სასწრაფოდ არის გასაკეთებელი მარკირება.

"ჩვენი ინიციატივით ვთვლით, რომ მუცოში უნდა გაჩნდეს მცირე ზომის სასტუმრო. ამის თქმის საშუალებას გვაძლევს ტურისტთა ნაკადი, რომელიც ზაფხულის განმავლობაში ხევსურეთს სტუმრობს. იმ ტურისტულ მარშრუტში, რომელიც მოიცავს შატილი-მუცო-არდოტი-ხახაბოს. ასევე აუცილებელია, შატილის გარდა კიდევ იყოს სადმე ღამის გასათევი ადგილი მინიმალური კომფორტით, როგორიც ველურ ტურიზმს შეეფერება. ამისათვის საჭიროა ნარჩენებისა და კანალიზაციის გადასამუშავებელი დანადგარი დაიდგას. ეკოლოგიას ჩვენ არც მიკროჰესით დავაზიანებთ. მდინარეში კალმახია და მისი განადგურება დაუშვებელია, შესაბამისად, არც ნარჩენები უნდა ჩავუშვათ მდინარეში", - ამბობს ნანა მეფარიშვილი.

თუკი მუცოში ცხოვრება აღდგება და ციხე-ქალაქი თავის სახეს დაიბრუნებს, ალბათ იქ მცირე სასტუმროს მოწყობაც გახდება შესაძლებელი, ასე იყო თუ ისე, ძველი მუცოელები ალბათ სტუმრებსაც იღებდნენ და არც მათი მოსვენება უჭირდათ. მომავალში, მუცოში ასულ სტუმარს ადგილობრივი მასპინძელი უნდა დახვდეს.

კულტურის სამინისტროსა და ტურიზმის დეპარტამენტში მიიჩნევენ, რომ პირიქითა ხევსურეთის ტურისტული ინფრასტრუქტურა მოწესრიგებას საჭიროებს და აუცილებელია სხვა სოფლების მიხედვაც. წლევანდელმა ექსპედიციამ აჩვენა, რომ მუცო იარსებებს მაშინ, თუკი ის ერთიან ტურისტულ კონტექსტში აღდგება. ეს კი იმასაც გულისხმობს რომ, პოტენციალის შესწავლის მიზნით მსგავსი კვლევები არდოტსა და ხახაბოზეც უნდა გაკეთდეს.

# სპორტი

## ფიფა-ს ასისტენტის სტატუსი ორ ქართველ მსაჯს

2009 წლის 1 იანვრიდან ქართული სამსაჯო კორპუსის ორი წარმომადგენელი - ლევან თოდრია და ზაზა ფიფია - ფიფა-ს ასისტენტის ფორმას მოირგებს. დღესდღეობით ფიფა-ს არბიტრის წოდებას ოთხი ქართველი მსაჯი - ლევან კვარაცხელია, ლევან ფანიაშვილი, ლაშა სილგავა და გიორგი ვადაჭკორია - ატარებს, ხოლო ფიფა-ს ასისტენტი კი უკვე რვა ქართველია: ბესიკ ჭიჭინაძე, გურამ ჩიგოგიძე, მამუკა ელიკაშვილი, ზურაბ ჯაფარიძე, ზაზა მენთეშაშვილი, ლევან მიქელაძე, ზაზა ფიფია და ლევან თოდრია. შეგახსენებთ, რომ ქართული სამსაჯო კორპუსის ორი წარმომადგენელი შოთა ქუხილავა და არსენ ნონიკაშვილი ფიფა-ს ფუტსალის არბიტრის წოდებით სარგებლობს.

## ქართველი ფრენბურთელების წარუმატებელი გამოსვლა

ესტონეთის დედაქალაქ ტალინში მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე მოთამაშე საქართველოს ქალ ფრენბურთელთა ნაკრებმა სამი მატჩიდან ორში მარცხი განიცადა. ქართველმა ფრენბურთელებმა პირველ შეხვედრაში მასპინძელ ესტონეთთან 0:3 (17:25, 20:25, 14:25) წააგეს, შემდეგ კი დანიას 3:1 (25:18, 19:25, 25:23, 25:15) სძლიეს და შემდეგ ეტაპზე გასვლის თეორიული შანსი შეინარჩუნეს. საქართველოს ნაკრებისთვის, რომლის ღირსებასაც ბრაზილიელები კრისტინა სანტანა და ანდრეცა ჩაგაში, იგივე საქა და რთველო იცავდნენ, ყველაფერი დასკვნით ტურში დასრულდა, როდესაც ფავორიტ მოლდოვასთან შეხვედრა ჩვენებმა 0:3 (9:25, 8:25, 13:25) დათმეს. მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის საგზური სწორედ მოლდოველებს ერგოთ, რომელთაც ჯგუფში სამივე მეტოქეს სძლიეს.

## ჩიხლაძემ შტუტგარტში გადაინაცვლა

შვაიბერდიგენის საჩოგბურთო ტურნირზე წარუმატებელი ასპარეზობის შემდეგ, ქართველი ჩოგბურთელი ლადო ჩიხლაძე გერმანიაში დარჩა და მიმდინარე კვირაში შტუტგარტის პირველობაზე ითამაშებს. ჩიხლაძე პირდაპირ ძირითად ბადეშია დაშვებული, მისი მეტოქის ვინაობა კი საკვალიფიკაციო მატჩების დასრულების შემდეგ გაირკვევა. შტუტგარტის საჩოგბურთო ტურნირის საპრიზო ფონდი 10 ათასი დოლარია.

## მუჯირი "სიონაში" ვარჯიშობს

მიმდინარე საფეხბურთო სეზონის მე-2 ეტაპისთვის მზადების მიზნით, ბოლნისის "სიონი" დღეში კვლავ ერთჯერადად ვარჯიშობს. 13-დან 19 იანვრამდე, გუნდი ორჯერად ვარჯიშებზე (შუადღის შეკრებით) გადავა, ხოლო 20-დან, 10-12 დღით, შეკრებას ქობულეთში გაივლის. რაც შეეხება გუნდის საკადრო სიახლეებს, საქართველოში დაბრუნებული 33 წლის ნახევარმცველი, ამირან მუჯირი "სიონში" მოვარჯიშეთა შორის გამოჩნდა. მალე, ბოლნისელთა მთავარი მწვრთნელი ოთარ კორღალიძე იმათ ვინაობას დაასახელებს, რომლებიც გუნდში ორჯერად ვარჯიშზე გადავლენ და სწორედ მათგან შეირჩევა ის საბოლოო 22 ფეხბურთელი, რომლებიც "სიონის" განაცხადში დარჩებიან.

## ტოჩინოშინმა ტრადიცია არ დაარღვია, კოკაიმ კი წაიფორხილა

იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში მიმდინარე სუმოისტთა წლის პირველ სუპერტურნირზე წარმატებულ ასპარეზობას აგრძელებს ახალგაზრდა ქართველი სუმოისტი ლევან გორგაძე, რომელმაც პირველი ორი ბრძოლა მოიგო და ამ ეტაპზე დაუმარცხებელია, სამწუხაროდ ასპარეზობის მეორე დღე წარუმატებელი გამოდგა ლევან ცაგურიასთვის. კოკაიმ მეტოქის დამარცხება ვერ შეძლო და ახლა ქართველის ანგარიშზე ერთი გამარჯვება და ერთი მარცხია.



ტოჩინოშინმა ზედიზედ მეორედ მოიგო.

გუშინ ტოჩინოშინს მეტოქეობას აღმოსავლეთის მეცამეტე მაიგაშირა კორუ უწევდა, უნდა ითქვას, რომ გორგაძეს ამ სუმოისტთან საკმაოდ კარგი პირადი ბალანსი აქვს, ელიტარულ დივიზიონში გამართული ყველა ბრძოლა ტოჩინოშინის გამარჯვებით იყო დასრულებული. ტრადიცია არც ამჯერად დაირღვა და ქართველმა ცუკიტოშის ილეთით შეძლო კორუს დამარცხება.

დეკემბრის ბანძუკეს გამოქვეყნების შემდეგ მეოთხე მაიგაშირობამდე აღზევებული კოკაი კი საკმაოდ გამოცდილ და ძლიერ სუმოისტ გუედოს უპირისპირდებოდა, რომელიც ამჟამად დასავლეთის მესამე მაიგაშირას რანგშია. სამწუხაროდ კოკაიმ გუედოს წინააღმდეგ ვერაფერი გააწყო და დამარცხდა.

გუშინვე იმარჯვა ბაშოს ორმა ფავორიტმა. ასაშორიუმ აღმოსავლეთის პირველი მაიგაშირა კოტოშოგიკუ დაამარცხა, ჰაკუჰომ კი დასავლეთის პირველი მაიგაშირა კუკუტენო.

დღეს ტოჩინოშინი თავის მესამე ბრძოლაში აღმოსავლეთის მეათე მაიგაშირა ტოკიტენუკის შეერკინება, რომელსაც უკვე ორი დაპირისპირების წაგება აქვს მოსწრებული. სტატისტიკის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ ტოჩინოშინს დღესაც აქვს უპირატესობა. ელიტარულ მაკუჩი დივიზიონში ლევან გორგაძე თავის დღევანდელ მეტოქეს ერთხელ დაუპირისპირდა და დაამარცხა კიდეც.

კოკაის კი დასავლეთის მეხუთე მაიგაშირა ტაკამისაკირისთან მოუწევს საკუთარი ძალების გამოცდა. ტაკამისაკირიმ ბაშო სუსტად დაიწყო და ორივე ბრძოლა წაგებული აქვს. რაც შეეხება ამ ორი სუმოისტის პირად დაპირისპირებას აქ ტაკამისაკირის უპირატესობა აშკარაა, ბოლო ერთი წლის განმავლობაში კოკაი

მას ოთხჯერ დაუპირისპირდა და აქედან სამჯერ წააგო. აღსანიშნავია, რომ ქართველს ზედიზედ აქვს ტაკამისაკირისთან სამი მარცხი განცდილი.

## ფაჩულია დაბრუნდა, "ატლანტა" მაინც აგებს

გრიპის ვირუსის გამო გამოტოვებული ორი მატჩის შემდეგ, "ატლანტა ჰოუქსის" ქართველი ცენტრი ზაზა ფაჩულია NBA-ს რეგულარულ სეზონს "ფილადელფია სიქსერზთან" შეხვედრაში დაუბრუნდა თანაც თავისი გუნდის ძირითად ხუთეულში, თუმცა ქართველი ცენტრის დაბრუნებამ "ქორებს" ვერაფრით უშველა, და ჯორჯიელებმა სეზონში მე-14 და ზედიზედ მესამე მარცხი განიცადეს.

ატლანტას ძირითადი ცენტრის ალ ჰორფორდის ტრავმის გამო, ფაჩულია "ჰოუქსის" სასტარტო ხუთეულში მოხვდა, მაგრამ ბოძებული შანსი ვერ გამოიყენა.

ზაზამ მოედანზე 31 წუთი დაჰყო და მასპინძლებს მხოლოდ 4 ქულა, 6 მოხსნა და 2 პასი შეაწია.

ფაჩულიამ 5-დან 1 ორქულიანი ჩააგდო, 4 საჯარიმოდან კი 2 გამოიყენა.

ქართველმა ცენტრმა 3 პერსონალური ფოლი მიიღო და ერთხელ დაუფარეს.

ჯორჯიელთა რიგებში საუკეთესო ჯო ჯონსონმა 25 ქულას 9 პასი წაუმატა, ფილადელფიელთა ლიდერმა იგუდალამ კი 27 ქულა, 9 შედეგიანი გადაცემა და 6 მოხსნა მიითვალა.

22 მოგებითა და 14 მარცხით "ჰოუქსი" სამხრეთ-აღმოსავლეთ დივიზიონში მე-2, ხოლო მთელს აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-4 ადგილზეა.

ოთხშაბათ დილით ატლანტელები სტუმრად "ფენიქს სანზს" დაუპირისპირდებიან.

კვირას გვიან ღამით გაიმართა ტური ესპანეთის ჩემპიონატში. ნიკოლოზ ცქიტიშვილმა ესპანურ პრიმერადივიზიონში მადრიდის "რეალს" 15 ქულა ჩაუგდო, თუმცა მისი "ფუენლაბრადა" "სამეფო კლუბთან" მაინც დამარცხდა - 74:90.

ქართველმა ფორვარდმა 15 ქულის შეგროვებას 19 წუთი მოანდომა - ნიკა სასტარტო შემადგენლობაში იყო და მოედანზე სწორედ ამდენი ხანი გაატარა.

ცქიტიშვილმა 7 ორქულიანიდან 4 ჩააგდო, 4 საჯარიმოდან ოთხივე მოათავსა მადრიდელთა კალათში, ხოლო 3 სამქულიანიდან 1 გაარტყა მიზანში. "სკიტას" ანგარიშზე ასევე დაგროვდა 4 მოხსნა, საიდანაც 2 საკუთარ ფარზე მოიხვეჭა, ორიც - მეტოქისაზე.

რაც შეეხება თავად მატჩს, ის მთლიანად მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა და საბოლოოდ ევროპის ყველაზე ტიტულიანი კლუბის იოლი გამარჯვებით დასრულდა.

ამავე ტურში ვლადიმერ ბოისას "ვივემენორკა" პირველობის ერთ-ერთ ლიდერ "უნიკახას" ესტუმრა და 53:78 დამარცხდა.

ქართველმა კალათბურთელმა მოედანზე 18 წუთი დაჰყო და გუნდს 2 ქულა, 2 მოხსნა და 2 პასი შეაწია.

ბოისამ სამივე სამქულიანი ააცილა, სამი ორქულიანიდან კი ერთი ჩააგდო.

"ვივემენორკას" რიგებში რიგებში პუჰ ჯეტერმა 16 ქულა მიითვალა, ხოლო "უნიკახას" ლიდერმა ჯოზეფ გომისმა 18 ქულა ჩააგდო.

ბოისას კლუბს 5 მოგებითა და 11 მარცხით მე-14 ადგილი უკავია.

კვლავაც ბოლო ადგილზე რჩება ტაირონ ელისის "კახასოლი", რომელიც "სარაგოსასთან" საშინაო მატჩში 75:79 დამარცხდა.

საქართველოს ნაკრების ამერიკელმა გამთამაშებელმა მოედანზე 26 წუთი დაჰყო და მასპინძლებს 8 ქულა, 6 მოხსნა და 1 პასი შეაშველა.

ელისმა 7-დან 2 სამქულიანი გამოიყენა, 2 ორქულიანიდან კი ერთი ჩააგდო.

"კახასოლს" 16 ტურში ორადორი მოგება აქვს და 17-გუნდიან ლიგაში ბოლო ადგილზე რჩება.



დავით კოვზირიძის სვეტი

## გოზინაყი, მახინჯთეძოიანი დივები და ქრისმესი

რომ არა გოზინაყი, ქართული ტელევიზიის შოკისმომგვრელი საახალწლო პროგრამის გადატანა, პირადად მე, ძალიან გამიჭირდებოდა. რა იყო ეს? რა უბედურებაა? გულისამრევი კონცერტები, პროვინციული "სასაცილო" გადაცემები, მდაბიო მძაფრსიუჟეტიანი ფილმები, ასევე მდაბიო "უჟასები" პირველი იანვრის ღამეს. ბარემ კაი გერმანული, მძიმე პორნოგრაფიაც ეჩვენებინათ "მათთვის, ვისაც არ ძინავს". არა რა, რომ არა გოზინაყი, ნამდვილად მოვიწამლებოდით...

პირველი იანვრის დილას "ბარსელონამ" მორიგი ვარჯიში ჩაატარა. არავის დაუგვიანია, არავის დაზარებია - მწვრთნელმა თქვა და დამთავრდა ამბავი. ეხლა წარმოიდგინეთ, მსგავსი სიუჟეტი ქართულ რეალობაში: ჯერ ხო მწვრთნელი ვერ გაბედავდა ამას, თუ გაბედავდა, ხო აუცილებლად მასხრად აიგდებდნენ და ვინც არ აიგდებდა და ვარჯიშზე მივიდოდა, ხო გაუსკდებოდა გული პახმელიაზე.

წლის პირველ დღეებში ინგლისშიც არავის უვარჯიშია იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ თასის თამაშები იყო. უბრალოდ თამაშები კი არა, გოზინაყივით! რა ტემპი, რა ჯახაჯუხი, რა ემოციები, რა სენსაციები, რა სავსე სტადიონები! ვითომ არ ჯობია ასეთ თამაშზე ორ იანვარს მისვლა და ფლიაგიდან შოტლანდიური ვისკის წრუპვა რესტორანში ჯდომას და "შახმატნად" სადღეგრძელოების და ფონოგრამაზე მახინჯი თეძოების მქნეველი დივების მოსმენას?

"ოქროს საწმისი" კი უკვე იტალიაშია და მარტამდე იქ იქნება. დევიდზე ვამბობ, ბექემზე, ფულის საჭრელ მანქანაზე ჩამოტარებით. არა და არ გაძლა ვიქტორია ადამსის მუცელი, საწყალი ბიჭი ხან ამერიკაშია, ხან აზიაში, ხან ევროპაში და მალე შეიძლება ანტარქტიდაზეც გადაისროლონ. ისე, აქაც ხო არ ჩამოგვეყვანა ერთი-ორი თვით?

მარკეტინგ-მერჩენდაიზინგი იქით იყოს და თვალსა და ხელს შუა ჩვენს თვალწინ ფეხბურთის ახალი მეფე გამოიძერწა. ის აღარც პერსპექტიული ბავშვია, არც ნიჭიერი ყმაწვილი და არც უბრალოდ გენიოსი - დღეს ლეო მესი ფეხბურთის მეფეა!

საინტერესო იქნებოდა ასეთი ექსპერიმენტის ჩატარება - ას მეტრზე სირბილში ერთმანეთს შეეჯიბრონ იამაიკელი ოლიმპიური ჩემპიონი, მსოფლიო რეკორდსმენი უსეინ ბოლტი უბურთოდ და მესი ბურთით. დარწმუნებული ვარ ლეო მოიგებს და გზაში ამ ჩვენ ბოლტს ფინტსაც გაუკეთებს. მგონი კარგი აზრია, მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციაში და ფიფაში უნდა ვაფრინო წერილები.

ვინმეს გინახავთ ასეთი სწრაფი ფეხბურთელი? არა, თავის დროზე იგორ ბელანოვიც მაგრად დაჯლიგინებდა, მაგრამ ეს მხოლოდ ჯლიგინი იყო და სხვა არაფერი. მესი კი არამარტო ჩქარა დარბის, არამედ კიდევ უფრო სწრაფად აზროვნებს - მოედანზე ყოფნისას ის სამყაროზე ერთი წამით წინაა და სწორედ ეს წამია მისი მაგიურობის საწინდარი.

ამ წამის დამსახურებაა ის, რომ მესი აკეთებს იმას, რასაც უნდა და როცა უნდა. კაცის მოტყუება მისთვის ისეთივე მარტივია, როგორც ქართველი "მომღერლებისთვის" ფონოგრამაზე პირის მოძრაობის აყოლება. თუ ერთი მოატყუა და სიჩქარე აკრიფა, მაშინ ან ჯარიმაა, ან გოლი, ან საგოლე პასი. მოწინააღმდეგისთვის ამ სამი ვარიანტიდან საუკეთესო ჯარიმაა, მაგრამ ესეც პრობლემაა - ჯერ უნდა დაეწიო, ჯერ უნდა მიხვდე რას აკეთებს, რომ წააქციო.

ბევრი მაინც პესიმისტურად უყურებს მის მეფობას, ჯერ ადრეაო, ჯერ ტიტულებით უნდა დაამტკიცოს უზენაესობაო. მაგრამ ეს არასწორი მიდგომაა, რადგან შეიძლება მესიმ ის ფეხბურთი ითამაშოს, რომელსაც თამაშობს და ვერც ვერაფერი მოიგოს, ხოლო ჯონ ობი მიკელი სამჯერ გახდეს ჩემპიონთა თასის მფლობელი და შვიდჯერ ინგლისის ჩემპიონი. ხარისხი სხვა რამეა, ხარისხი ციფრებით არ ითვლება.

მე მიხარია, რომ ლიონელ მესი არსებობს და სულ არ მაინტერესებს, მეფე ერქმევა თუ მეჭურჭლეთუხუცესი. ჩვენი და გოზინაყის არ იყოს, ამ ბიჭის გარეშე ფეხბურთი თუ არ მოიწამლებოდა, გემრიელიც არ იქნებოდა.

*მომავალ სამშაბათამდე*

# ასკა შესაძლოა ლოკომოტივში დაბრუნდეს




"დინამოს" ასათიანისთვის ხელფასის გადახდა უჭირს.

ქართულ საფეხბურთო ლეგიონზე საუბარი წლის ამ პერიოდში საკმაოდ რთულია. რუსეთსა და უკრაინაში საფეხბურთო არდადეგებია, ისვენებენ გერმანიაშიც, შესაბამისად მხოლოდ იტალია-ინგლისით უნდა შემოვიფარგლოთ და ვინაიდან ქართველებს დიდად არც იქ სწყალობენ ამიტომაც მოდით ამჯერად მეტი დრო სატრანსფერო ამბებს დავუთმოთ.

დიდია ალბათობა იმისა, რომ საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი დავით სირაძე კლუბს შეიცვლის.

რუსეთის პრემიერლიგის "სპარტაკ-ნალჩიკის" ხელმძღვანელობამ დაადასტურა, რომ სირაძეს ახალ კონტრაქტს იმიტომ ვერ უფორმებს, რომ ფეხბურთელის მიერ მოთხოვნილი ანაზღაურების გადახდის საუშალება არ აქვს.

აქედან გამომდინარე, რუსული გამოცემა sport-express-ის ცნობით, ქართველი ფეხბურთელი, რომელიც განვლილ სეზონში 4 გატანილი გოლით ყაბარდო-ბალყარული გუნდის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი იყო, გადაწყვეტილია, რომ კლუბს დატოვებს.

27 წლის ქართველი ფორვარდი "სპარტაკ-ნალჩიკში" გერმანიის მეორე ბუნდესლიგის "პადერბორნიდან" გადავიდა და პრემიერლიგაში გამართულ 27 მატჩში მეტოქის კარი ოთხჯერ აილო.

ფინანსურმა საკითხმა შესაძლოა მალხაზ ასათიანის ტრანსფერსაც შეუშალოს ხელი და ასკას კიევის "დინამოს" ნაცვლად კვლავ მოსკოვის "ლოკომოტივში" მოუწიოს თამაშმა.

როგორც უკრაინული საინფორმაციო საშუალებები იუწყებიან, "დინამოს" ხელმძღვანელობამ ასათიანთან კონტრაქტის გაფორმებაზე იმის გამო შეიძლება აილოს ხელი, რომ ქართველს "ლოკოში" საკმაოდ მაღალი ხელფასი ჰქონდა. უკრაინელებმა ფეხბურთელის სატრანსფერო უფლებების გამოსყიდვის შემთხვევაში მას ისეთივე ხელფასი უნდა გადაუხადონ, რაც "ლოკომოტივში" ჰქონდა. ერთ-ერთი რუსული სააგენტოს ინფორმაციით, ქართველი უკანახაზელი რუსეთის პრემიერლიგის ყველაზე მაღალანაზღაურებად მოთამაშეთა შორის ფიგურირებდა და მისი შემოსავალი 2,4 მილიონ ევროს შეადგენდა.

ასათიანს კონტრაქტი "ლოკომოტივთან" აკავშირებს და გასული წლის ზაფხულიდან კიევში იჯარით თამაშობდა. მოსკოველებს მისი გაყიდვა სურთ და კლუბის ხელმძღვანელობა აცხადებდა, რომ თუ "დინამოსგან" შესაბამისი დაინტერესება იქნებოდა, მალხაზს უკრაინელებს სიმბოლურ ფასში დაუთმობდა. თუმცა, ჩანს, უკრაინელები ქართველის ხელფასმა დააფრთხო და სწორედ ამიტომ, კიეველთა საწვრთნელ შეკრებაზე, სერბი ცენტრალური მცველი პაიოვიჩი გამოჩნდა, რომელიც ასათიანის სავარაუდო შემცვლელად მოიაზრება.

თბილისის "დინამოს" ყოფილი კაპიტანი დავით ოდიკაძე კი კვირას დილით უნგრეთში ჩავიდა. ქართველი "ჯვაროსნების" ნახევარმცველი, მადიართა ჩემპიონატის მეცამეტეადგილოსან "დიორ ეტოში" სამედიცინო შემოწმებას უახლოეს დღეებში გაივლის და თუ ყველაფერმა წარმატებით ჩაიარა, ფეხბურთელი და კლუბი ერთმანეთში შრომით ხელშეკრულებას გააფორმებენ.

ახლა კი წმინდა საფეხბურთო თემაზე გადავიდეთ.

იტალიის სერია A-ს მე-18 ტურმა ქართველი ფეხბურთელების გარეშე ჩაიარა, დასამახსოვრებელი კი იმით გახლდათ, რომ ინგლისელმა დევიდ ბექჰემმა "მილანის" მაისური პირველად მოირგო.

"მილანისა" და "რომას" დაპირისპირება, რომელიც რომის ოლიმპიურ სტადიონზე შედგა, ფრედ 2:2 დასრულდა. ბექჰემმა მინდორზე 89 წუთი დაჰყო, ქართველი კახა კალაძე კი "როსონერის" განაცხადში არ ყოფილა.

რომაელთაგან ორჯერ თავი ჩერნოგორიელმა მირკო ვუჩინიჩმა გამოიჩინა, ხოლო მილანელთაგან დუბლი ბრაზილიელმა ალეშანდრო პატომ შეასრულა.

18 ტურში მოგროვებული 34 ქულით "მილანი" მე-3 ადგილზე იმყოფება.

ქართველი ლევან მჭედლიძის გარეშე ჩაიარა "პალერმოსა" და "ატალანტას" შეხვედრამ, რომელიც მასპინძლებმა 3:2 მოიგეს. მჭედლიძე სიცილიელთა განაცხადში კი გახლდათ, თუმცა, მინდორზე არ გამოჩენილა.

"პალერმომ" მიკოლისა და ბრეშიანოს გოლების წყალობით პირველი ტაიმი 2:0 მოიგო და მართალია, მე-2 ნახევარში ფლოკარიმა და პინტუმ წონასწორობა აღადგინეს, 84-ე წუთზე განხორციელებული შედეგიანი დარტყმის წყალობით, კავანიმ გამარჯვება სიცილიელებს მოუტანა. მჭედლიძის კლუბი 26 ქულით მე-8 ადგილზე იმყოფება.

ჯაბა კანკავას, სანდრო კობახიძისა და ბექა გოცირიძის "დნიპრო" მოსამზადებელ ეტაპს თურქეთში გადის. კვირას უკრაინელებმა ჩვენი სამხრეთელი მეზობლის სახელმწიფოში მეორე შეხვედრა ჩაატარეს და კვლავ 1:1 ითამაშეს. თუკი პირველ შეხვედრაში ვლადიმირ ბესონოვის შეგირდები გერმანულ "კარლსრუეს" დაუზავდნენ, ამჯერად ყაზახურ "აქტობეს" დაშორდნენ მშვიდობიანად. პირველი შეხვედრა ჩაატარა თავისი ახალი გუნდის შემადგენლობაში ბექა გოცირიძემ. მან მინდორზე საწყისი ტაიმისთვის განკუთვნილი დრო სრულად გაატარა და კანკავას პასის შემდეგ თავური დარტყმით კინალამ გოლიც გაიტანა. სრულად ჩაატარა მატჩი კანკავამ, კობახიძე კი საქმეში 65-ე წუთიდან ჩაერთო. მთლიანობაში შეხვედრამ უკრაინელთა უპირატესობით ჩაიარა, თუმცა, ყაზახების მხარეს სპორტული იღბალი აღმოჩნდა და საყაიმო შედეგს კასპიისზღვისპირელები უპირველესად ფორტუნას უნდა უმადლოდნენ. მომდევნო მატჩს "დნიპრო" კვლავ ყაზახურ გუნდთან, ამჯერად "ირტიშთან" ჩაატარებს. ასპარეზობა 15 იანვარს შედგება.

## ზიკო რუსულ არმიაში ჩაეწერა

ლეგენდარული ბრაზილიელი ფეხბურთელი, ამჟამად მწვრთნელი - ზიკო, რომელმაც ორიოდე დღის წინ უზბეკურ კლუბ "ბუნედკორთან" კონტრაქტი გაწყვიტა, მოსკოვში ცსკა-ს ხელმძღვანელობასთან კონტრაქტის დეტალების შესათანხმებლად ჩავიდა, რუსული კლუბის მთავარ მწვრთნელად ოფიციალურად დაინიშნა. მან რუსულ კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ბრაზილიის ეროვნული ნაკრების ყოფილი ლიდერი, ახალ კლუბში თავისი მოვალეობის შესრულებას 12 იანვრიდან შეუდგა, როდესაც გუნდი პირველ შეკრებაზე, ისრაელში წაიყვა. პირველი შეკრება 27 იანვრამდე გაგრძელდება, ზიკოს ერთ-ერთი დამხმარე კი, მისი თანამემამულე ედუ იქნება, რომელთან ერთადაც ბრაზილიური ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდა თურქულ "ფენერბაჰჩესა" და "ბუნედკორში" მუშაობდა.

## ფერდინანდი ზურგმა შეაწუხა

ინგლისის "მანჩესტერ იუნაიტედის" მცველი რიო ფერდინანდი ზურგის ტკივილმა ისევ შეაწუხა და მისი მწყობრში ჩადგომის ვადა გაურკვეველი ვადით გადაიდო.

გუნდის მთავარმა მწვრთნელმა სერ ალექს ფერგიუსონმა აღნიშნა, რომ ფერდინანდი ამ დღეებში სპეციალისტს მიმართავს.

ფერდინანდმა მთელი კვირა ყოველგვარი ტკივილის გარეშე ივარჯიშა, თუმცა, კვირას ძლიერმა სპაზმებმა გაალვიძა. "ეს ჩვენთვის ძალიან დიდი პრობლემაა. რიო სპეციალისტს ეწვევა და ვიმედოვნებ, რომ ტკივილის მიზეზი დადგინდება" - თქვა ფერგიუსონმა.

ფერდინანდი "მანჩესტერ იუნაიტედში" 2002 წლიდან თამაშობს და პრემიერლიგის 199 მატჩში 6 გოლი გაიტანა. მან ტრავმა გასული წლის დეკემბრის შუა რიცხვებში მიიღო და მას შემდეგ მოედანზე აღარ გასულა. ფერდინანდს ინგლისის ეროვნულ ნაკრებში გამართულ 72 შეხვედრაში 3 გოლი აქვს გატანილი.

## კლინსმანი გაძლიერების პირობას იძლევა

მიუნხენის "ბაიერნის" მწვრთნელმა იურგენ კლინსმანმა განაცხადა, რომ მომავალი სეზონისთვის გუნდი ახალი ფეხბურთელებით გაძლიერდება.

"ივიცა ოლიჩის გარდა კიდევ რამდენიმე ფეხბურთელს გადავიბირებთ. მომავალ სეზონში ძალიან, ძალიან კარგად დაკომპლექტებული შემადგენლობა გვეყოლება" - აღნიშნა კლინსმანმა.

მისი თქმით, ფრანკ რიბერი, რომელმაც კლუბისგან უკვე არა ერთხელ ითხოვა ძლიერი მოთამაშეების შეძენა, ახალწვეულებით ძალიან კმაყოფილი იქნება.

იმავდროულად, თავად 25 წლის ფრანგმა ნახევარმცველმა გერმანულ მედიასთან საუბარში თქვა, რომ "ბაიერნს" სულაც არ მიიჩნევს პრიმერადივიზიონსა თუ პრემიერლიგაში მოსახვედრ ტრამპლინად.

ის ფიქრობს, რომ მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო გუნდში თამაშობს, რომელიც მადრიდის "რეალის", "ჩელსის", "მანჩესტერ იუნაიტედისა" და "ლივერპულის" დონეზე დგას.

"ჩემი აზრით, ჩვენ ყველა მათგანის დამარცხება შეგვიძლია" - ამბობს რიბერი.

ერთადერთი გუნდი, რომელსაც ის ყველაზე წინ აყენებს, "ბარსელონაა":

"ბარსა" ჩვენზეც და სხვებზეც ძლიერია. მაგრამ დანარჩენები ჩვენზე უკეთეს ფეხბურთს ნამდვილად არ თამაშობენ."

## ბოატენგი "დორტმუნდს" დაეხმარება

დორტმუნდის "ბორუსიამ" ლონდონის "ტოტენჰემ ჰოტსპურიდან" 21 წლის ნახევარმცველი კევინ-პრინს ბოატენგი იქირავა.

გერმანიის 21-წლამდელთა ნაკრების წევრი დორტმუნდში სეზონის ბოლომდე დარჩება, რის მერეც "ბორუსიას" მისი შეძენის უფლებაც ექნება.

"ტოტენჰემმა" ბოატენგი 2007 წლის ზაფხულში ბერლინის "ჰერტასგან" 8 მილიონ ევროდ შეიძინა. ლონდონური კლუბის ღირსება ჭაბუკმა ნახევარმცველმა მხოლოდ 14 შეხვედრაში დაიცვა. "ბორუსიას" სპორტული დირექტორის, მიხაელ ცორკის განმარტებით, მისმა კლუბმა ბოატენგი ორი დღის წინ "ბრიუგეში" გაქირავებული 21 წლის ნახევარმცველის, მარკ-ანდრე კრუშკას სანაცვლოდ გადაიბირა.

## სანოგოს "ვერდერში" ტოვებენ

ბრემენის "ვერდერის" სპორტულმა დირექტორმა კლაუს ალოფსმა განაცხადა, რომ კლუბი - მიუხედავად ბოლო დღეებში გავრცელებული ხმებისა - სულაც არ გეგმავს თავდამსხმელ ბუბაქარ სანოგოს გაყიდვას.

ეს ხმები მას შემდეგ გავრცელდა, რაც სპილოს ძვლის სანაპიროს ეროვნული ნაკრების 26 წლის ფორვარდმა არა ერთხელ აღნიშნა, რომ უკმაყოფილოა კლუბში მისი ამჟამინდელი მდგომარეობით.

სანოგომ, რომელიც "ვეზერშტადიონზე" 2007 წლის ზაფხულში "ჰამბურგიდან" 4,5 მილიონი ევროს საფასურად მივიდა, მიმდინარე სეზონში ძირითად შემადგენლობაში ადგილისათვის ბრძოლა მარკუს როზენბერგსა და კლაუდიო პისაროსთან წააგო, რის გამოც პირველ წრეში მინდორზე მხოლოდ 8-ჯერ გამოჩნდა. ის სათადარიგოთა სკამზე ჯდომას ვერ ურიგდება და ამბობს, რომ სხვაგან - და, რაც მთავარია, დაუყოვნებლივ - გადასვლა სწადია.

მისი გადაბირების სურვილი უკვე გამოთქვეს მარსელის "ოლიმპიკმა" და "ნიუკასლმა".

თუმცა, ალოფსის თქმით, სანოგო არ იყიდება.

"ჩვენ ვიცით, რომ მას უფრო კარგადაც შეუძლია თამაში. ხოლო ახლა, როცა კლაუდიო პისარო დისკვალიფიკაციის გამო კიდევ ორ მატჩსაც გამოტოვებს, ჩვენ ის განსაკუთრებულად გვჭირდება" - აღნიშნა ალოფსმა.

## "ატლეტიკო" ბიონიშით დაინტერესდა

მადრიდის "ატლეტიკო" ბრემენის "ვერდერის" 22 წლის მცველ სებასტიან ბიონიშით დაინტერესდა. "ატლეტიკოს" მექსიკელ მწვრთნელ ხავიერ აგირეს დაცვის გაძლიერება სურს და დარწმუნებულია, რომ ჭაბუკი ბრემენელი საამისოდ დასტურ გამოადგება. ბიონიში "ვერდერში", როგორც წესი, მარცხენა ფრთაზე ირჯება, თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ ორივე ფეხით კარგად თამაშობს, მარჯვენა ფრთაზეც აყენებენ ხოლმე.

## შარაპოვა ავსტრალიაში ტიტულს არ დაიცავს

ავსტრალიის ღია პირველობის შარშანდელი გამარჯვებული მარია შარაპოვა წლეულს ტიტულის დაცვას ვერ შეძლებს. ამის შესახებ 21 წლის ტურფა რუსგოგომ ტურნირის ორგანიზატორებს კვირას განუცხადა. შარაპოვამ შარშანდელი სეზონი დიდებულად დაიწყო და მაისში მცირე ხნის რეიტინგსიის სათავეში დაბრუნებაც მოახერხა. მაგრამ შემდეგ მარჯვენა მხარის ტრავმამ შეაწუხა და ამის გამო პეკინის ოლიმპიადა, აშშ-ის ღია პირველობა და მერე მთელი შემოდგომაც გაუცდა. ახლა მას მხარი რიგზე აქვს, თუმცა რეაბილიტაციის მოსალოდნელზე უფრო ნელმა პროცესმა სასურველი ფორმის აღდგენის საშუალება არ მისცა. "ვარჯიში მხოლოდ რამდენიმე კვირაა, რაც განვაახლე და ჯერ იმ დონეს არ მივახლოებივარ, რაც ასეთი რანგის ტურნირებზე გამოსვლისთვის არის საჭირო" - წერია შარაპოვას განცხადებაში.

## რუს მორაგბეებს გეგმები აერიათ

რუსეთის მორაგბეთა ეროვნულ გუნდს, რომელიც ევროპის 2009/2010 წლების "ერთა თასზე" საქართველოს ნაკრების მეტოქეა, სამხრეთ აფრიკულ შეკრებაზე გეგმები აერია. რუსეთის რაგბის კავშირის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, სამხრეთაფრიკულმა კლუბმა "პუმასმა", უფრო ზუსტად კი, მისმა დუბლშემადგენლობამ, "დათვებთან" სპარინგის გამართვაზე უარი თქვა.

რუსები თებერვალ-მარტში ჩასატარებელი "ერთა თასის" შეხვედრებისათვის სერიოზულად ემზადებიან და 9 იანვრიდან სამხრეთ აფრიკის ქალაქ პრეტორიის სპორტულ ცენტრში დაბინავდნენ, სადაც 6 უმაღლესი დონის რაგბის სავარჯიშო მოედანი, სატრენაჟორო დარბაზი და აუზია განთავსებული.

შეკრების პირველ დღეს, გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ნიკოლაი ნერუშმა გუნდი მსუბუქად ავარჯიშა. მომდევნო დღიდან კი, შეგირდები ორჯერად წვრთნაზე გადაიყვანა და სრულად დატვირთა. სამხრეთ აფრიკაში რუსებს მზიანი ამინდი დახვდათ, ჰაერის ტემპერატურა 25 გრადუსია. ნერუშს კონსულტანტად ადგილობრივი ცნობილი სპეციალისტი ბლიკის გრუნვალდი ჰყავს.

"დათვებს" სამი სპარინგი ჰქონდათ დაგეგმილი, რომელთაგან პირველი, 15 იანვარს პრეტორიის უნივერსიტეტის გუნდთან შედგება. დარჩენილ ორ მატჩში რუსები "პუმასის" და "ბლუ ბულზის" დუბლშემადგენლობებს უნდა შეხვედროდნენ, მაგრამ სამხრეთ აფრიკის ჩემპიონატის დაწყების ვადის გადმოწევასთან დაკავშირებით, "პუმასმა" თამაშზე უარი თქვა, ხოლო "ბლუ ბულზი" ჩრდილოელებს 25-ის ნაცვლად 22 იანვარს შეხვდება.

საქართველოს ნაკრებს რუსებთან ჯახი" 2009 წლის 21 მარტს სტუმრად უწევდა, მაგრამ, ქვეყნებს შორის არსებული დაძაბული ვითარების გათვალისწინებით, ევროპის რაგბის ასოციაციის (FIRA-AER) გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებით, ეს თამაში უკრაინაში გაიმართება, განმეორებით შეხვედრა კი, 2010 წელს საფრანგეთში ჩატარდება.

# განცხადება
# ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობა, (მისამართი: ქ. თბილისი 0105, გ. ლეონიძის ქ. N2) აცხადებს ტენდერს რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები, მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მყოფი მოსახლეობისათვის უფასო სასადილოში კვების ორგანიზების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. I, II, III თავი სადილით კვება უნდა განხორციელდეს 1380 კაცზე, რაიონის ტერიტორიაზე, არანაკლებ სამ ზონაში. ყოველი სასადილო განიხილება ცალკე ლოტად.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა 2009 წლის 16 თებერვლიდან 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენისთანავე 2009 წლის 02 თებერვლის 18 საათამდე, შემდეგ მისამართზე: 0105, ქ. თბილისი გ. ლეონიძის ქ. N2, მე-3 სართული, ოთახი N5. სატენდერო დოკუმენტაცია შესრულებული იქნება ქართულ ენაზე.

5. სატენდერო მოსაკრებელის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს, გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ძველი თბილისი), ს/კ 206160606, ანგარიში N200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი - 300773174. გადახდის დანიშნულება - უფასო სასადილოში კვების ორგანიზების სატენდერო მოსაკრებელი. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შეუძლია გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.

6. პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი განაცხადი ტენდერში მონაწილეობის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ერთ დახურულ კონვერტში უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 03 თებერვლის 10 საათიდან 13 საათამდე შემდეგ მისამართზე: 0105, ქ. თბილისი გ. ლეონიძის ქ. N2, მე-3 სართული.

7. ლოტების შესაბამისად, ტენდერში გამოვლინდება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

8. ტენდერში მონაწილის (სუბ-კონტრაქტორების არსებობის შემთხვევაში, ასევე - მათი) საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

8.1 იურიდიული პირისათვის:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

8.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა, უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

8.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:

a) ინფორმაცია ბოლო პერიოდში განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ;

b) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.

9. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დედნის სახით ან მათი ნოტარიალურად დამოწმებული ასლები. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომელსაც თან უნდა დაერთოს თარგმანი ქართულ ენაზე, ნოტარიალურად დამოწმებული სახით. კვალიფიკაციის გასავლელად განმცხადებელმა უნდა დააკმაყოფილოს ყველა ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნა. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-8 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

10. შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება წინამდებარე განცხადების მერვე პუნქტით მოთხოვნილი ცნობები და ინფორმაცია.

11. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებისა (ღირებულების 1%-ის ოდენობით) და ხელშეკრულების შესრულების (ღირებულების 2%-ის ოდენობით) უზრუნველყოფის საბანკო გარანტირების მექანიზმი.

12. დამატებითი ინფორმაციისათვის დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობის მთავარ სპეციალისტს, სატენდერო კომისიის აპარატის წევრს - დავით კასრაძეს ზემოთაღნიშნულ მისამართზე.

ტელ: 92-04-09; 93-11-90; 92-04-10; 93-11-40.

**ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის**
**გამგეობის სატენდერო კომისია**

# განცხადება
# ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობა, (მისამართი: ქ. თბილისი 0105, გ. ლეონიძის ქ. N2) აცხადებს ტენდერს რაიონის ტერიტორიაზე შენობების თუნუქის სახურავების შეკეთების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესაკეთებელია 40000 კვ.მ. თუნუქის სახურავი. შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 10 ლოტად, თანაბარი განაწილებით, თვითოეული ლოტი - 4000 კვ. მეტრი.

შესასრულებელი სამუშაოების დეტალური ჩამონათვალი მოცემულია ტექნიკურ დავალებაში, რომელიც ტენდერში მონაწილეებს გადაეცემათ სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების საბოლოო ვადაა 2009 წლის 31 დეკემბერი.

4. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებელის გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენისთანავე 2009 წლის 02 თებერვლის 18 საათამდე, შემდეგ მისამართზე: 0105, ქ. თბილისი გ. ლეონიძის ქ. N2, მე-3 სართული, ოთახი N5. სატენდერო დოკუმენტაცია შესრულებული იქნება ქართულ ენაზე.

5. სატენდერო მოსაკრებელის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს, გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ძველი თბილისი), ს/კ 206160606, ანგარიში N200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი - 300773174. გადახდის დანიშნულება - ძველი თბილისის რაიონის ტერიტორიაზე მდებარე შენობების სახურავების შეკეთების სამუშაოების სატენდერო მოსაკრებელი. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შეუძლია გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.

6. პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი განაცხადი ტენდერში მონაწილეობის შესახებ და საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, ერთ დახურულ კონვერტში უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 03 თებერვლის 10 საათიდან 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: 0105, ქ. თბილისი გ. ლეონიძის ქ. N2, მე-3 სართული, ოთახი N5.

7. ლოტების შესაბამისად გამოვლინდება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

8. ტენდერში მონაწილის (სუბ-კონტრაქტორების არსებობის შემთხვევაში, ასევე - მათი) საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

8.1 იურიდიული პირისათვის:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

8.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა, უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

8.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:

ა) ინფორმაცია ბოლო პერიოდში განხორციელებული სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესახებ;

ბ) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.

9. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დედნის სახით ან მათი ნოტარიალურად დამოწმებული ასლები. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომელსაც თან უნდა დაერთოს თარგმანი ქართულ ენაზე, ნოტარიალურად დამოწმებული სახით. კვალიფიკაციის გასავლელად განმცხადებელმა უნდა დააკმაყოფილოს ყველა ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნა. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-8 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

10. შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება წინამდებარე განცხადების მერვე პუნქტით მოთხოვნილი ცნობები და ინფორმაცია.

11. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებისა (ღირებულების 1%-ის ოდენობით) და ხელშეკრულების შესრულების (ღირებულების 2%-ის ოდენობით) უზრუნველყოფის საბანკო გარანტირების მექანიზმი.

12. დამატებითი ინფორმაციისათვის დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობის მთავარ სპეციალისტს, სატენდერო კომისიის აპარატის წევრს - დავით კასრაძეს ზემოთაღნიშნულ მისამართზე.

ტელ: 92-04-09; 93-11-90; 92-04-10; 93-11-40.

ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის
გამგეობის სატენდერო კომისია

# განცხადება

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულო აცხადებს კონკურსს მუნიციპალიტეტის გამგებლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

*1. განცხადება*
*2. ავტობიოგრაფია*
*3. დიპლომის ასლი*
*4. პირადობის მოწმობის ასლი*
*5. კანდიდატის სამოქმედო პროგრამა*
*6. შრომის წიგნაკი*

საბუთები მიიღება ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა დილის 10 საათიდან საღამოს 17 საათამდე, 2009 წლის 5 იანვრიდან 18 იანვრის ჩათვლით.

*შემდეგ მისამართზე:*
*დ. სტეფანწმინდა*
*ალ. ყაზბეგის ქ.N4*
*მუნიციპალიტეტის საკრებულო*

# პაციენტების საყურადღებოდ !

ცნობილი ექიმები, მედიცინის დოქტორი, ნევროლოგი **არჩილ საყვარელიძე** და თერაპევტი, გასტრო-ენტეროლოგი **დავით ნემსაძე** იღებენ პაციენტებს ყოველდღიურად დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრში.

პაციენტების მიღება წარმოებს წინასწარი ჩაწერით.

მიღების საათებია: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 9 სთ-დან 18 სთ-მდე, შაბათს - 9 სთ-დან 15 სთ-მდე.

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი თბილისი,
თენგიზ აბულაძის 20
(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)
**ტელ.: 91 31 19; 91 32 42;**



საფრანგეთისა და შვეიცარიის ალპებს შორის 1000-კილომეტრიან (620 მილი) დათოვლილ მონაკვეთს მარხილები სერავენ. აქოშინებული ძაღლები პატრონის ყველა ბრძანებას მორჩილად კი ასრულებენ, მაგრამ მათ შორის საუკეთესო ორი კვირის შემდეგ გაცხადდება. ჭერჭერობით საფრანგეთის ერთ-ერთი კურორტის სიახლოვეს მიაქანებენ მარხილზე ამხედრებულ პატრონს, რომელიც თავის მხრივ დათოვლილი ხედებითაც ტკბება. ასპარეზობა კი "La Grande Odyssee"-ის სახელითაა ცნობილი.

AFP ' 2009



AFP ' 2009

პირველი შემთხვევაა, როდესაც პარიზი-დაკარის, დღეს კი მხოლოდ დაკარის სახელით ცნობილი რალი სამხრეთ ამერიკის ქვიშობებსა თუ უღელტეხილებზე დაქრიან. მესაჭეებმა და შესაბამისად მათმა საჭინიბოებმა არგენტინული ეტაპები მოილიეს და ახლა ჩილეს გაუვალ მარშრუტებს მიდგომიან. ამასობაში რალი-რეიდმა მერვე ეტაპი გაიარა და დღეს გამთენიისას წესით და რიგით მეცხრე ეტაპს უნდა შედგომოდნენ. ყველგანმავალთა კლასში ვალპარაისოსა და ლა სერენას (ჩილე) შორის გადებული 294-კილომეტრიანი მარშრუტი საუკეთესო დროში გადაუსერავს საერთო ჩათვლის ლიდერს "ფოლკსვაგენის" მესაჭე ესპანელ კარლოს საინს. შედეგი კი 3 საათი, 47 წუთი და 19 წამი ყოფილა.
ამავე ეტაპზე მოტოციკლისტთა კლასში ყველაზე სწრაფი ფრანგი სირილ დეპრე (KTM) აღმოჩნდა, ხოლო სატვირთოებში საუკეთესო იყო ჰოლანდიელი ჟერარ დე როის (GINAF) ეკიპაჟი.

# აბრამიშვილის კიდევ ორი ტიტული

20 წლის სამთო მეთხილამურე იასონ აბრამიშვილი შესანიშნავ სპორტულ ფორმაშია. 7 იანვარს აბრამიშვილმა იტალიაში, სანტა კატერინა ვალფურვაში სეზონის პირველი ტიტული მოიპოვა, როცა "სითიზენის" დონის ტურნირი მოიგო სლალომში. ამის შემდეგ იასონმა კურორტ ლადურნში (იტალია) იასპარეზა, სადაც გიგანტური სლალომის 2 ტურნირზე იმარჯვა. ეს შეჯიბრებებიც "სითიზენის" ეგიდით გაიმართა.

ლადურნში საქართველოს საუკეთესო მოთხილამურემ ასზე მეტ კონკურენტს აჯობა, მან პირველ ცდას 52,00 წამი მოანდომა, მეორეს - 54,18. თავი გამოიჩინა საქართველოს კიდევ ერთმა წარმომადგენელმა ვახტანგ თედიაშვილმაც, რომელიც საბოლოოდ მე-11 ადგილზე გავიდა. 15 წლის ჯაბა გელაშვილს კი პირველი ცდა გაუცუდდა და შეჯიბრებას გამოეთიშა. 11 იანვარს იასონ აბრამიშვილმა დაამტკიცა რომ მისი გამარჯვება კანონზომიერი იყო. ქართველმა მოთხილამურემ რვა მეასედი წამით აჯობა მე-2 ადგილზე გასულ შვეიცარიელ სევერინ მალერს. გელაშვილმა და თედიაშვილმა ტრასის ჩამთავრება ვერ შეძლეს.

გააგზავნეთ სმს ჯეოსელიდან, მაგთიდან, ბილაინიდან ნომერზე - 30-30 და 1 ლარით ყოველთვიურად დაეხმარებით მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს. ერთჯერადი დახმარებისათვის დარეკეთ ნომერზე 30-30 და ფონდ იავნანას ანგარიშზე ავტომატურად ჩაირიცხება 1 ლარი.

შემოგვიერთდით, ერთად დავუბრუნოთ ბავშვები თავიანთ ოჯახებს!

ფონდი იავნანა
გაზეთი 24 საათი




DESIGN TURKEY
2008
Награда
за Лучший Дизайн

HIDROMEK
www.hidromek.com
AS TECHNIC LTD. 97.D. AGMASHENEBELI, Tbilis, GEORGIA
Phone:+ 995 32 452312 Fax:+ 995 77451815

GT GROUP
ÜÜÜÜÜÜÜÜÜÜÜÜ 48 Ü
ÜÜÜ: 740 740
www.gtgroup.ge

Ford Transit
Ford-ის გლობალური იმპორტიორი GT Motors




გარანტია 2 წელი
16 950
ევროდან

iVan
გარანტია 2 წელი
"UKR AUTO"-ს ოფიციალური დილერი GT Group
iVan-ის წარმოების საქალაქო და საგარეუბნო ავტობუსი



25 500
ევროდან

MST
გარანტია 1 წელი
"SANKO"-ს ოფიციალური დილერი GT Group
MST-ს ბეკოლოუდერები




46 000
ევროდან

GT GROUP
ჯი-თი ჯგუფი - FordCargo-ს ოფიცილაური დილერი საქართველოში
ჩოლოყაშვილის 48 ბ, ტელ: 740 740, www.gtgroup.ge














გარანტია 2 წელი
(გარანტია ვრცელდება ყველა დეტალზე)
4 9 0 0 0
ევროდან
თქვენს საქმიანობაზე მორგებული სატვირთო ავტომობილი

UMCOR
United Methodist Committee On Relief

# ტენდერი იმერეთის რეგიონში, დევნილთა ორ კომპაქტურ ჩასახლებაში პურის საცხობის მოწყობის შესახებ

FINNCHURCHAID

გაერთიანებული მეთოდისტური კომიტეტის ჰუმანიტარული მისიის საქართველოს წარმომადგენლობა **UMCOR-საქართველო** აცხადებს ტენდერს იმერეთის რეგიონში, ხონისა (ხონის რაიონი) და კოპიტნარის (წყალტუბოს რაიონი) სამხედრო დასახლებებში დევნილთა კომპაქტურად ჩასახლებების კომუნალურ ცენტრებში პურის საცხობების მოსაწყობად და იწვევს ყველა დაინტერესებულ კომპანიას ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

პროექტი ხორციელდება ფინურ სართაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია FinnChurchAid-თან პარტნიორობით და ფინანსდება ფინეთის მთავრობის მიერ.

ამქორი" არის ჰუმანიტარული ორგანიზაცია რომელიც ფუნქციონირებს სამართლიანობის, სუვერენიტეტის და ნეიტრალიტეტის პრინციპებზე დაყრდნობით.

**უფლებამოსილი კომპანიების კრიტერიუმები**

ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ყველა დაინტერესებულ იურიდიულ და მეწარმე ფიზიკურ პირებს, რომლებთაც გააჩნიათ შესაბამისი პროფილური მიმართულებით სათანადო გამოცდილება და თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ საქართველოში.

**ტენდერში მონაწილეობისათვის დაინტერესებულმა კომპანიებმა და მეწარმე ფიზიკურმა პირებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი ინფორმაცია**

1. ინფორმაცია ტენდერში მონაწილე პირის შესახებ, შემდეგი მონაცემების მითითებით:
- კომპანიის ან მეწარმე ფიზიკური პირის დასახელება;
- იურიდიული სტატუსი;
- იურიდიული მისამართი;
- საკონტაქტო ინფორმაცია;
- საგადასახადო კოდი;
2. სატენდერო წინადადება უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
- განცხადებას ტენდერში მონაწილების სურვილის შესახებ
- შესასრულებელი სამუშაოების საერთო ფასს დღგ-ს გარეშე.
- შესასრულებელი სამუშაოების დამთავრების პერიოდს.
- სატენდერო წინადადების უზრუნველსაყოფად საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების ღირებულების 2%-ის ოდენობით.
3. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან საწარმოს რეგისტრაციის შესახებ;
4. ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოს შესრულების გამოცდილების შესახებ.

**შენიშვნა: ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტი უნდა იყოს დედანი ან ნოტარიულად დამომწმებული ქსერო ასლი.**

**დამატებითი მოთხოვნა:**

**- პურის საცხობების მოსაწყობად ჩასატარებელ სარეაბილიტაციო და სხვა სახის (დამხმარე) სამუშაოების შესრულებაში, კომუნალურ ცენტრებში მცხოვრები დევნილი მოსახლეობის მაქსიმალური ჩართვა.**

**G**

**სატენდერო წინადადებების შერჩევა და სხვა პირობები**

- სატენდერო წინადადებები გაიხსნება ამქორ-საქართველოს სატენდერო კომიტეტის მიერ;
- სატენდერო წინადადებები შეირჩევა შემოთავაზებული ფასის მიხედვითა და სატენდერო პირობების გათვალისწინებით.
- თუ კომიტეტი გამოიტანს დასკვნას, რომ არცერთი კომპანია ან ფიზიკური პირის შემოთავაზება არ აკმაყოფილებს ტენდერის პირობებს, ამქორ-საქართველო იტოვებს უფლებას ნებისმიერ დროს გამოაცხადოს ახალი ტენდერი იგივე ან სხვა პირობებით.
- ამქორი იტოვებს უფლებას არ განაცხადოს საჯაროდ ტენდერში მონაწილე კომპანიების შემოთავაზებები.
- ამქორი იტოვებს უფლებას, საჭიროების შემთხვევეში მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია ტენდერში მონაწილე პირებისაგან.
- ტენდერში მონაწილეები არ იქნებიან უფლებამოსილი ჩაასწორონ, შეცვალონ ან გამოითხოვონ წინადადება მათი ჩაბარების ვადის გასვლის შემდეგ;
- ამქორ-საქართველო იტოვებს უფლებას უარყოს ნებისმიერი წინადადება ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე;
- ტენდერში პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების გარანტიის მექანიზმი, ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.
- პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში შესასრულებელი სამუშაოების ვადა განისაზღვროს **ერთი თვის ვადით**.

**სატენდერო წინადადების წარდგენის პროცედურა**

- დაინტერესებული კომპანიებმა და მეწარმე ფიზიკურმა პირებმა უნდა წარმოადგინონ სატენდერო წინადადება ქართულ ან ინგლისურ ენაზე, დაბეჭდილი კონვერტით რომელზეც აღნიშნულია ტენდერში მონაწილე პირის დასახელება და აღნიშვნა, რომ დოკუმენტები წარმოდგენილია გამოცხადებული ტენდერისთვის;

**- დაინტერესებულმა იურიდიულმა და მეწარმე ფიზიკურმა პირებმა ტენდერში მონაწილეობისათვის დამატებითი ინფორმაციის (შესასრულებელ სამუშაოთა ნუსხა და სხვა) მისაღებად მიმართეთ: „UMCOR"-ის საქართველოს წარმომადგენლობის ქუთაისის ოფისს. მისამართი: ქ. ქუთაისი, რუსთაველის პრ N27;** ტელეფონი: 8231 45877, ან თბილისის ოფისს

სატენდერო წინადადების შემოტანა უნდა მოხდეს შემდეგ მისამართზე:
ქ. თბილისი ალ. ყაზბეგის გამზირი N12ა˚საერთაშორისო ორგანიზაცია UMCOR
ტელეფონი: 995 32 387003, 206 800, 206 801.

ქალაქი ქუთაისი, რუსთაველის გამზირი 27, საერთაშორისო ორგანიზაცია UMCOR"-საქართველოს ქუთაისის წარმომადგენლობა. ტელეფონი: 8231 45877

სატენდერო დოკუმენტაცია მიიღება აღნიშნულ მისამართებზე 2009 წლის 13 იანვრიდან 2009 წლის 20 იანვრის 12.00 საათამდე.

- წინანადებების მიღების ბოლო ვადაა 12:00 საათი, 2009 წლის 20 იანვარი.
- ამ ვადის გასვლის შემდეგ წარმოდგენილი წინადადებები არ განიხილება.

UMCOR
United Methodist Committee On Relief

# TENDER ANNOUNCEMENT ON BAKERY CONSTRUCTION IN 2 COMMUNAL IDP CENTERS IN IMERETI REGION FOR IDPs SUFFERED FROM HOSTILITIES IN GEORGIA

FINNCHURCHAID

UMCOR-Georgia, the representation of the United Methodists Committee on Relief (UMCOR) in Georgia is pleased to announce a tender on Bakery construction works at 2 IDP Centers in Imereti region, mainly at Khoni (Khoni Region) and Kopitnari (Tskaltubo Region) Military Settlement IDP centers and invites bids from interested companies. The Project is implemented in cooperation with a Finnish NGO - FinnChurchAid and financed by the Government of Finland.

UMCOR is a humanitarian organization working on the principles of impartiality, independence and neutrality.

ELIGIBILITY CRITERIA

All interested resident entities and entrepreneurs registered in Georgia are eligible for participation in the tender.

INTERESTED COMPANIES AND ENTREPRENEURS SHOULD SUBMIT FOLLOWING INFROMATION:

1. Information about the participant, with indication of:
" Name of the company, Individual Entrepreneur, individual;
" Legal status;
" Legal address;
" Contact information;
" Tax registration number
2. Bid including the following:
" Letter of interest for participation in tender;
" Offered price in US Dollars excluding VAT;
" Construction works completion period;
" 2% bank guarantee of the bid total value;
3. Abstract of record from the registry for commercial entities
4. Information about experience in the similar works.

NOTE: All above mentioned documents should be original or notary approved copies.

ADDITIONAL CRITERIA

Involving of the IDPs living at the same IDP centers in the construction and other (auxiliary) types of works.

SELECTION OF THE BIDS AND OTHER CONDITIONS

" Envelopes will be opened in the presence of the designated UMCOR Bid Selection Committee.
" Selection of the bids will be based on descending sorting of the offered prices and other tender conditions.
" In case of winning the Bank Guarantee in amount of 5% of the total value of the Agreement will be used to guarantee implementation of the Agreement.
" If no company or individual is meeting tender requirements, UMCOR-Georgia reserves the right to announce new tender with the same or changed conditions.
" UMCOR-Georgia has no obligation to announce publicly the bids of participating companies.
" UMCOR-Georgia reserves the right to request additional information from the participants.
" Participants shall not be permitted or requested to correct, withdraw or in any way alter the bids after the determined deadline.
" UMCOR reserves the right to reject any bid without thereby incurring any liability to the affected submitters.
" In case of winning the construction works should be completed in one month period.

BID SUBMISSION PROCEDURES

" Interested companies and entrepreneurs are welcome to submit the bids in Georgian or English languages in a sealed envelope with a clearly marked participant name and notice that the bid intend for announced tender;
" Construction companies may obtain additional information (list of works to be done etc.) from the UMCOR Georgia Kutaisi office. Address: 27, Rustaveli ave., Kutaisi, Georgia and from Tbilisi office.
" The bids should be submitted to the following address: UMCOR-Georgia, VI Floor, 12A Kazbegi Ave., Tbilisi, Georgia. Phone: (99532) 387003, 206800,206801; Fax: (99532) 387005

Or

UMCOR-Georgia Kutaisi Office, Address: 27, Rustaveli ave., Kutaisi, Georgia
" Deadline for submission: 12:00, January 20, 2009;
" All documents submitted after the above stipulated time will not be considered.

1. უცხოურ კომპანიას ესაჭიროება დამლაგებელი, ანაზღაურება შეთანხმებით. მის: სადგური ლილო 51. ტელ: 40-72-36, 40-72-37.

2. უცხოურ კომპანიას ესაჭიროება მძღოლი საკუთარი ავტომანქანით, ასევე დისტრიბუტორი, ანაზღაურება შეთანხმებით. მის: სადგური ლილო 51. ტელ: 40-72-36, 40-72-37.

3. უცხოურ კომპანიას ესაჭიროება გამოცდილი ბუღლტერი, სამუშაო დღის სრული განაკვეთით, ანაზღაურება შეთანხმებით. მის: სადგური ლილო 51. ტელ: 40-72-36, 40-72-37.

4. უცხოურ კომპანიას ესაჭიროება დაცვის თანამშრომელი, აზერბაიჯანული ენის მცოდნე, ანაზღაურება შეთანხმებით. მის: სადგური ლილო 51. ტელ: 40-72-36, 40-72-37.

## განცხადება ტენდერში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ 2008 წლის 22 ნოემბერს გაზეთ „24 საათში" გამოქვეყნებულ ტენდერში (ჰიდრომეტეოროლოგიური სატელეკომუნიკაციო სისტემა) გამარჯვებულად გამოცხადდა გაერთიანებული სააქციო საზოგადოება „მეტეო ფრანს ინტერნეიშენელი", რომელთანაც 2008 წლის 23 დეკემბერს გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება საერთო ღირებულებით 184104 ევრო.

**2009 წლის 16 იანვარს 14.00 საათზე ქ. ქუთაისში საქალაქო სასამართლოს შენობაში შედგება ს/ს „საქტრაქტორის" კრედიტორთა კრება.**

დღის წესრიგი:

1. გაკოტრების მმართველის დანიშვნა;
2. კრედიტორთა მოთხოვნების რეესტრის შედგენა.

ს/ს „საქტრაქტორის" ადმინისტრაცია

9 იანვარი, 2009წ.

## მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „დავების განმხილველი ცენტრი" DRC-ს სასამართლო

**მხარისათვის შეტყობინების მიზნით**
**სხდომის დღის პუბლიკაციის შესახებ**

DRC-ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმოებაშია ს/ს ბანკი „რესპუბლიკა"-ს საარბიტრაჟო პრეტენზია ლელა გელაშვილის, გიორგი შალიკაშვილის, ლევან ჯიბლაძისა და ელგუჯა ზურაბიშვილის მიმართ, საკრედიტო დავალიანების - **3 412.55 აშშ დოლარის** ანაზღაურების შესახებ.

ხსენებული საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სხდომა დანიშნულია 2009 წლის 23 იანვარს 12:30 საათზე, მუდმივმოქმედ არბიტრაჟ „დავების განმხილველი ცენტრში" შემდეგ მისამართზე - ქ.თბილისი, გამრეკელის (ყოფ.კუტუზოვის) ქ.N19-ში, მე-6 სართულზე.

ხსენებული სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხეები მახარეები
- ლელა გელაშვილი, მცხ. ქ. თბილისი, წყნეთის ქ.NI
- გიორგი შალიკაშვილი მცხ. მცხეთის რაიონი, სოფ.ნატახტარი.
- ლევან ჟიბლაძე მცხ. ქ. თბილისი, ჩაილურის ქ.N37.
- ელგუჯა ზურაბიშვილი მცხ. ქ. თბილისი, ვაზისუბანი 4 მკრ, 2 კვარტ., კორპN11, ბინაN22.

9 იანვარი, 2009წ.

## მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „დავების განმხილველი ცენტრი" DRC-ს სასამართლო

**მხარისათვის შეტყობინების მიზნით**
**სხდომის დღის პუბლიკაციის შესახებ**

DRC-ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმოებაშია ს/ს ბანკი „რესპუბლიკა"-ს საარბიტრაჟოO პრეტენზია ხათუნა ყუფუნიას, ლელა ბულისკერიას, საშა კვირკველიასა და ბორის მანიას მიმართ, საკრედიტო დავალიანების - **2 303.62 ლარის** ანაზღაურების შესახებ.

ხსენებული საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სხდომა დანიშნულია 2009 წლის 21 იანვარს 14 საათზე, მუდმივმოქმედ არბიტრაჟ „დავების განმხილველი ცენტრში" შემდეგ მისამართზე - ქ.თბილისი, გამრეკელის (ყოფ.კუტუზოვის) ქ.N19-ში, მე-6 სართულზე.

ხსენებული სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხეები მახარეები
- ხათუნა ყუფუნია, მცხ. ზუგდიდი სოფელი ახალსოფელი.
- ლელა ბულისკერია მცხ. ზუგდიდი, დადვანის ქ.N5.
- საშა კვირკველია მცხ. ზუგდიდი, ცაბაძის ქ.N20.
- ბორის მანია მცხ. ზუგდიდი, ჩიქოვანის ქ.N22.

ფონდი-ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს
MILLENNIUM CHALLENGE CORPORATION UNITED STATES OF AMERICA

## მოწვევა საჯარო განხილვაზე
## სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციის პროექტი

ათასწლეულის ფონდი იწვევს ყველა დაინტერესებულ პირსა და ორგანიზაციას, მონაწილეობა მიიღონ სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში დაგეგმილ საჯარო საკონსულტაციო შეხვედრაში.

საჯარო განხილვა გაიმართება 2009 წლის 4 მარტს, 12 საათზე, სოფელი კოდის ყოფილი საკრებულოს სხდომათა დარბაზში. შეხვედრას დაესწრებიან ათასწლეულის ფონდის, ადგილობრივი თვითმმართველობისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები.

აღნიშნული შეხვედრა იმართება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ითვალისწინებს ათასწლეულის ფონდის მიერ შემუშავებული სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციის პროექტის გარემოსდაცვითი დოკუმენტების საჯარო განხილვას. დაგეგმილი საქმიანობის მიზანია საზოგადოებისთვის სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროექტის გაცნობა, შესაბამისი კომენტარების მიღება და შემდგომში მათი პროექტში გათვალისწინება.

განსახილველი დოკუმენტები ხელმისაწვდომია ათასწლეულის ფონდის ვებგვერდზე, ქართულ და ინგლისურ ენებზე. ამობეჭდილი სახით დოკუმენტების მიღება შესაძლებელია ათასწლეულის ფონდისა და სოფელი კოდის ყოფილ საკრებულოში.

დაინტერესებულ პირებსა თუ ორგანიზაციებს საშუალება ეძლევა, გაეცნონ დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას და წერილობითი მოსაზრებები წარმოადგინონ განცხადების გამოქვეყნებიდან 50 დღის განმავლობაში, 2009 წლის 3 მარტამდე, შემდეგ მისამართზე:

- ათასწლეულის ფონდი
  სანაპიროს ქ. #4, თბილისი 0105, საქართველო
  ტელ: (995 32) 50 77 70/ფაქსი: 93 91 44
  ელ.ფოსტა: INFO@MCG.GE ვებგვერდი: WWW.MCG.GE
- სოფელი კოდა- ყოფილი საკრებულოს ადმინისტრაციული შენობა, მისაღები

სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციის პროექტი მიზნად ისახავს სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში საგზაო-სატრანსპორტო ქსელის აღდგენას. პროექტის განხორციელების შედეგად გაუმჯობესდება ამ რეგიონების სატრანსპორტო-საგზაო ქსელი, შეიქმნება უკეთესი პირობები ვაჭრობის, ტურიზმისა და სხვა ბიზნესის განვითარებისათვის. გზის რეაბილიტაცია ხელს შეუწყობს სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონების დაკავშირებას დანარჩენ საქართველოსთან, რაც თავის მხრივ ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტეგრაციას დააჩქარებს.

***ათასწლეულის ფონდის შესახებ:*** ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის განხორციელების მიზნით საქართველოს მთავრობამ ფონდი - ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს დააარსა. 395,3 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების პროგრამა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის გრანტია და საქართველოს მთავრობის პრიორიტეტების მიხედვით ხორციელდება. ეს გრანტი საქართველოს რეგიონებში ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციასა და საწარმოთა განვითარებას მოხმარდება. დამატებითი ინფორმაციისთვის, იხილეთ: www.mcg.ge.

***ათასწლეულის კორპორაციის შესახებ:*** ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია არის ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის კორპორაცია. მისი მთავარი პრინციპია, დახმარება აღმოუჩინოს იმ ქვეყნებს, სადაც სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური განვითარების მიზნით ხორციელდება მდგრადი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოცილური რეფორმები. დამატებითი ინფორმაციისთვის, იხილეთ: www.mcc.gov.

**განცხადება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერში (გაზეთი „24 საათი" 2009 წლის 12 იანვარი. საოფისე ტექნიკის სახარჯი მასალები) ცვლილებების შესახებ**

დაემატოს: მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე პრეტენდენტს აქვს სატენდერო დოკუმენტაციის შემსყიდველ ორგანიზაციაში გაცნობის შესაძლებლობა.

**სატენდერო კომისია**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

„საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2008 წლის 22 დეკემბერს დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება შპს „აბაშის საგანმანათლებლო ცენტრისთვის" სახელობო საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის თაობაზე. ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტების ასლების გაცნობა შესაძლებელია სამინისტროს შენობაში, მისამართზე: - ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52.

გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის ან ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ სამინისტრომ უნდა მიიღოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. განცხადების საჯარო გაცნობისთვის წარდგენის დღიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში ნებისმიერი პირი უფლებამოსილია წერილობით წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები. პირი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრების წარმოდგენისას არ მოუთითოს ვინაობა".

# განცხადება ორეტაპიანი ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო (ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. N6) აცხადებს ორეტაპიან ტენდერს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე შენობა-ნაგებობათა აზომვითი ნახაზების შედგენის, მიწის ნაკვეთის ახალი მიწათმფლობელობებისა და მიწათსარგებლობების შექმნის, არსებულის მოწესრიგების და საზღვრების დადგენისათვის საჭირო აზომვითი ნახაზების დამზადების ინტელექტუალური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**2.** მიწოდება უნდა მოხდეს მოთხოვნის შესაბამისად შეთანხმებულ ვადებში, სახელშეკრულებო მოქმედების ვადა იქნება 2009 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდი.

3. ტენდერის პირველ ეტაპზე პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ პირველადი სატენდერო წინადადებები ღირებულების მითითების გარეშე და საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები (ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით). დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას 2 ცალად ერთი ორიგინალისა და ერთი ასლის სახით.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას სასამართლოდან და საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

ბ) ცნობას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგილობრივი სამსახურიდან);

გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

დ) ცნობას შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის ;

**4.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას, საგადასახადო ინსპექციიდან რეგისტრაციის შესახებ.

ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი სასამართლოდან).

გ) ცნობას შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამმართველოდან);

**4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

ბ) ინფორმაცია ტექნიკური პერსონალის კვალიფიკაციის შესახებ.

გ) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.

დ) ინფორმაცია უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან/და მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ.

ე) მონაწილის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საიდენტიფიკაციო კოდი, ბანკის რეკვიზიტები)

5. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე.

**6. ინსტრუქცია პირველადი სატენდერო წინადადების შედგენის წესის შესახებ:**

ა) პირველადი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები შედგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე;

ბ) პირველადი სატენდერო წინადადება ღირებულების გარეშე წარმოდგენილი უნდა იქნას საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად ერთი დახურული კონვერტით;

გ) პირველადი სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი უნდა იქნას ზოგადი პირობები და მონაცემები აზომვითი ნახაზების შედგენის ფორმის, წესებისა და მეთოდების შესახებ, რომლის საფუძველზეც შემდგომში შესაძლებელია სატენდერო დოკუმენტაციის და ტექნიკური პირობების დაზუსტება.

7. განაცხადი, პირველადი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას სატენდერო კომისიის აპარატში 2009 წლის 4 თებერვლის 9.00 საათიდან 18.00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. N6, მე-4 სართული. პირველადი სატენდერო წინადადებები გაიხსნება ამავე მისამართზე 2009 წლის 4 თებერვალს 18 საათზე.

8. სატენდერო კომისიაში შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადებები საექსპერტო დასკვნისათვის წარედგინება შესასყიდი მომსახურების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს საექსპერტო კომისიას, რომლის დასკვნაც წარმოადგენს სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტთა შერჩევის საფუძველს.

9. ტენდერის პირველი ეტაპის დასრულების ვადას სატენდერო კომისია განსაზღვრავს პირველადი სატენდერო წინადადებების გახსნის შემდეგ, ხოლო პირველი ეტაპის შედეგები ეცნობება პირველადი სატენდერო წინადადებების წარმომდგენ ყველა პირს გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში;

10. სატენდერო კომისია მეორე ეტაპზე მოიწვევს მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებით და შემოთავაზებული წინადადებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს და იქნება შესასყიდი მომსახურების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს დადებითი დასკვნა.

11. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის საბოლოო ვარიანტს პირველადი სატენდერო წინადადებების განხილვის შედეგად შეადგენს სატენდერო კომისია და გადასცემს მას პრეტენდენტებს (ზუსტი თარიღი დამატებით ეცნობებათ პრეტენდენტებს საექსპერტო დასკვნის მიღების შემდეგ) 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის (აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება სახაზინო სამსახური, ს.ს. საქართველოს ბანკი", ბანკის კოდი: 220101502, ანგარიშის N897293000) გადახდის შემდეგ. პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეუძლიათ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობაში შემდეგ მისამართზე: ქალაქი ბათუმი, რუსთაველის ქუჩა N6, მე-4 სართული, ოთახი N16. ტენდერში მონაწილეობის მსურველ დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ, სატენდერო დოკუმენტაციას გაეცნონ ამავე მისამართზე, სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე.

12. პრეტენდენტების მიერ სატენდერო წინადადებებისა და საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენისა და მათი გახსნის შემდგომ, შერჩევისას დაზუსტებას არ ექვემდებარება სატენდერო წინადადების ღირებულება, ერთეულის ფასი, გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები და საკვალიფიკაციო მონაცემები, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საჭიროა საკვალიფიკაციო მონაცემების ხელახალი დადასტრურება და სახელწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. სატენდერო წინადადებაში გამოვლენილი აშკარა ტექნიკური უზუსტობები გასწორდება კანონის შესაბამისად.

13. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის ხელმძღვანელი მის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების სიზუსტეს ადასტურებს თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

14. სატენდერო წინადადების მოქმედების მინიმალური ვადა უნდა იყოს სატენდერო წინადადებების პაკეტების გახსნის დღიდან არანაკლებ 30 დღე. აღნიშნულის შესახებ უნდა მიეთითოს სატენდერო წინადადებაში.

15. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატის წევრის რეზო ქათამაძისაგან, მისამართი: ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. N6, მე-4 სართული. ტელ. (899)581095.

***სატენდერო კომისია***

# შპს „თბილისის პარკები" აცხადებს აუქციონს პირობებით საწარმოს საწესდებო კაპიტალში რიცხული მიწის ნაკვეთის დროებითი სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით გაცემის შესახებ

ქ.თბილისი, ა. წერეთლის გამზირი N1-ში, მდებარე 200 კვ.მ. მიწის ნაკვეთი

აუქციონის პირობები:

1. აღნაგობის უფლების საწყისი წლიური საზღაური - 30000 (ოცდაათიათასი) ლარი (დღგ-ს გარეშე);
2. აღნაგობის ვადა - 15 (თხუთმეტი) წელი;
3. „ბე"-ს ოდენობა - 2000 (ორიათასი) ლარი;
4. „ბიჯი" - 1000 (ათასი) ლარი;
5. მონაწილის ბილეთის ღირებულება - 100 (ასი) ლარი;
6. აღნაგობის უფლებით გაცემულ ტერიტორიაზე სავაჭრო რიგების (პავილიონი) მოწყობა კანონმდებლობით დაშვებული ნორმების დაცვით;
7. ესკიზური პროექტის წარმოდგენა;
8. აუქციონში გამარჯვებულმა (აღნაგობის უფლების მომპოვებელმა) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დამტკიცებული და შეთანხმებული პროექტის თანახმად, 1 (ერთი) წლის ვადაში უზრუნველყოს შენობა-ნაგებობის აშენება;
9. ყოველწლიური საზღაური არ ითვალისწინებს და არ მოიცავს აუქციონში გამარჯვებულის (აღნაგობის უფლების მომპოვებლის) მიერ გადასახდელ დღგ-ს გადასახადს, კომუნალური ხარჯების ღირებულებას (როგორიცაა წყალმომარაგება, ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი, საკომუნიკაციო) და კანონით გათვალისწინებულ სხვა გადასახადებს;
10. აუქციონში გამარჯვებულის (აღნაგობის უფლების მომპოვებლის) მიერ ქ. თბილისში, ა. წერეთლის გამზ. N1-ში მდებარე პარკის მოვლა-პატრონობა და კეთილმოწყობა (შპს „თბილისის პარკებთან" შეთანხმებით), სანიტარულ-ჰიგიენური და ხანძარსაწინაალმდეგო ნორმების დაცვა;
11. აღნაგობის უფლების მიმდინარეობისას ეროვნული ვალუტის ინფლაციის შემთხვევაში, მესაკუთრე უფლებამოსილია გაზარდოს აღნაგობის საზღაური;
12. ქ.თბილისის მთავრობის 22.12.2008წ N24.24.840. დადგენილების შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების ანაზღაურება უზრუნველყოს აუქციონში გამარჯვებულმა (აღნაგობის უფლების მომპოვებელმა);

**აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:**

- დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს აუქციონში მონაწილის თანხმობა გამოცხადებული აუქციონის პირობებისა და შემოთავაზებული პროგრამის (წინადადების) შესრულებაზე;
- ფიზიკური პირის შემთხვევაში: პირადობის მოწმობის ასლი (მონაწილე სხვა დოკუმენტაციასთან ერთად წარმოადგენს პირადობის მოწმობის დედანს, რომლის ასლიც რჩება სააუქციონო კომისიის მდივანთან);
- იურიდიული პირისათვის: ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან და ნოტარიულად დამოწმებული სადამფუძნებლო დოკუმენტაცია;
- ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ აუქციონში მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით.

**აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია:**

უძრავ ქონებაზე საწყის წლიურ საზღაურზე „ბიჯის" დანამატის შედეგად მაქსიმალური საზღაურის გადახდა და სააუქციონო პირობების დაკმაყოფილება.

**განაცხადის მიღება:**

განაცხადები აუქციონში მონაწილეობის შესახებ მიიღება 2009 წლის 11 თებერვლის 12:00 საათამდე, მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი N182 (მუშთაიდის პარკი, ადმინისტრაციული შენობა). ყოველ სამუშაო დღეს 10-00-დან 17-00-მდე.

აღნიშნული ობიექტის აუქციონი ჩატარდება 2009 წლის 11 თებერვალს, 13:00 საათზე, ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი N182 (მუშთაიდის პარკი, ადმინისტრაციული შენობა);

საკონტაქტო პირი: თინა პარკაძე. ტელ: 34-17-82.

**თანხა ჩაირიცხება:**

შპს „თბილისის პარკები". საიდ/კოდი 202365573.

სს „საქართველოს ბანკი", ცენტრ. ფილიალი. ბანკის კოდი: 220101502, ანგ. N178150700.

# საქმე N2/74-08
# განჩინება
# საქართველოს სახელით
# სასამართლო შეტყობინება საჯაროდ გავრცელების შესახებ
11 დეკემბერი, 2008 წელი ქ. თბილისი

**თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ლია ავალიშვილმა**

**მოსარჩელე:** ანზორ დავითაშვილი;

**მოპასუხეები:** გარი ბაბაიანი, თამარ მამულაშვილი, ხათუნა გრიგალაშვილი;

**მესამე პირი:** ნოტარიუსი მერი ბუბაშვილი;

**დავის საგანი:** ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობა.

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მოპასუხეების გარი ბაბაიანისა და თამარ მამულაშვილისათვის მოსარჩელე ანზორ დავითაშვილის განცხადებისა და თანდართული საბუთების ასლების ჩაბარების საკითხი.

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას 2007 წლის 04 დეკემბერს სასარჩელო განცხადებით მომართა ანზორ დავითაშვილმა, მოპასუხეების თამარ მამულაშვილის, ხათუნა გრიგალაშვილის და გარი ბაბაიანის მიმართ და მოითხოვა ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობა. სარჩელი საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ წარმოებაში მიიღო 2008 წლის 15 იანვარს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის შესაბამისად, სარჩელისა და თანდართული საბუთების ასლები გაეგზავნათ მოპასუხეებს სარჩელში მითითებულ მისამართებზე.

სარჩელი და თანდართული საბუთები ჩაბარდა მხოლოდ მოპასუხე ხათუნა გრიგალაშვილს და მესამე პირს ნოტარიუს მერი ბუბაშვილს. ვერ ჩაბარდა მოპასუხე თამარ მამულაშვილს და გარი ბაბაიანს. სასარჩელო განცხადებაში, გარი ბაბაიანის მისამართად მითითებულია ქ. თბილისი კოტე მესხის შესახვევი N3, ხოლო თამარ მამულაშვილის მისამართად მითითებულია ქ. თბილისი ი. კერესელიძის ქუჩა N30. მოპასუხის აღნიშნული მისამართია ფიქსირებული ასევე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საინფორმაციო-სამისამართო ბიუროდან გამოთხოვილ ცნობაში.

მოპასუხეებს გარი ბაბაიანს და თამარ მამულაშვილს არაერთგზის, კერძოდ, სამჯერ გაეგზავნათ, სასარჩელო განცხადების და თანდართული საბუთების ასლები, მაგრამ სასამართლო გზავნილი ადრესატს ვერ ჩაბარდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. გზავნილები სასამართლოში ბრუნდებოდა ფოსტის კურიერის მიერ შესრულებული შემდეგი მინაწერებით: „ადრესატი არ იძებნება“; „არ ყოფნის გამო“; „ბინა დაგირავებულია“ და „ბინა გაყიდულია და აღარ ცხოვრობს“. ამასთან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს უბნის ისპექტორს დაევალა მოპასუხე გარი ბაბაიანისათვის გზავნილის ჩაბარება მითითებულ მისამართზე, თუმცა პოლიციიდან მობრუნდა პასუხი, რომ ადრესატი ამ მისამართზე არ ცხოვრობს, რის გამოც გზავნილის ჩაბარება ვერ მოხერხდა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ.

სასამართლო მიიჩნევს, რომ ვინაიდან მოპასუხეების გ. ბაბაიანისა და თ. მამულაშვილის ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია, მათ სასარჩელო განცხადებისა და თანდართული საბუთების შინაარსი უნდა ეცნობოთ შეტყობინების საჯაროდ გავრცელებით.

**სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლებით და**

**დ ა ა დ გ ი ნ ა :**

1. მოპასუხეებს. გარი ბაბაიანს და თამარ მამულაშვილს, მოსარჩელე ანზორ დავითაშვილის სასარჩელო განცხადებისა და თანდართული საბუთების შინაარსი ეცნობოთ შეტყობინების საჯაროდ გავრცელებით, კერძოდ:

- თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას განცხადებით მომართა ანზორ დავითაშვილმა მოპასუხეების გ. ბაბაიანის, თ. მამულაშვილის და ხათუნა გრიგალაშვილის მიმართ და მოითხოვა ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობა.

- მოსარჩელეს მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი აქვს: (ა) 1997 წლის 18 ივნისის სააღსრულებო ფურცელი (1 ფურცელი) ასლი; (ბ) 1999 წლის 06 აგვისტოს ხელშეკრულების ასლი (1 ფურცლად); (გ) 1999 წლის 23 აგვისტოს განცხადება იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო ბიუროს უფროსის ი. დვალიძის სახელზე ასლი (7 ფურცლად); (დ) ი. დვალიძის პასუხი მოსარჩელეს განცხადებაზე ასლი (1 ფურცლად); (ე) 1999 წლის 23 სექტემბრის განცხადება მთაწმინდა-კარწანისის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარის მ. სონღულაშვილის სახელზე (2 ფურცლად) ასლი; (ვ) თბილისის საქალაქო სასამართლოს თავჯდომარის პროტესტი ზედამხედველობის წესით (1 ფურცელი) ასლი; (ზ) თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმის 1998 წლის 12 ნოემბრის დადგენილება (1 ფურცლად) ასლი; (თ) ხელშეკრულება 1996 წლის 27 თებერვლის თარიღით დადებული ი. ჩოქურსა და თ. მამულაშვილს შორის (1 ფურცლად) ასლი; (ი) სანოტარო აქტი გაფორმებული უძრავი ქონების ნასყიდობის შესახებ თ. მამულაშვილისა და ხ. გრიგალაშვილს შორის, ნოტარიუსი მ. ბუბაშვილის მიერ (4 ფურცლად) ასლი; (კ) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის პასუხი მოსარჩელეს განცხადებაზე (1 ფურცლად) ასლი; (ლ) ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს 1996 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილება (2 ფურცელი) ასლი; (მ) სს „გაერთიანებული ქართული ბანკის“ 1997 წლის 24 ივნისის სასარჩელო განცხადება, საცხოვრებელ ფართზე სს „გაერთიანებული ქართული ბანკის“, როგორც მოგირავნის უფლების ცნობის შესახებ (3 ფურცლად) ასლი; (ნ) ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს 1997 წლის 17 აპრილის განჩინება. თავმჯდომარე გ. ვეკუა (20 ფურცლად) ასლი; (ო) გაზეთ „ჯორჯიან თაიმსის“ 1997 წლის 1-6 მაისის ნომერში გამოქვეყნებული ღია წერილი „მახინჯი პრაქტიკის კლასიკური მეთოდი“ (1 ფურცლად) ასლი; (პ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საინფორმაციო სამისამართო ბიუროს 2007 წლის 12 ივნისის ცნობა გ. ბაბაიანის ქ. თბილისში, კოტე მესხის შესახვევი N3-ში რეგისტრაციის შესახებ (1 ფურცელი) ასლი; (ჟ) ქ. თბილისის სააღსრულებო ბიუროს სასამართლო აღმასრულებელ ჯონი ჩიხრაძის 2007 წლის 04 და 27 ივლისის ოქმები (2 ფურცლად) ასლი; (რ) სარჩელზე გადახდილი ბაჟის ქვითარი 100 ლარიანი;

2. მოპასუხეებს გარი ბაბაიანს და თამარ მამულაშვილს ასევე ეცნობოთ. რომ:

- თქვენ ვალდებული ხართ (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე და 2321-ე მუხლების შესაბამისად) წერილობით, როგორც წესი, ნაბეჭდი სახით, შეადგინოთ პასუხი (შესაგებელი) სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე და სარჩელზე დართული საბუთების შესახებ მოსაზრებებთან ერთად წარუდგინოთ ისინი სასამართლოს ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში.

- წერილობით შედგენილ პასუხში უნდა აღინიშნოს შემდეგი მონაცემები:

- სასამართლოს დასახელება, რომელშიც მოპასუხეს შეაქვს პასუხი;

- მოპასუხის, მისი წარმომადგენლის (თუ პასუხი შეაქვს წარმომადგენელს), მოწმის, სხდომაზე მოსაწვევი სხვა პირის სახელი, გვარი (სახელწოდება), ძირითადი მისამართი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი, აგრეთვე არსებობის შემთხვევაში ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მათ შორის მობილური, ელექტრონული ფოსტა, ფაქსი; პასუხში შესაძლოა მიუთითოს ასევე საკონტაქტო პირის მონაცემები;

- ცნობთ თუ არა სარჩელს და რა ნაწილში; ხოლო თუ არ ცნობთ, მაშინ რა კონკრეტულ ფაქტებსა და გარემოებებს ემყარება თქვენი შესაგებელი სარჩელის წინააღმდეგ; ასევე მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს თქვენს მიერ მითითებულ გარემოებებს;

- რა საპროცესო საშუალებებით აპირებთ სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ სარჩელის დასაშვებობას, ხომ არ გაქვთ აცილება მოსამართლის ან სასამართლოს მიმართ და ა.შ.

- ვინ შეიძლება ჩაებას პროცესში თანამონაწილედ ან მესამე პირად;

- რომელი მოწმე უნდა იქნას გამოძახებული სასამართლოს სხდომაზე და სხვა შუამდგომლობები;

- პასუხისათვის დართული დოკუმენტების ნუსხა;

- მოპასუხის მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე;

- პასუხს უნდა დაერთოს წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ პასუხი სასამართლოში შეაქვს წარმომადგენელს;

- პასუხში სრულყოფილად და თანმიმდევრობით უნდა ასახოთ თქვენი მოსაზრებები სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. თუ არ ეთანხმებით სარჩელში მოყვანილ გარემოებას, ვალდებული ხართ მიუთითოთ ამის მიზეზი და დაასაბუთოთ შესაბამისი არგუმენტაციით;

- ვალდებული ხართ პასუხს დაურთოთ მასში მითითებული ყველა მტკიცებულება. თუ მოპასუხეს საპატიო მიზეზით არ შეუძლია პასუხთან ერთად მტკიცებულებათა წარდგენა, იგი ვალდებულია ამის შესახებ მიუთითოს პასუხში. წინააღმდეგ შემთხვევაში მოპასუხეს ერთმევა უფლება შემდგომში წარადგინოს მტკიცებულებები; მოპასუხე უფლებამოსილია მტკიცებულებათა წარდგენისათვის მოითხოვოს გონივრული ვადა;

- მოპასუხე ვალდებულია თავისი პასუხი (შესაგებელი) სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე თავისი მოსაზრებები სარჩელისათვის დართული დოკუმენტების შესახებ წარუდგინოს სასამართლოს სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მიღებიდან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. შესაგებელი უნდა პასუხობდეს საქართველოს სამოოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილ მოთხოვნებს;

- მოპასუხეს შეუძლია პასუხის შეტანისას განაცხადოს, რომ თანახმაა წერილობითი მასალები მიიღოს ელექტრონული ფოსტით. ასეთ შემთხვევაში სასამართლო, როგორც წესი, მოპასუხეს მასალებს უგზავნის ელექტრონული ფოსტით;.

- სხვა სახის შუამდგომლობები;

- მოპასუხის მიერ პასუხის (შესაგებლის) წარმოუდგენლობის შედეგები:

- სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში მოსამართლეს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI-ე თავით დადგენილი წესების შესაბამისად (სსსკ-ის 201-ე მუხლის მე-7 ნაწილი);

- მოპასუხის მიერ დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე, მოსამართლე დააკამყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს მთავარ სხდომას, რის შესახებაც ეცნობებათ მხარეებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მოპასუხისაგან მტკიცებულებათა მიღება არ ხდება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით;

- შესაგებელი თანდართულ დოკუმენტებთან ერთად წარმოადგინეთ იმდენი ასლით, რამდენიც მოსარჩელეა. მას ხელს უნდა აწერდეს მოპასუხე ან მისი წარმომადგენელი და უნდა ერთვოდეს წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი (როცა პასუხი შეაქვს წარმომადგენელს).

3. საჯარო შეტყობინების შესახებ განჩინების ასლები შესასრულებლად გადაეგზავნოს „გაზეთ 24 საათს“ და საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, ამ უკანასკნელმა უზრუნველყოს პუბლიკაციისათვის აუცილებელი ხარჯების გაღება;

4. ***საჯარო შეტყობინების შესახებ განჩინების პუბლიკაცია გაზეთ „24 საათში“ უნდა განხორციელდეს 2009 წლის 15 იანვრამდე***, რის შესახებაც ეცნობოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას „გაზეთ 24 საათის“ მიერ შესაბამისი საგაზეთო ნომრის გამოქვეყნებისთანავე მისი გადმოგზავნით;

5. ანზორ დავითაშვილის სარჩელი და თანდართული საბუთები მოპასუხე გარი ბაბაიანისა და თამარ მამულაშვილისათვის ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს;

6. განჩინება არ გასაჩივრდება.

**მოსამართლე: /ლ. ავალიშვილი/**

# საქართველოს იუსტიციის სამინისტრო აცხადებს ტენდერს მომსახურების შესყიდვაზე 2 ლოტად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

**შესყიდვის ობიექტი – სამეურნეო მომსახურება**
**დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტი**

**ლოტი 1: სამეურნეო მომსახურება - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ც/ა შენობა, რუსთაველის გამზირი 30.**

| |
|---|
| • საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ც/ა სამუშაო და არა-სამუშაო ფართის დალაგება დასუფთავება. |
| • საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შენობის დასასუფთავებელი ფართი შეადგენს 4914 კვ.მ. |
| • 120 სამუშაო ოთახი საოფისე ინვენტარით, 130მ$^2$ ხალიჩა; 120მ$^2$ რბილი იატაკი. |
| • ეზოს დასუფთავება 700 კვ.მ |
| • 20 სველი წერტილის დალაგება დასუფთავება. |
| • ეზოში არსებული მწვანე საფარის მოვლა პატრონობა |
| • შენობის და მიმდებარე ტერიტორიის გარე განათების ელექტრო მომსახურება დაზიანების შემთხვევაში ელ. გაყვანილობის და განათების შეძენა შეცვლა. |
| • საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ც/ა შენობაში სადურგლო მომსახურეობა, დაზიანების შემთხვევაში კარ-ფანჯრების, საკეტების და სახელურების შეძენა-შეცვლა, ასევე დაზიანების შემთხვევაში მინების შეძენა-შეცვლა. |
| • საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შენობის სანტექნიკური მომსახურეობა, დაზიანების შემთხვევაში ონკანების და მილების შეძენა-შეცვლა. |
| • მყარი იატაკის მორეცხვა |
| • მყარი იატაკის ქიმიური მორეცხვა. |
| • მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სარეცხი, ჰიგიენური და სხვა საჭირო სანიტარულ ჰიგიენური საშუალებებით მომარაგება. |
| • შენობის დალაგება (როგორც კორიდორების, ასევე სამუშაო ოთახების). |
| • იატაკების მოპრიალება მშრალად |
| • რბილი იატაკების ქიმიური წმენდა |
| • რბილი ავეჯის ქიმიური წმენდა |
| • ფანჯრების წმენდა |
| • შემოსასვლელი ფასადის რეცხვა |

1. მიწოდების სავალდებულო ვადაა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

მომსახურების გაწევის ადგილი: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, რუსთაველის გამზირი 30.

**ლოტი 2: სამეურნეო მომსახურება - საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს მთავარი პროკურატურის შენობა, გორგასალის ქუჩა 24, ქალაქის რაიონული პროკურატურები.**

| |
|---|
| • საქართველოს მთავარი პროკურატურის სამუშაო და არა სამუშაო ფართის დალაგება დასუფთავება. |
| • საქართველოს მთავარი პროკურატურის შენობის დასასუფთავებელი ფართი შეადგენს 11978 კვ.მ. |
| • მანქანების სადგომი მიწის ქვეშა გარაჟის დასუფთავება 1597 კვ.მ |
| • შენობის უკანა მხრიდან შემოსასვლელი ეზოს დასუფთავება 550 კვ.მ |
| • 39 სველი წერტილის დალაგება. |
| • მწვანე საფარის მოვლა პატრონობა 3728 კვ.მ |
| • საქართველოს მთავარი პროკურატურისა და თბილისის პროკურატურების ადმინისტრაციული შენობებში მიმდებარე ტერიტორიის გარე განათების ელექტრო მომსახურება დაზიანების შემთხვევაში ელ. გაყვანილობის და განათების შეძენა შეცვლა. |
| • საქართველოს მთავარი პროკურატურისა და თბილისის პროკურატურების ადმინისტრაციული შენობებში სადურგლო მომსახურეობა, დაზიანების შემთხვევაში კარ-ფანჯრების, საკეტების და სახელურების შეძენა-შეცვლა, ასევე დაზიანების შემთხვევაში მინების შეძენა-შეცვლა. |
| • საქართველოს მთავარი პროკურატურისა და თბილისის პროკურატურების ადმინისტრაციული შენობის სანტექნიკური მომსახურეობა, დაზიანების შემთხვევაში ონკანების და მილების შეძენა-შეცვლა. |
| • ლიფტის მომსახურეობა (ლიფტების გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფა). |
| • მოზაიკური ფილების აპარატით წმენდა. |
| • გათბობის სისტემის გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფა. |
| • მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სარეცხი, ჰიგიენური და სხვა საჭირო სანიტარულ ჰიგიენური საშუალებებით მომარაგება. |
| • შენობის როგორც კორიდორების, ასევე სამუშაო ოთახების დალაგება |
| • რბილი იატაკების ქიმიური წმენდა |
| • რბილი ავეჯის ქიმიური წმენდა |
| • ფანჯრების წმენდა |
| • შემოსასვლელი ფასადის რეცხვა |

2.

3. მიწოდების სავალდებულო ვადაა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნის მიხედვით.
4. მომსახურების გაწევის ადგილი: საქართველოს მთავარი პროკურატურის შენობა, ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასალის № 24. დიდუბე-ჩუღურეთის და მთაწმინდა-კრწანისის რაიონული პროკურატურები, ქ.თბილისი, წინამძღვრიშვილის № 162. ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურა, ქ. თბილისი ქეთევან წამებულის № 69. გლდანი-ნაძალადევის რაიონული პროკურატურა, ქ.თბილისი, ცოტნე დადიანის № 30.
5.
6. სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე პრეტენდენტს აქვს სატენდერო დოკუმენტაციის შემსყიდველ ორგანიზაციაში გაცნობის შესაძლებლობა.

სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა ტენდერში მონაწილეობის მსურველის მიერ გადახდილი სატენდერო მოსაკრებელის 200 (ორასი) ლარის ოდენობის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ **2009 წლის 13 იანვრიდან 2009 წლის 2 თებერვლის 15 საათამდე** შემდეგ მისამართზე: გორგასალის 24, *თბილისი,* საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს მთავარი პროკურატურა მე-2 სართული, ოთახი №214.

**სატენდერო მოსაკრებელის საბანკო რეკვიზიტებია:**
მიმღები – ხაზინის ერთიანი ანგარიში
ანგ. №200122900, **სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222**, სახაზინო კოდი 300773174
გადახდის დანიშნულება – სატენდერო მოსაკრებელი, სამეურნეო მომსახურება, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ **2009 წლის 13 იანვრიდან 2 თებერვლის 15 საათამდე,** ზემოაღნიშნულ მისამართზე.
წინადადების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოაღნიშნულ მისამართზე 2009 წლის 2 თებერვლის 15 საათზე.
პრეტენდენტმა სატენდერო წინადადებასთან ერთად, დახურულ კონვერტში უნდა წარმოადგინოს შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემები.

**იურიდიულ პირთათვის:**
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობას, რომ მის ქონებაზე არის დადებული ყადაღა. (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);
- ცნობას, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);
- ცნობა შინაგან საქმეთა სამინიტროდან, რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკური ან სამსახურებრივი დანაშაულისათვის;

**ფიზიკურ პირთათვის:**
- ინდივიდუალური მეწარმის ცნობა (არსებობის შემთხვევაში);
- ცნობას, შინაგან საქმეთა სამინისტროდან რომ იგი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და შესყიდვის მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;
- ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;
- ცნობას, მისი ქმედუნარიანობის შესახებ. (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან);

**როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირთათვის:**
- ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);

- სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს ტელეფონს, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს და ხელმოწერილი უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.
- ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით. ტენდერში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად გამოიყენება საბანკო გარანტია, რომლის ოდენობა განისაზღვრება სახელშეკრულებო ღირებულების 2%-ის ოდენობით.

პრეტენდენტები წარმოადგენენ ერთ სატენდერო წინადადებას დახურული კონვერტით. ალტერნატიული სატენდერო წინადადების წარმოდგენა დაუშვებელია.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო აპარატს (საკონტაქტო პირი – კახა ოქროჯანაშვილი) **ტელეფონის ნომერი –405184. მისამართი: გორგასალის 24, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს მთავარი პროკურატურა, ოთახი №214.**

***შენიშვნა:***
*პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დედანის ან ნოტარიულად დამოწმებული სახით.*
*არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.*
*ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასევე ეხება სუბკონტრაქტორებს საქონლის მიწოდების პროცესში მათი მონაწილეობის შემთხვევაში.*

***სატენდერო კომისია***

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო (ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. N6) აცხადებს ტენდერს ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენის სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს. შესყიდვის ობიექტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პარამეტრებს: ყველგანმავალი პიკაპი, სრულამძრავიანი 4X4, 2.5 ლ მოცულობის ტურბო დიზელის ძრავა, ხუთადგილიანი, მექანიკური გადაცემათა კოლოფით, 2 კაბინიანი

**2.** მიწოდების სავალდებულო ვადაა **2009 წლის 1 მაისამდე** პერიოდი.

3. სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდისა (აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება სახაზინო სამსახური, ს.ს. საქართველოს ბანკი“, ბანკის კოდი: 220101502, ანგარიშის N897293000) და გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდგომ სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა სატენდერო განცხადების გამოქვეყნებიდან 5 თებერვლის 18:00 საათამდე პერიოდში, შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. N6, IV სართული, კაბინეტი N19.

4. პრეტენდენტებმა განცხადება (დალუქვის გარეშე), საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება, ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად (ერთი დედანი და ერთი ქსერო ასლი) დალუქული პაკეტებით უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 5 თებერვლის 10:00 საათიდან 18:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. N6 IV სართული კაბინეტი N19

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**5.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას სასამართლოდან და საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

ბ) ცნობას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგილობრივი სამსახურიდან);

გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

დ) ცნობას შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის ;

**5.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას, საგადასახადო ინსპექციიდან რეგისტრაციის შესახებ.

ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი სასამართლოდან).

